პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ-ფეების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 10 მარტი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 56 (2402)

დ ღ ი უ რ ი

— ახალი ცნობები ყალბი საბჭოთა დოკუმენტების დამამზადებელთა „მოღვაწეობის“ შესახებ.
— შეერთებული შტატების მკერავ მუშების გაფიცვა გამარჯვებით დასრულდა.
— თურქეთის პრესა ლიტვინოვის ოქმის შესახებ.
— ხმები იაპონიისა და ნანკინის შეთანხმების შესახებ ცზინანის ინციდენტის საკითხში.
— პოლონეთის ფინანსთა მინისტრის გადადგომა.
— დემონსტრაციები პრიმო დე-რივერას წინააღმდეგ მადრიდში
— შეერთებული შტატების საქონლის ბოიკოტი არგენტინაში

ა. წ. 15 მარტს, ს. სახლის წითელ დარბაზში შესდგება

ს.კ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი

დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთ წლიანი გეგმის შესახებ.
2. ამიერ-კავკასიის დარაიონების შესახებ.
3. იდეოლოგიური ფრონტის შესახებ ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში.
4. ჩადრის შესახებ.
5. საორგანიზაციო საკითხები.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის
მდივანი მ. ორახელაშვილი.

სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილეთა არმია

(საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირისათვის)

ხვალ თბილისში იკრიბება მუშა, გლეხ, წითელ არმიელთა და ახალგაზრდა კორესპონდენტთა სრულიად საქართველოს თათბირი. ეს პირველი რესპუბლიკანური თათბირია, რომელზედაც ესწრება საქართველოს თითქმის ყველა თვალსაჩინო საწარმოო ერთეულთა და კუთხის წარმომადგენელი. ეს თათბირი პირველია ჩვენს სინამდვილეში იმ საკითხების მნიშვნელობით, რომელნიც მის დღის წესრიგში სდგას. უნდა გამოტანილ იქნას მთელი რიგი დადგენილებანი, რომელნიც საფუძვლიანად შესცვლიან მუშ-გლეხკორთა მასებზე ხელმძღვანელობის მეთოდებს და პრაქტიკას. ამას დაჟინებით მოითხოვს თვით სინამდვილე.

მუშგლეხკორთა მოძრაობა გაიზარდა და განვითარდა, განვლილი წლების მანძილზე გამომჟღავნდა მუშგლეხკორთა შორის მუშაობის დეფექტები, დაგროვდა დიდი გამოცდილება. მუშაობის ძველი ფორმები აღარ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც ცხოვრება აყენებს. ძველი მეთოდები ნაწილობრივ კიდეც აფერხებენ მუშგლეხკორთა მოძრაობის შემდგომ წარმატებით განვითარებას. ამას უკვე სათანადო ანგარიში გაუწია მუშა და გლეხ კორესპონდენტთა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც ახლო წარსულში შეიკრიბა მოსკოვში. საქართველოს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა თათბირიც, ცხადია, გვერდს ვერ აუხვევს ამ მდგომარეობას. მან რაც შეიძლება მთლიანად უნდა გამოიყენოს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების გამოცდილება და არსებულ პირობებთან შეფარდებით დასახოს ახალი გზები საქართველოს მუშგლეხკორთა შორის მუშაობის დარგში.

მიმდინარე პერიოდი მთელ რიგ უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებს აკისრებს მშრომელ მასებს და მათ შორის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს, როგორიცაა მუშა და გლეხი კორესპონდენტი. ბრძოლა საბჭოთა აპარატის ყოველი სახის ტკივილების წინააღმდეგ, ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გადაყვანა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, ბრძოლა წარმოების ნაყოფიერების ზრდისათვის, საბჭოთა ხელისუფლების ყოველი ჯურის მტრისა და ორგულის წინააღმდეგ სისტემატიური იერიშის მიტანა, მათი მზის სინათლეზე გამოყვანა და სხვა.—ყველა ეს მარტო სადღეისო და მოკლე დროში წარმავალი ამოცანა არაა. სოციალისტური მშენებლობის წარმატებით წინსვლა დიდად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ენერგიულ მონაწილეობას მიიღებენ ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასები ამ ამოცანათა გადაწყვეტაში.

მუშა და გლეხი კორესპონდენტები მუდამ თავდადებით იბრძოდნენ და იბრძვიან საბჭოთა საქმის საკეთილდღეოთ. ეს იყო და არის სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლა ამ სიტყვის პირდაპირი და არაპირდაპირი აზრითაც. კლასიური მტრის შემოტევა ხშირად თავის უმძაფრეს გამოხატულებას პოულობს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობის მიმართ. არა ერთი და ორი მუშკორი ან გლეხკორი განუგმირავს ქურდულად გასროლილ ტყვიას, ბევრჯერ მომხდარა მუშა და გლეხ კორესპონდენტზე აშკარა შეიარაღებული თავდასხმაც. არაფერს ვიტყვით მუშგლეხკორთა ეგრედ წოდებულ ფარული დევნის შესახებ. საბჭოთა აპარატში ჯერ კიდევ საკმაოდ ბლომად მოკალათებული ყოველი სახის ბიუროკრატები, პირადი ანგარიების და ჩინოვნიკურ პატივმოყვარეობის ხალხი ხშირად წარმოუდგენელ ოინბაზობას იჩენენ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა დევნაში.

საბჭოთა საზოგადოებრივობის ხორცმეტთა ასეთი დაუნდობელი სიძულვილი მუშგლეხკორების მიმართ იმის ზედმეტ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვან, რამდენად სასარგებლო საქმეს აკეთებს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა თავდადებული არმია. კომუნისტური პარტია და საბჭ. ხელისუფლება ამას კარგად გრძნობს, მუშგლეხკორთა საპატიო და საპასუხისმგებლო როლი სოციალისტურ აღმშენებლობაში დღეს ფართე მშრომელი მასებისათვის საკმაოდ ნათელია. ამიტომაა, რომ პარტია და ხელისუფლება მთელი თავისი მორალური ავტორიტეტით და ძლევამოსილებით იცავს მუშა და გლეხ კორესპონდენტებს ყველა ბნელი ძალების თავდასხმისაგან. მუშგლეხკორთა დაცვა გათვალისწინებულია საბჭოთა კანონმდებლობით, ის სახელმწიფო საქმეთ არის აღიარებული. სისხლის სამართლის კოდექსში არის სპეციალური მუხლები, რომელნიც შესაფერის სასჯელს უზღავს ყველა მათ, ვინც ბედავს მშრომელ კორესპონდენტის წინააღმდეგ ხელის აღმართვას. მუშგლეხკორთა მტრებს, არაერთხელ ჰქონდათ შესაძლებლობა დარწმუნებულიყვნენ, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლები უქმ სიტყვას არ წარმოადგენს. ამის მაგალითები არა ერთი ყოფილა საბჭოთა კავშირში, საზოგადოდ, და, კერძოდ, საბჭოთა საქართველოშიც.

მუშგლეხკორთა მოძრაობა საბჭოთა საზოგადოებრივობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამ მოძრაობამ იმდენად ღრმა ფესვები გაიდგა ჩვენს სინამდვილეში, რომ დღეს შეუძლებელია რაიმე ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან მასიურ კამპანიის წარმატებით ჩატარებაზე ლაპარაკი, თუ მასში აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს მუშა და გლეხი კორესპონდენტი. ეს კი თავის მხრივ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მუშგლეხკორთა არმიას მთლიანად და კერძოდ თვითეულ მის წარმომადგენელს.

მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობას აქვს საკუთარი ტკივილები. გარდა იმისა, რომ ხშირად ადგილი აქვს პარტიის ხაზის დამახინჯებას მუშგლეხკორთა შორის მუშაობის დარგში, არის ისეთი ხასიათის ნაკლოვანებანიც, რომელნიც ჩირქს სცხებენ მუშა და გლეხ კორესპონდენტის საპატიო სახელს და საგრძნობლად აფერხებენ ამ უაღრესად სასარგებლო მოძრაობის განვითარებას. ეგრედწოდებული ცრუკორესპონდენტობა, მუშკორული მედიდურობა, კარიერიზმი და მლიქვნელობა, ისეთი უარყოფითი ხასიათის მოვლენებია, რომელნიც არც თუ ისე იშვიათია მუშკორთა მოძრაობის სინამდვილეში. ამგვარ მახინჯ მოვლენებს დაუნდობლად უნდა შეებრძოლონ პირველყოვლისა თვით მუშა და გლეხი კორესპონდენტები. პარტია, ხელისუფლება, ჩვენი პრესა ყოველნაირად შეუწყობს მათ ხელს შინაური ტკივილების განკურნვაში.

სრულიად საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირი უთუოდ დიდ წამახალისებელ როლს ითამაშებს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობის შემდგომი განვითარების საქმეში. ყრილობა კიდევ უფრო შეამჭიდროვებს მუშგლეხკორთა არმიას პარტიისა და ჩვენი პრესის გარშემო, ყრილობა ახალ ენერგიას შემატებს მუშა და გლეხ კორესპონდენტებს მათ უანგარო, თავდადებულ ბრძოლაში მშრომელი მასების საერთო საქმისათვის.

ჩვენი მხურვალე სალამი სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილეთა სახელოვან არმიას!

გავაძლიეროთ პურის დამზადება

პურის დამზადების მიმდინარეობის შესახებ ადგილებიდან მოსული ცნობები ადასტურებენ, რომ დამამზადებელი აპარატი მეტისმეტად სუსტად მუშაობს. ამავე დროს, ის, რაც დააკლდა გეგმის შესრულებას თებერვალში აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს მარტში. საჭიროა სასწრაფო ზომები მივიღოთ ჩამორჩენილი ორგანიზაციების მიმართ, რომ გამოვასწოროთ პურის დამზადების ფრონტი.

პურის დამზადების მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ წელს, შარშანდელივით, მოსავლის აკრეფის შემდგომ თვეებში, პირველ თვეებში პური თავისთავად მოჰქონდათ დიდი რაოდენობით. პურის ჩამბარებლები უმთავრესად იყვნენ გლეხობის ღარიბი და ხელმოკლე ფენები, აგრეთვე საშუალო გლეხობის ნაწილი. ამ პერიოდში დამამზადებელი აპარატი პურის მიღების საქმესაც კი ვერ ასდიოდა. შემდეგ დადგა მეორე პერიოდი, რომელიც მოითხოვდა ტეხნიკური ძალების მეტ დაჭიმვას, მეტ ენერგიას და გარკვეულ კლასობრივ მიდგომას ზემოქმედების მოსახდენად გლეხობის იმ ფენებზე, რომლებიც აფერხებდნენ პურის ჩაბარებას.

შარშან პურის დამამზადებელი აპარატის ხასიათის გარდატეხა საგრძნობლად წარმოადგენდა საგანგებო ზომების მიღების შედეგს. მიმდინარე წელს კამპანიის დასაწყისიდანვე ჩვენ მტკიცეთ ავიღეთ ხელი საგანგებო ზომების მიღებაზე და გავითვალისწინეთ ეკონომიური ხასიათის სხვადასხვა ღონისძიებანი. პურის დამზადების მნიშვნელოვანეს ფაქტორს ამჟამად უნდა წარმოადგენდეს სოფლის მომარაგება სამრეწველო საქონლით. სახელმწიფო ორგანოებმა მეურნეობის გაძლიერებისა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ზრდის წყალობით დიდძალი საქონელი შეიტანეს და შეაქვთ სოფელში, როგორც პირადი მოხმარებისათვის, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. უეჭველია, სოფლის გაძლიერებულმა მომარაგებამ სამრეწველო საქონლით გავლენა მოახდინა პურის დამზადების მსვლელობაზე მიმდინარე დამამზადებელი კამპანიის პირველ ნახევარში.

მაგრამ დამამზადებელი აპარატის მუშაობა შეამსუბუქა იმანაც, რომ ღარიბმა გლეხებმა და საშუალო გლეხობის ნაწილმა პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე თავიანთი მოვალეობა შეასრულეს. მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პურის ჩაბარებას შარშანდელი წლის კონტრაქტაციით. სამწუხაროდ, შარშანდელი კონტრაქტაციის მოცულობა დიდი არ იყო. საერთოდ, თავისი მოვალეობა შეასრულა სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულმა სექტორმაც. ყველა აღნიშნულმა ფაქტორმა მიმდინარე წელს მოგვცა ის ეფექტი, რომელსაც ჩვენ ვხედავდით კამპანიის პირველ ნახევარში.

დამზადების შემდგომი შემცირება სრულებითაც არ აიხსნება მარაგის გამოლევით. ახლახან შემოწმებული ცნობებით, პურის დამამზადებელი კამპანიის მიმდინარეობის შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პურის მარაგი სოფლად უეჭველად უზრუნველჰყოფს გათვალისწინებული გეგმების შესრულებას. დამზადების სიძნელეებს ისა ჰქმნის, რომ პურის მარაგის თვალსაჩინო ნაწილი ამჟამად დაგროვებულია სოფლის კულაკური, შეძლებული ფენებისა და აგრეთვე საშუალო გლეხობის ერთი ნაწილის ხელში, რომლებსაც ჩვენ ამა თუ იმ მიზეზების გამო ჯერ-ჯერობით სათანადოდ ვერ მიუდექით. დამამზადებელი მუშაობა ჯეროვანი ტემპით რომ გაშლილიყო, ქვედა აპარატს მკაფიო პოლიტიკური გეზი რომ ჰქონოდა და თავისი საშუალებანი და შესაძლებლობანი გამოეყენებინა, ჩვენ უეჭველად მოწმენი ვიქნებოდით პურის ინტენსიური ჩაბარებისა იანვარ-თებერვალში.

დამამზადებელი ორგანიზაციები დამზადების შემცირებას სხვადასხვა ობიექტიური მიზეზებით ხსნიან. ამ მიზეზებს შორის ასახელებენ ისეთ გარემოებასაც, როგორიცაა, მაგალითად, სუსხიანი ყინვები, რომლებიც თავს დაატყდა პურის დამზადების რაიონების უდიდეს ნაწილს და ხელი შეუშალა პურის ჩაბარებას.

ადვილი მისახვედრია, რომ აღნიშნულ ეკონომიურ ფაქტორებს და პურის დარჩენილი თვალსაჩინო მარაგის დაგროვებას შეძლებული კულაკური ნაწილის ხელში განსაზღვრული კავშირი აქვთ. სოფლის სწორედ ამ ნაწილს, რომელსაც ყველაზე მეტი მოჭარბებული საქონელი და ფული აქვს, შეეძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ფასების განსხვავება ზოგიერთ შემთხვევებში და აქტიური წინააღმდეგობა გაეწია სახელმწიფოს და კოოპერაციის დამამზადებელი მუშაობისათვის. ციმბირსა, ურალსა და კაზაკსტანში დაუფქვავი პურის დიდი მარაგია. სოფლის კულაკური ნაწილი დიდ ოსტატობას იჩენს პურის დამალვაში, ინახავს წისქვილებში და ზოგჯერ ღარიბთა ქოხებშიაც კი.

სოფლიდან ზედმეტი პურის გამოსატანად ეკონომიურ ღონისძიებათა სისტემის განხორციელების დროს დიდის უნარითა და მოხერხებით უნდა გამოვიყენოთ ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიცაა საქონლის მიწოდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებსაც.

მაგრამ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება ძალიან ცუდადაა დაყენებული. მაგალითად, ბოიკოტგამოცხადებულთა სიას პურის ჩაბარებაზე უარისმთქმელთა სიას შეუმჩნეველ კუთხეში აკრავენ, სადაც მას არავინ კითხულობს თუ ბოიკოტგამოცხადებულებს ერთ სოფელში ამა თუ იმ საქონელს არ მიჰყიდან, ისინი არხეინად მიდიან მეზობელ სოფელში და იქ ყველაფერს იძენენ. არსებობს ისეთი გადაჭარბებაც, როდესაც ბოიკოტს უცხადებენ რამდენსამე ათეულ კაცს, ზოგან სოფლის თითქმის 20 პროცენტსაც კი და სხვ.

საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომათა განხორციელებას უმთავრესად ხელს ის უშლის, რომ არ არსებობს რამდენადმე მაინც სერიოზული მასიური ორგანიზაციული მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის. სხვადასხვა რაიონის საზოგადოებრივი მუშაობის შემოწმებამ დაგვანახვა, რომ კოოპერატიული აქტივი, ხშირად მხოლოდ ქაღალდზეა აღნიშნული და აქტივისტების ვინაობა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა არ იციან, აქტივისტები გამოუყენებელნი რჩებიან. კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება, რომელიც ეხლა მოახდინეს კოოპერაციაში გაერთიანებულმა მასებმა და კოოპერატიულმა აქტივმა, უეჭველად დიდ როლს ითამაშებს, მან თვალნათლივ დაგვანახვა საზოგადოებრივ მასიურ მუშაობისადმი ფორმალური მიდგომა, რომელიც ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა ხშირად აღნიშნეს.

საზოგადოებრივი მუშაობის სისუსტე აიხსნება იმითაც, რომ კოოპერატიული და ქვედა აპარატი დატვირთულია უცხო ელემენტებით.

რაიონების გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ პურის ჩაბარებაზე უარის მთქმელთა შორის ზოგჯერ ქვედა კოოპერატივების თავმჯდომარეები და სარევიზიო კომისიების წევრებიც არიან და სხვ. ქვედა აპარატის დატვირთვა უცხო ელემენტებით და საზოგადოებრივი მუშაობის სისუსტე ნიადაგს უქმნის კულაკების გათავხედებას, მისი წინააღმდეგობის აქტივიზაციას, მაგალითად ისეთი შემთხვევებს, როგორიცაა კულაკების თავდასხმა წითელ ქარავანზე. ან პირიქით, კულაკების მიერ წითელი ქარავნის ორგანიზაციის გამოყენება იმ მიზნით, რომ თავისი მარაგის უმნიშვნელო ნაწილი გაატარონ და, ამგვარად, საზოგადოებრივი აზრის წინაშე პურის ჩაუბარებლობის გამო, პასუხისმგებლობისაგან თავი გაინთავისუფლონ. უეჭველია, ადგილი არ ექნებოდა, თუ აპარატი კლასობრივ სიმტკიცეს გამოიჩენდა, თუ იგი მკაფიო პოლიტიკურ ხაზს გაატარებდა, თუ განვითარებული იქნებოდა მასიური მუშაობა.

ყველა გამორკვეული დეფექტი მხედველობაში უნდა მივიღოთ და სასწრაფო, გადამწყვეტი ზომები ვიხმაროთ, რომ თავიდან მოვიშოროთ ეს დეფექტები და უზრუნველვყოთ პურის დამზადების განვითარება. სოფლისათვის საქონლის მიწოდების გამოცდილებამ ხელი უნდა შეგვიწყოს, რომ გამოვასწოროთ დეფექტები ასორტიმენტში, უმთავრესად, გლეხობის საწარმოო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში (რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად). სახელმწიფო საქონლის უფრო მიზანშეწონილი განაწილებაში დამზადების რაიონებს შორის.

ამავე დროს სისწორით უნდა განხორციელდეს კულაკურ ელემენტებზე და პურის სხვა დამჭერებზე საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების სისტემა. საჭიროა ბრძოლა კანონის სრული სისასტიკით პურის სპეკულიაციასთან. კოოპერატიული აპარატის წმენდის დროს, პირველ ყოვლისა, მიზანში უნდა ამოვიღოთ პურის დამამზადებელი უმნიშვნელოვანესი რაიონების აპარატი კოოპერაციის არა მარტო ქვედა სადგურში, არამედ საშუალო სადგურშიც, რომელიც აგრეთვე დატვირთულია უცხო ელემენტებით. საგრძნობლად უნდა გავაძლიეროთ აგრეთვე მუშაობა გლეხთა დაზოგვილი თანხების მობილიზაციისათვის პაიების დაგროვებისათვის, მეტად დიფერენციალური პაის შემოღებისათვის და ენერგიულად უნდა დავძლიოთ ის წინააღმდეგობა, რომელსაც კულაკები უწევენ დიფერენციალური პაის შემოღებას.

თვალსაჩინოდ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მასების ორგანიზაციისათვის, უნდა გავაძლიეროთ ღარიბი გლეხობის შემჭიდროება საშუალო გლეხობასთან საზოგადოებრიობის განვითარებისათვის. პურის დამზადების საქმე ხელს შეგვიწყობს მეტი პური მივაწოდოთ ღარიბ გლეხობას და მოვაწესრიგოთ განსაზღვრული პროცენტების გადადება ღარიბი გლეხობის სასარგებლოდ სამინდო გადასახადიდან. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ღარიბი გლეხობის საჭიროებათა დაკმაყოფილებას და ამ მიზნისათვის სამინდო გადასახადის გამოყენებას.

ამ მატერიალურ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა შემწეობით ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ სასწრაფო გარდატეხა მოხდეს პურის დამზადების საქმეში. პურის მარაგით და მუშაობის სწორი ორგანიზაციით ჩვენ დავძლევთ სოფლის იმ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობას, რომლებიც ცდილობენ პურის დამზადების საქმის დაზიანებით დააზიანონ სოციალისტური მშენებლობაც. დამამზადებელი აპარატებიდან უნდა გავდევნოთ ყველა უცხო ელემენტი. გაზაფხ. თესვის მოახლოვების გამო, უნდა გავააქტიუროთ ჩვენი ძალ-ღონე და უზრუნველვყოთ განხორციელება მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმისა, რომლისთვისაც პურის დამზადება ამჟამად უაღრესად პასუხსაგებ ნაწილს წარმოადგენს.

„[illegible]“. 9 მარტი.

შეერთ. შტატების მთავრობის ეკონომიური მისია საბჭ. კავშირში

„ტაიმსი“ დიდ მნიშვნელობას აძლევს ინგლისის მრეწველთა დელეგაციის გამგზავრებას საბჭ. კავშირში

თურქეთის პრესა მოსკოვის ოქმისა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ

ამერიკის პრესა საბჭოთა კავშირთან დაახლოების შესახებ

ლონდონი, 8 მარტი. „ტაიმს“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი სწერს:

„არის იმის ნიშნები, რომ პრეზიდენტი ჰუვერი მალე მიაქცევს ყურადღებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხს. ჰუვერი ისე შორს არ მიდის, როგორც სენატორი ბორა, მაგრამ მას მაინც გადაწყვეტილი აქვს მიუდგომლად განიხილოს ეს საკითხი. აქ უკვე ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ მოსალოდნელია ეკონომიური მისიის გაგზავნა საბჭოთა კავშირში“. (ადს).

თურქეთი და საბჭოთა კავშირი

იუნუს-ნადი თურქეთ-საბჭოთა მეგობრობის შესახებ

სტამბოლი, 8 მარტი. გაზეთი „ჯუმხურიიეთ“-ის რედაქტორი იუნუს ნადი ეხება თურქეთის ახლად დანიშნული ელჩის (საბჭოთა კავშირში) ჰუსეინ-რაგიმ-ბეის გამგზავრებას მოსკოვში და სწერს:

„უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დედა ქალაქიდან, სადაც ჩვენ წარმომადგენელი გვყავს, მოსკოვს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამის მიზეზი ის არის, რომ თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობს მჭიდრო და სავსებით გულწრფელი მეგობრობა. ეს მეგობრობა, რომელიც წარმოიშვა სიძნელეების დაძლევის საქმეში მჭიდრო და გულწრფელი თანამშრომლობის საფუძველზე, სცილდება ჩვეულებრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ფარგლებს. რევოლიუციონურმა რუსეთმა თავისი ძლიერება დაამტკიცა იმით, რომ გაუმკლავდა აუარებელ მტერს. თურქეთმაც დასძლია ასეთივე სიძნელენი და გამოვიდა განვითარების ფართო გზაზე. ორივე გმირული ხალხი წარმოადგენს უდიდეს ძალას მსოფლიო წონასწორობის სისტემაში, ევროპისა და აზიის ურთიერთობაში.

ჰუსეინ რაგიმ-ბეის მისია უაღრესად საპატიოა, ის სამუშაოდ მიდის მეგობრულ ქვეყანაში, რათა უფრო გულწრფელი და ინტიმიური ხასიათი მისცეს იმ მეგობრობას, რომელიც დღითიდღე იზრდება და მაგრდება.

საბჭოთა კავშირი და თურქეთი აღმოსავლეთში მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში ერთი მეორეს დამატებას წარმოადგენენ. ეს ბუნებრივი და გულწრფელი კომბინაცია, რომელიც წარმოშვა ისტორიის მსვლელობამ, არ შეიძლება დაინგრეს. თურქეთის მიერ მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერას ჩვენ ვთვლით უბრალო დემონსტრაციად მშვიდობიანობის საქმის სასარგებლოდ, ვინაიდან თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა იმდენად მტკიცე და გულწრფელია, რომ მას არ ესაჭიროება ამგვარი ოქმები“.

თურქეთის პრესა მოსკოვის ოქმის შესახებ

სტამბოლი, 8 მარტი. „მილიეთ“-ის რედაქტორი მახმუდი იმის გამო, რომ თურქეთი მოსკოვის ოქმს შეუერთდა, სწერს:

„ეს შეერთება ფრიად დროულია. იგი ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის გულწრფელობას. ოქმის მნიშვნელობა მარტო იმით როდი განისაზღვრება, რომ იგი ხელს უწყობს მშვიდობიანობის განმტკიცებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. დასავლეთში ამ ქვეყნებს ყოველთვის არევ-დარევის კერად სთვლიდნენ. ეს ფაქტი უნდა აღიარონ იმათ, ვინც აღმოსავლეთ ქვეყნებს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირს მიაწერდა მშვიდობიანობის საწინააღმდეგო პოლიტიკას. ისიც უეჭველია; რომ თურქეთის შეერთება წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც განამტკიცებს თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას; ეს მეგობრობა ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც ხელს უშლის ომის დაწყებას“.

ამავე საკითხს ოფიციოზი „მილიეთ“-ი ეხება საერთაშორისო მიმოხილვაში და სწერს:

„კელლოგის პაქტის იდეას, რომელიც დასავლეთში წარმოიშვა, აღმოსავლეთში ბევრად უფრო დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ. დასავლეთ ევროპა მსჯელობას განაგრძობს, ხოლო აღმოსავლეთი ევროპა შეუდგა პაქტის ცხოვრებაში გატარებას. პაქტის პრაქტიკული ღირებულება სადაო რჩება. მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომელნიც სცდილობენ პაქტის ცხოვრებაში გატარებას, ამით ამტკიცებენ თავიანთ გულწრფელ მისწრაფებას მშვიდობიანობისაკენ“. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ჟენევა, 8 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ირჩეოდა ლიგის საფინანსო კომისიის მიერ შედგენილი პროექტი კონვენციისა ფინანსიური დახმარების აღმოჩენის შესახებ „იმ სახელმწიფოებისათვის, რომელსაც თავს დაესხმიან“.

პროექტის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ბრიანმა, რომელმაც განაცხადა, რომ „პროექტს აქვს პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობა“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „განსაზღვრულ მომენტში, პროექტის განხორციელების დროს სასურველია იმ სახელმწიფოების თანამშრომლობა, რომლებიც ლიგაში არ შედიან, მაგრამ დაინტერესებულნი არიან მშვიდობიანობის დაცვით“

იგივე სთქვა ჩემბერლენმა, რომელმაც წინადადება შეიტანა, რომ მას შემდეგ, როცა პროექტს მიიღებს ერთა ლიგა სექტემბრის სესიაზე, იგი ეცნობოს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ლიგაში არ შედიან. ეს წინადადება მიღებულ იქნა. როგორც ბრიანისა და ჩემბერლენის განცხადებებიდან სჩანს, მათ მიერ წამოყენებულ წინადადებას მხედველობაში აქვს, პირველ რიგში, შეერთებული შტატები. ინგლისის და საფრანგეთის წრეებში იმასაც კი აცხადებენ, რომ საჭირო იყო შეერთებული შტატების რესპუბლიკის მოწვევა მონაწილეობის მისაღებად პროექტით ნავარაუდევ კონვენციაში, როგორც კელოგის პაქტის ერთგვარ ფინანსიურ დამატებაში, რათა ცდა მომხდარიყო ამით ერთგვარი შეერთებული შტატებისათვის განსაზღვრულ ვალდებულებათა დასაკისრებლად. (ადს).

სარეპარაციო საკითხი

მოლაპარაკება ბრიანსა, ჩემბერლენსა და შტრეზემანს შორის.

პარიზი, 8 მარტი, „ეკო დე პარი“ იუწყება, რომ ჟენევაში სწარმოებდა მოლაპარაკება ბრიანსა, ჩემბერლენსა და შტრეზემანს შორის რეპარაციების საკითხის შესახებ. ბრიანი და ჩემბერლენი სცდილობდნენ დაერწმუნებიათ შტრეზემანი იმის საჭიროებაში, რომ მან ექსპერტთა კომისიის გერმანელ დელეგატ შახტზე „მოახდინოს გავლენა იმ მხრივ, რომ იგი უფრო ზომიერ პოლიტიკას დაადგეს“. (ადს).

შეთანხმება იაპონიასა და ნანკინის მთავრობას შორის

ტოკიო, 8 მარტი. როგორც ხმები დადის, იაპონიის ელჩს (ჩინეთში) იოსიზავასა და ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის მიღწეულია შეთანხმება ცზინანის ინციდენტის მოგვარების შესახებ. შეთანხმება მიღწეულია შემდეგ საფუძველზე: იაპონია თანახმაა გამოძიება ორივე მხარემ ერთად მოახდინოს, ამავე დროს შეუთანხმდენ ზარალის ურთიერთ ჩათვლაზე. ზოგიერთი წრეების აზრით, ჩან-კაი-შის პოზიციის შეცვლა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ იგი დაინტერესებულია—ფინ-იუ-სიანმა რაც შეიძლება მალე დატოვოს შანდუნი, რათა შემდეგ თავისუფლად იმოქმედოს ხანკოუს მიმართულებით. მას უნდა აგრეთვე, რომ იაპონიასთან შეთანხმებით განამტკიცოს თავისი პოზიცია მემარცხენეებთან ბრძოლაში. (ადს).

ინგლის საბჭ. კავშირის ურთიერთობა

„ტან“ ინგლისის მრეწველთა დელეგაციის გამომგზავრების შესახებ

ლონდონი, 8 მარტი. „ტაიმს“-ი ეხება ინგლისის მრეწველთა დელეგაციის მომავალ გამომგზავრებას საბჭოთა კავშირში და სწერს:

„მეტად დიდია იმ საქმის მნიშვნელობა, რომლისთვისაც იბრძვის დელეგაცია. თუმცა დელეგაცია არაოფიციალურია, მაგრამ მის მიზანს შეადგენს—ავოს ხიდი, რომლის საშუალებითაც ორივე მხარეს შორის დამყარდება ოფიციალური სავაჭრო ურთიერთობა. დელეგაციის წევრები მარტო იმას არ სცდილობენ, რომ შეკვეთები მიიღონ, ისინი უშუალო კონტაქტს დაამყარებენ საბჭოთა მთავრობასთან; მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საჭირო საშუამავლო როლის შესრულება. (ადს).

ჩერჩილი თავისას იმეორებს

რეველი, 8 მარტი. გაზეთ „პოსტიმეს“-ში დაბეჭდილია ჩერჩილის წერილი. ჩერჩილი სწერს, რომ პარლამენტის მომავალ არჩევნებში „ინგლისს ემუქრება სოციალისტური საფრთხე“. (ე. ი. მოსალოდნელია მუშათა პარტიის გამარჯვება). ჩერჩილი ეხება ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და აღნიშნავს, რომ ის წინააღმდეგია არა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისა, არამედ ინგლის-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა (ადს).

ჩემბერლენი საბჭ. კავშირთან ვაჭრობის შესახებ

ლონდონი, 9 მარტი. „დეილი ექსპრეს“-ში დაბეჭდილია ჩემბერლენის საუბარი ამ გაზეთის ჟენეველ კორესპონდენტთან. რეინის ოლქის საკითხის შესახებ ჩემბერლენმა სთქვა: ეს საკითხი არ იქნება განხილული ერთა ლიგის სესიის ეხლანდელ სესიაზე, რადგან, საერთო აზრით, ამჟამად შეუძლებელია რაიმე შეთანხმების მიღწევა ამ საკითხში.

კორესპონდენტმა ჰკითხა ჩემბერლენს—მოსალოდნელია თუ არა რაიმე ცვლილება ინგლისის პოზიციაში საბჭოთა კავშირის მიმართ ინგლისის მრეწველთა დელეგაციის საბჭოთა კავშირში გამგზავრებასთან დაკავშირებით. ამაზე ჩემბერლენმა მიუგო: ვაჭრობა ერთი საქმეა, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობა—მეორე. რაც შეეხება იმას, თუ რა თვალით ვუყურებთ ჩვენ ინგლისის იმ საქმიან წრეებს, რომელნიც მოწადინებულნი არიან ვაჭრობას რუსეთთან, ჩვენი დამოკიდებულება ამ შემთხვევაში ორნაირია: **ჩვენ, რაც კი შეგვიძლია, დახმარებას გავუწევთ საქმიან წრეებს,** მაგრამ თვით ამ წრეებმა უნდა გადაწყვიტონ—მიიღონ თუ არა რაიმე ხიფათი ცალკე საქმეს, რომლის დაწყებაც განზრახულია. ხოლო თუ მიიღონ, გონიერია თუ არა ამ საქმის დაწყება“. (ადს).

ყალბი დოკუმენტების დამამზადებელთა საქმე

ორლოვი—მენშევიკ პოლიციელების ჯაშუში

ბერლინი, 8 მარტი. დამცველს იაფეს ორლოვმა მოუთხრო თავისი ავტობიოგრაფია. ორლოვმა განაცხადა, რომ მას კავშირი ჰქონდა ბერლინის პოლიტიკური პოლიციის ხელმძღვანელებთან ბარტელსთან.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ ბარტელსის გადაყენების (მექრთამეობისათვის) შემდეგ ორლოვს არ შეუწყვეტია კავშირი პოლიციის უმაღლეს ხელისუფლებასთან. **ორლოვით სარგებლობდენ როგორც ჯაშუშით, რომელსაც პოლიციაში მიჰქონდა ცნობები ბოლშევიკების შესახებ, თუმცა ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ 1922 წელს ორლოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩიჩერინზე, კრასინზე და რაკოვსკიზე თავდასხმის მომზადებაში,** რაც გამოირკვა დრუჟელოვსკის პროცესზე მოსკოვში. მეტიც: სავინკოვი თავის დროზე ამტკიცებდა, რომ ორლოვთან, დრუჟელოვსკისთან და ელვენგრენთან ერთად ის, ინგლისის კონტრ-დაზვერვის დავალებით, ამზადებდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას თავდასხმების, ქარხნების აფეთქების და საბოტაჟის გზით.

გაზეთი პოლიციის პრეზიდენტს, სოციალ-დემოკრატ ცერგიბელს, შინაგან საქმეთა მინისტრს, სოციალ-დემოკრატ გრჟეზინსკის და მის წინამოადგილეს, სოციალ-დემოკრატ ზევერინგს უსაყვედურებს იმას, რომ ორლოვის ბოროტმოქმედებას, მიმართულს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისინი საუკეთესო რეკომენდაციად სთვლიდნენ. სწორედ ამიტომ მემარცხენე გაზეთს „ველტ ამ აბენდ“-საც საეჭვოდ მიაჩნია, რომ მხედველობაში იქნას მიღებული შეერთებული შტატების მოთხოვნა გამოძიების დაჩქარების შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ არა მარტო ორლოვს, არამედ გუმანსკის და ზიბერტსაც, რომელნიც არ დაუპატიმრებიათ, დიდი კავშირი ჰქონდათ ბერლინის პოლიციასთან 1925 წელს. ზიბერტმა გერმანიის მოქალაქეობა მიიღო იმიტომ, რომ იგი ბერლინის პოლიციას დიდ სამსახურს უწევდა. ორლოვს და ზიბერტს კავშირი ჰქონდათ აგრეთვე ინგლისის კონტრ-დაზვერვის აგენტთან სტენლისთან. გუმანსკი თავის ვილაში აწყობდა ქეიფებსა და ორგიებს, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდნენ ბერლინის პოლიციის წარმომადგენლები. ორლოვის დამცველის იაფეს აზრით, ორლოვის და სუმაროკოვის პასუხისგებაში მიცემა შეუძლებელია, რადგან ამერიკელმა ჟურნალისტებმა მაშინვე გამოიცნო სიყალბე და რადგან დაპატიმრებულთა მოქმედება არ ყოფილა მიმართული გერმანიის სახელმწიფოს წინააღმდეგ (ადს).

ვინ არის სუმაროკოვი

ტულა, 9 მარტი. ყალბი საბუთებისთვის ბერლინში დაპატიმრებული სუმაროკოვი არის ყოფილი თავად-აზნაურობის წინამძღოლი ჩერნსკი, რომელმაც ერთ დროს გაფლანგა ობლების ფული 90.000 მან. და 1916 წელს მოთავსებულ იქნა ტულის საპყრობილეში. სუმაროკოვი სენატორის შვილია. გუბერნიაში მას ძალიან ცუდი სახელი ჰქონდა, რაც, სხვათა შორის, მას ხელს არ უშლიდა ყოფილიყო თავად-აზნაურობის წინამძღოლად. მან გაალატაკა მდიდარი მემამულე ქალი ელაგინა, რომელსაც უყვარდა სუმაროკოვი. გარდა ამისა, იგი შემჩნეულ იქნა ბევრ არა კეთილსინდისიერ საქციელში. რევოლიუციის შემდეგ სუმაროკოვმა გამოიცვალა გვარი და ალიაშევის გვარით ცხოვრობდა მოსკოვში, რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გაიპარა საზღვარგარეთ, სადაც ამზადებდა ყალბ საბუთებს. (ადს).

ბერლინი, 8 მარტი. ვოლფის ცნობით, პოლიციამ დაამთავრა იმ მასალის გადათვალიერება, რომელიც ორლოვს და სუმაროკოვს ჩამოართვეს. აღმოჩენილ იქნა ეგრედ წოდებული ნამდვილი დოკუმენტები ტრილისერის (გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე) ხელმოწერით. ორლოვი გამოტყდა, რომ 1926-27 წელს გამოშვებული ყალბი დოკუმენტები მან დაამზადა. (ადს).

იამამოტოს დაკრძალვა

ტოკიო, 8 მარტი. დაკრძალეს მოკლული პროლეტარული დეპუტატის იამამოტოს გვამი. სამგლოვიარო პროცესია გარსშემორტყმული იყო პოლიციელების მიერ.

დაკრძალვას დაესწრნენ პროლეტარული პარტიების და პროფკავშირთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი და ზოგიერთი დეპუტატები, მათ შორის ბურჟუაზიულიც.

გამოსულმა ორატორებმა დაჰგმეს თეთრი ტერორი და აღნიშნეს, რომ ტანაკას კაბინეტი რეაქციონურ პოლიტიკას ატარებსო. პოლიცია შეეცადა ორატორების დაპატიმრებას, მაგრამ დამსწრეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. (ადს).

ბოიკოტი შეერთებულ შტატებს

ნიუ-იორკი, 8 მარტი. როგორც ბუენოს-აირესიდან იუწყებიან, არგენტინაში დიდი აგიტაცია იმისათვის, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატებიდან შეტანილ საქონელს ბოიკოტი გამოეცხადოს.

ეს ღონისძიება მიმართულია შეერთებულ შტატებში არსებული მაღალი ტარიფებისა და არგენტინის ხორცისა და პურის შეტანისათვის არსებული შეზღუდვის წინააღმდეგ. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების წინააღმდეგ, მიმართულმა კამპანიამ გამოიწვია მწვავე შინაგანი კონფლიქტი, ვინაიდან მრეწველები მხარს უჭერდნენ ტარიფების გადიდებას, ხოლო არგენტინის აგრარული ფედერაცია ტარიფების გადიდების წინააღმდეგია, რადგან ეს გაადიდებს ფერმერებისათვის საჭირო მანქანების ფასებს. (ადს).

დემონსტრაციები მადრიდში

პარიზი, 8 მარტი. ჰავასი იუწყება, რომ მადრიდში მოხდა სტუდენტთა დემონსტრაციები მთავრობის წინააღმდეგ. (ადს).

დონალდის დანიშვნა

პეკინი, 8 მარტი. რეიტერის ცნობით, ჩინეთის ეკონომიური ბიუროს ყოფილი მეთაური, „ეკონომიური ბიულეტინის“ რედაქტორი დონალდი დაინიშნა ჩჟან-სუე-ლიანის ფინანსიურ მრჩევლად. (ადს).

თოვლი სტამბოლში

სტამბოლი, 8 მარტი. ქარიშხალისა და თოვლის გამო, ქალაქში ჩამოინგრა ორი სახლი. ერთ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. დაიღუპა ორი კაცი. (ადს).

ბელგიის კომპარტიის ყრილობა

პარიზი, 8 მარტი. ბელგიის კომპარტიის ყრილობაზე კენენმა გააკეთა მოხსენება ბელგიის საერთაშორისო და შინაგანი მდგომარეობის შესახებ აგრეთვე პარტიის პერსპექტივების და ამოცანების შესახებ. კენენმა განაცხადა: „იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს მსოფლიოს ახალი განაწილებისათვის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ბელგია შეუერთდა ინგლის-ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული იმპერიალისტური ბლოკის შექმნის საფრთხე თანდათან უფრო რეალური ხდება“. შემდეგ კენენი გადავიდა ბელგიის მდგომარეობაზე და განაგრძო: „ბელგიის სოციალისტები აშკარად ღალატობენ მუშათა მოძრაობას, ტროცკისტები ქედს იხრიან რეფორმისტების წინაშე, მემარჯვენე ოპოზიცია გაფიცვების მოწყობის საქმეს პროფკავშირთა ბიუროკრატიის ანაბარა სტოვებს, ხოლო ეს უკანასკნელი ხელს უწყობს გაფიცვების ლიკვიდაციას. თუმცა ტროცკისტები გამორიცხულ იქნენ პარტიიდან, პარტიაში მაინც დარჩა მათი იდეოლოგიის ნაშთები, რაც თავს იჩენს პასივობაში ცალკე გაფიცვების დროს და პარტიის მიერ დაწყებული საქმეებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში. საჭიროა ბრძოლა მემარჯვენე და მემარცხენე გადახრებთან. კომპარტიამ თავის რიგებში უნდა დარაზმოს მუშათა ახალგაზრდობა, მუშა-ქალები და უცხოელი მუშები, რომელთა რიცხვი ბელგიაში 70 ათასს აღწევს და რომლებსაც ბურჟუაზია იყენებს ბელგიელი მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად“. (ადს).

პოლონეთის ფინანსთა მინისტრის გადადგომა

ვარშავა, 8 მარტი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დეკრეტებს, რომლებითაც იგი თანხმდება ფინანსთა მინისტრის ჩეხოვიჩის გადადგომას. მინისტრის მოვალეობის დროებითი ასრულება ევალება, ფინანსთა მინისტრის ამხანაგს გროდინსკის“. (ადს)

გაი-ცზუნ-ჩი მხარს უჭერს ნანკინის მთავრობას

პეიპინი, 8 მ. გოდინის სააგ. ცნობით, გაი-ცზუნ-ჩიმ აცნობა ნანკინის მთავრობას, რომ იგი კისრულობს მხარი დაუჭიროს ნანკინის მთავრობას, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ დამთავრდება ხუნანის ინციდენტი. გაი-ცზუნ-ჩიმ სთხოვა აგრეთვე ნანკინის ფინანსთა მინისტრს, რაც შეიძლება დაჩქარებით გაუგზავნოს ფული, რათა მან დაფაროს დავალიანება თავის ჯართან პეიპინში. (ადს).

ამერიკელ მკერავთა გამარჯვება

ნიუ-იორკი, 8 მარტი. ტანისამოსის დამამზადებელ საწარმოთა მუშების გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა. 400 საწარმოს პატრონებმა იცნეს პროფკავშირი, დასთანხმდნენ შემოიღონ 40 საათიანი სამუშაო კვირა და დააწესონ სამუშაო ხელფასის მინიმუმი.

პროფკავშირი აცხადებს, რომ განაგრძობს ბრძოლას, იმ საწარმოთა წინააღმდეგ, რომელთა პატრონებმა არ იცნეს იგი (ადს).

სოციალ-დემოკრატების მოღალატეობა

ვენა, 8 მარტი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინელი სოციალ-დემოკრატები ბესარაბიის რეჟიმის საკითხში აშკარად შეუერთდნენ მთავრობის თვალსაზრისს. სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ დაიწყო ახალი კამპანია. იგი ამტკიცებს, რომ ბესარაბიაში კომპარტიის არალეგალური მუშაობა უადვილებს ლიბერალებს აგიტაციის საალყო წესების აღდგენის სასარგებლოდ. (ადს).

ინგლისის საზღვაო ბიუჯეტის პროექტი

ლონდონი, 8 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის საზღვაო ბიუჯეტის (1929 წლის) პროექტში გათვალისწინებულია საზღვაო ავიაციის თანხების გადიდება 220.000 გირ. სტერლინგამდე. გემების საამშენებლო 1929 წლის პროგრამა ითვალისწინებს 6 კრეისერის, ერთი ნაღმოსნის, 8 კონტრნაღმოსნის, 6 წყალ-ქვეშა ნავის და 6 მოტორიანი ნავის აგებას. (ადს)

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება საწარმოთა შინაური რესურსების გამოყენების შესახებ

მოსკოვი, 9 მარტი. გამოქვეყნებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს ბრძანება სახელმწიფო საწარმოთა შინაური რესურსების მართებულად გამოყენების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის პირობები განსაკუთრებით მწვავედ სვამენ სამეურნეო და საფინანსო გეგმების სრული განხორციელების ამოცანას. ასეთ პირობებში მრეწველობის შინაური რესურსების მობილიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ამოცანას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. ამის გამო შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა—დაავალოს საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს და გზათა სახ. კომისარიატს—1928—29 წლის განმავლობაში მობილიზაცია უყონ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწყობებში დარჩენილი ნედლეულის, მასალისა და ნახევარ ფაბრიკატების ზედმეტ მარაგს. ამ მარაგის ღირებულება 250 მილიონ მანეთს უდრის. ეს მარაგი უნდა მოხმარდეს კაპიტალურ მშენებლობას, ფართო ბაზრისა და თვით მრეწველობისა და ტრანსპორტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს დაევალა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატთან ერთად, ორი კვირის განმავლობაში გამოარკვიოს, როგორ უნდა მოხდეს და რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს შინაური რესურსების მობილიზაცია. მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს(თათბირებს) წინადადება ეძლევა, ამ დადგენილების თანახმად, მიიღონ ზომები ნედლეულის, მასალისა და ნახევარ ფაბრიკატების ზედმეტი მარაგის მობილიზაციისათვის (ადს).

მუშფაკების არსებობის ათი წლის თავი

მოსკოვი, 9 მარტი. მუშფაკების არსებობის ათი წლის შესრულების გამო, ამხ. რიკოვმა მიმართა მათ მისალმებით, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ახლა ჩვენი ქვეყნის მეურნეობაში უკვე ჩაებნენ ახალი წითელი სპეციალისტების პირველი კადრები, მაგრამ ყველგან, ჩვენი სამეურნეო მუშაობის უზარმაზარ მანძილზე, ნათლად ვგრძნობთ, რომ ეს კადრები ჯერ კიდევ არ არიან საკმაონი და რომ ისინი სათანადოთ არ არიან მომზადებულნი იმ დიდი მუშაობისათვის, რომლის დროსაც ისინი ტეხნიკური რევოლიუციის ორგანიზატორებად უნდა გამოვიდნენ. ახალმა კადრებმა ჯერ კიდევ ვერ შეითვისეს მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის საჭირო ცოდნა და ვერ მოიპოვეს სათანადო გამოცდილება მის გამოსაყენებლად. მათ უნდა კვლავ გულმოდგინეთ ისწავლონ, უნდა გაუსწრონ მუშაობაში ძველ კადრებს. ამ მიმართულებით მათ წინაშე ბრწყინვალე ასპარეზია გადაშლილი“. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„როპ“-ის და ინგლის-ამერიკის ნავთის კომპანიის შეთანხმების შედეგი

მოსკოვი, 9 მარტი. „როპ“-ისა და ინგლის-ამერიკის ნავთის კომპანიის შეთანხმება მთელ რიგ ამოცანებს აყენებს საბჭოთა ნავთის სინდიკატის წინაშე. მოსკოვში მიღებულ ცნობების თანახმად, ინგლისში არაჩვეულებრივად იზრდება მოთხოვნილება საბჭოთა ნავთის პროდუქტებზე.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს სათბობი მასალის მთავარი სამმართველოს უკანასკნელი განკარგულება „გროზნავთი“-ს სახელზე. სათბობი მასალის მთავარი სამმართველო წინადადებას აძლევს „გროზნავთი“-ს გამგეობას, რათა ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ შეიმუშაოს ნავთის ექსპორტის გაძლიერების ღონისძიებები. გარდა ამისა „გროზნავთი“-ს გამგეობას ევალება უახლოეს დროს განმავლობაში შეიმუშაოს პროექტი ნავთის გადაქაჩვის გაძლიერების შესახებ გროზნო-ტუაპსეს ნავთსადენის საშუალებით.

ფასების გადიდების წინააღმდეგ

მოსკოვი, 9 მარტი. გაზეთი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ი თავის დღევანდელ ნომერში აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ რაიონებში შესამჩნევი გახდა ფასების ზრდა, განსაკუთრებით, დეფიციტურ საქონელზე. სავაჭრო აპარატის ხელმძღვანელები, გაზეთის სიტყვით, ამას მიაწერენ ვაჭრობის ტეხნიკის ჩამორჩენილობას.

ეს ახსნა-განმარტება, სწერს „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ი, ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. გაზეთი მოუწოდებს კოოპერატიულ და ყველა საბჭოთა ორგანიზაციებს ყოველი ზომები მიიღონ, რათა ძირშივე აღკვეთილ იქნას ფასების ხელოვნურად აწევის პრაქტიკა.

საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კულტურის შესწავლისათვის

მოსკოვი, 9 მარტი; „კომსომოლსკაია პრავდა“ სპეციალურ განყოფილებას უთმობს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ეროვნებათა კულტურის შესწავლის საკითხს. გაზეთი ათავსებს განყოფილებას შემდეგი სათაურით: „რა იცით თქვენ 169 ეროვნების კულტურის შესახებ“. რედაქცია წინადადებას იძლევა უახლოეს მომავალში მოწყობილ იქნას საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კულტურულ შემოქმედების სანიმუშო გამოფენა. ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს ეროვნებათა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკათა განათლების სახალხო კომისარიატებმა, საბჭოთა კავშირისა და ევროპის კულტურული კავშირის საზოგადოებამ, რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა მოსკოვში და სხვა.

„კომსომოლსკაია პრავდა“-ს მოწოდებამ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მთელ რიგ ცენტრალურ დაწესებულება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შორის. ამხ. სმიდოვიჩი აცხადებს, რომ ეროვნებათა საბჭოს გამოფენის მოწყობა ფრიად სასარგებლო საქმედ მიაჩნია. არაა საჭირო დიდი სიჩქარე, ამბობს ამხ. სმიდოვიჩი, უნდა მოვემზადოთ საფუძვლიანად. საბჭოთა კავშირის ეროვნულ კულტურათა ძველ მიღწევებთან ერთად გამოფენაზე უნდა წარმოდგენილ იქნას ახალი ეროვნული კულტურის მიღწევებიც. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნებათა კულტურის აღორძინება-განვითარების საქმეში დიდი ცხოველმყოფელი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლიუციამ. ჩვენ ეხლა თითქმის ყველა ეროვნულ რესპუბლიკაში გვყავს ახალგაზრდა, საბჭოთა კულტურული ძალები, ეს მომენტი არ უნდა დავივიწყოთ გამოფენის მოწყობის დროს.

ხალხთამცოდნეობის მუზეუმი მზად არის შეუდგეს გამოფენის მოსამზადებელ მუშაობას. საბჭოთა კავშირისა და ევროპის კულტურული კავშირის საზოგადოება სრულ დახმარებას ჰპირდება საქმის ინიციატორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

მოსკოვის ოქმის რატიფიკაცია

რეველი, 9 მარტი. ესტონეთის პარლამენტმა მეორე და მესამედ წაკითხვის შემდეგ დაამტკიცა მოსკოვის ოქმი. (ადს).

ყალბი საბჭ. დოკუმენტების დამზადების გარშემო

ბერლინი, 9 მარტი. „ველტ ამ აბენდ" განაგრძობს ცნობების გამოქვეყნებას იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობდა ყალბი საბჭოთა დოკუმენტების დამზადებლებსა და გერმანიის დაწესებულებებს შორის. გაზეთი ადასტურებს, რომ ორლოვი, ყოველ შემთხვევაში 1925 წ. გაზაფხულიდან ბერლინის პოლიციის სამართველოს მუდმივი სტუმარი იყო. თავის დროზე, მისი შუამდგომლობით, პოლიციის სამართველომ დახმარება აღმოუჩინა მეფის არმიის ოფიცერს გარალდ ზივერტს, „ახლა კი,—სწერს გაზეთი—ზივერტი, რომელმაც თავის „დამსახურებისათვის" გერმანიის ქვეშევრდომობა მიიღო, რაღაც მახინაციებს წყალობით ექსპერტათ არის მიწვეული ორლოვის საქმეზე და მას საგამოძიებლო მასალების შესწავლაც კი მიანდვეს".

დაბოლოს, გაზეთი იუწყება, რომ ორლოვის დამცველმა წინადადება მისცა პოლიციას ან პროკურატურას გადასცეს ორლოვის საქმე, ან გაანთავისუფლოს ის და ხელი აიღოს მის გაძევებაზე. რადგან, დამცველის სიტყვით, „არ შეიძლება ისეთი კაცის დაპატიმრება, როგორიც არის ორლოვი, რომელმაც გერმანიის სახელმწიფოს დიდი სამსახური გაუწია".

ბრძოლა სეიმსა და პილსუდსკის შორის

ვარშავა, 9 მარტი. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს შინაური პოლიტიკა და უკანასკნელი შეტაკებები სეიმსა და მთავრობის შორის. მთავარი ბრძოლა სწარმოებდა მთავრობის მიერ 600.000.000 ზლოტის ბიუჯეტის გარეშე დახარჯვის გარშემო. ამ საკითხის გამო სეიმის დადგენილებით საბიუჯეტო კომისიაში გადატანილი იქნა ფინანსთა მინისტრ ჩეხოვიჩის პასუხისგებაში მიცემის საკითხი. ჩეხოვიჩი გადადგა. მისი გადადგომა მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რამაც საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია. ჩეხოვიჩის მაგიერ ფინანსთა სამინისტროს მმართველად დანიშნულია ფინანსთა მინისტრის ამხანაგი გროდინსკი. ჩეხოვიჩის გადაგდომამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურ წრეებში.

ფარული შეთანხმება პოლონეთ-რუმინეთს შორის.

კოვნო, 8 მარტი. ლიტვის ოფიციოზი „ლეტუვოს აიდას" ბეჭდავს სენსაციურ ცნობას—საბჭოთა კავშირის და ლიტვის წინააღმდეგ მიმართული ფარული ხელშეკრულების შესახებ პოლონეთსა და რუმინეთს შორის. როგორც ხელშეკრულების ტექსტიდან ჩანს თუ ომი დაიწყო, პოლონეთისა და რუმინეთის არმიებმა შეთანხმებულად უნდა აწარმოონ ოპერაციები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„ლეტუვოს აიდასის" ცნობის მიხედვით, სამხედრო მოქმედების დაწყებას წინ უძღვა პოლონეთის ულტიმატუმი ფრონტის რაიონის დაცლის შესახებ. თუ საბჭოთა კავშირი ათი დღის განმავლობაში არ შეასრულებს ამ ულტიმატუმს, რუმინეთისა და პოლონეთის არმიებმა უნდა დაიწყონ შეთანხმებული შეტევა საბჭ. კავშირზე.

რუმინელი მინისტრები უარჰყოფენ

ვენა, 9 მარტი. რუმინეთის გაზეთებში მოთავსებულია საგარეო და სამხედრო საქმეთა მინისტრების განცხადებები, რომლებიც უარჰყოფენ „ლეტუვოს აიდასის" ცნობებს და ფალსიფიკაციად თვლიან გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტს.

ცერგიბელის მუქარა

ბერლინი, 9 მარტი. ბერლინის პოლიციის უფროსმა სოციალ-დემოკრატმა ცერგიბელმა აცნობა ანტიფაშისტურ კონგრესს, რომ კრებების და პროცესიების აკრძალვის განსახორციელებლად ის გამოიყენებს პოლიციის განკარგულებაში მყოფ ყოველგვარ საშუალებას. თუ კონგრესის მონაწილენი მაინც არ შეასრულებენ მის დადგენილებას, მაშინ პასუხისმგებლობა პოლიციის გამოსვლის შედეგებისათვის მთლიანად მათ დაეკისრებათ.

სოციალ-დემოკრატიის ბელადების გახრწნა

ბერლინი, 9 მარტი. „როტე ფანე"-მ გამოაქვეყნა იმ წერილის ფოტოგრაფია, რომლითაც „რესპუბლიკანური დროშის" კავშირის ლიდერმა სოციალ-დემოკრატმა ხერზინგმა მიმართა ფაბრიკანტებს, წერილი წარმოადგენს კაპიტალისტებისადმი მიმართულ თხოვნას შესწირონ ფულები „რესპუბლიკანური დროშის" კავშირის სასარგებლოდ. ხერზინგი იგონებს „რესპუბლიკანური დროშის" „დამსახურებას" წესრიგის და უზრუნველყოფის დაცვის საქმეში და აღნიშნავს, რომ „რესპუბლიკანური დროშის" კავშირი სამოქალაქო მშვიდობიანობას იცავს მემარჯვენე და მემარცხენე საფრთხისაგან.

ხერზინგი განსაკუთრებით აუცილებლად სთვლის ბრძოლის გაძლიერებას კომუნისტებისა და წითელფრონტელების წინააღმდეგ „როტე ფანე" ხაზს უსვამს, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტი ნათელყოფს სოციალ-დემოკრატ ბელადების გახრწნას და მოითხოვს, რომ ეს საბუთი განხილული იქნეს ყველა წარმოებაში. (ადს).

შუშები საექსპორტოდ

მინსკი, 9 მარტი. ბელორუსიის შუშეულის ტრესტი ბოლო დროს ამზადებს ლამპის შუშებს საექსპორტოდ. ეს შუშები საზღვარგარეთის ბაზარზე კონკურენციას გაუწევს საფრანგეთისა და ავსტრიის პროდუქციას. ამ დღეებში ტრესტმა დიდი შეკვეთები მიიღო ეგვიპტიდან. ამჟამად ტრესტი 40 ვაგონ შუშეულს ამზადებს სპარსეთის, თურქეთისა და ჩინეთისათვის (ადს).

კომინტერნში

ტროცკიზმის წინააღმდეგ

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას რეზოლიუცია

„საფრანგეთის კომუნისტური პარტია სავსებით ადასტურებს ზომებს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომპარტიამ მიიღო ტროცკისტული კონტრრევოლიუციური ორგანიზაციის და მისი ბელადის ტროცკის წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი აშკარად გადავიდა რუსეთის რევოლიუციის და კომუნისტური ინტერნაციონალის მტრების ბანაკში.

ტროცკის და მისი მომხრეების დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მათ მეტის მეტად მძიმე აგრესიული აქტები ჩაიდინეს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ იმ მომენტში, როცა ეს უკანასკნელი თუმცა წარმატებით აშენებს სოც. საზოგადოებას და ბოლშევიკური პარტიის ლენინისტური დირექტივების შემწეობით დიდ დაბრკოლებებს სძლევს, მაგრამ გარემოცულია მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ, რომელსაც მისი შემუსვრა სწყურია. თავიანთი ანტი-საბჭოთა მოქმედებით ტროცკისტებმა სცადეს დახმარება გაეწიათ მხოლოდ კაპიტალისტების შემოტევისათვის, ამიტომ მათ აღარაფერი აქვთ საერთო საერთაშორისო რევოლიუციურ პროლეტარიატთან, რომელმაც მთელი სისასტიკით უნდა გაილაშქროს თავისი კლასიური მტრების წინააღმდეგ.

ის ფაქტი, რომ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატია მფარველობას უწევს და ძმურად ღებულობს გაძევებულ ტროცკის, საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ ტროცკისა და მისი მეგობრების წინააღმდეგ მიღებული ზომები სამართლიანია. ტროცკი ხდება იმ კონტრ-რევოლიუციის ტრიბუნად, რომელიც გამძაფრებულ იერიშებს აწარმოებს, რათა საძირკველი გამოუთხაროს სოციალიზმის შენობას საბჭოთა კავშირში და გაანადგუროს პროლეტარული დიქტატურა.

ტროცკის ასეთ ევოლიუციაში არაფერია მოულოდნელი და გასაკვირალი. ტროცკი არასოდეს არ ყოფილა ნამდვილი მებრძოლი ბოლშევიკი. იგი 1902 წლიდან მენშევიკებთან ერთად ებრძოდა ლენინის პარტიას და მხოლოდ გრძნობების ზეგავლენით (სანტიმენტალურად) დაუახლოვდა მას 1917 წელს, როცა რევოლიუციის ტალღამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. როცა ტალღის უკუქცევა დაიწყო, იგი შეაშინა იმ მძიმე და რთული საქმის სიძნელემ, რომელიც წინ ედგა რუსეთის რევოლიუციის მთავარ შტაბს, და ამ უკანასკნელს მრავალს ჯერ ისეთი გზები ურჩია, რომელიც რევოლიუციას უფსკრულში გადაჩეხდა. მისი დაფასება პროლეტარული რევოლიუციის პირობებისა და ძალებისა მუდამ შემცდარი იყო, ამ დაფასებას იგი ფატალურად სისტემატიურ ოპოზიციაში უნდა ჩაეყენებია ლენინური ხაზის წინააღმდეგ ჯერ პარტიის შიგნით, ხოლო შემდეგ მის გარეთ.

როგორიც არ უნდა იყოს ადამიანის დამსახურება რევოლიუციის წინაშე, ამა თუ იმ მომენტში, კომუნისტურ ინტერნაციონალს არ შეუძლია მისი დაზოგვა, როცა იგი შორდება სწორ ხაზს, ან, მით უმეტეს, როცა იგი გაავთრებული კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადადის. საერთაშორისო რევოლიუციის უზენაესი ინტერესი მაღლა სდგას ყოველ ამგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ მოსაზრებაზე და ამართლებს მკაცრი ზომების მიღებას მტრების წინააღმდეგ. საფრანგეთის კომუნისტური პარტია მიესალმება იმ ამბავს, რომ საბჭოთა კავშირში მუშები ათასობით ეწერებიან ბოლშევიკურ პარტიაში. იმ მომენტში, როცა ტროცკის გაძევება ხდება, ესაა საბჭოთა კავშირის პროლეტარული მასის საუკეთესო პასუხი საერთაშორისო ბურჟუაზიის და კომუნიზმის რენეგატების გაერთიანებული იერიშების წინააღმდეგ, ესაა აგრეთვე ნდობის გამოცხადება ბოლშევიკური პარტიის ლენინისტური ხელმძღვანელობისადმი, რომელიც რევოლიუციის ბედს პატრონობს.

საფრანგეთის კომპარტია აცხადებს, რომ იგი მზადაა ინტერნაციონალთან ერთად ულმობელი ბრძოლა აწარმოოს ტროცკისტული ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც სცდილობენ გზა აუბნიონ მუშათა კლასს და ზურგი აქციონ თავის ერთად-ერთ კლასობრივ პარტიისათვის. ერთი მუჭა ავანტიურისტები და წვრილი ბურჟუები, რომელნიც ტროცკიზმს ემხრობიან საფრანგეთში, აშკარათ შეკავშირებულნი არიან ბურჟუაზიასთან კომუნიზმის წინააღმდეგ (პიუტოს არჩევა და სხვ.); ისინი განსაკუთრებით ებრძვიან ჩვენს ხაზს პროფკავშირებში და უერთდებიან პესიმისტურად განწყობილ ჯგუფებს, რომელნიც კაპიტალიზმის ხანგრძლივ სტაბილიზაციას აღიარებენ და ომის საფრთხეს უარყოფენ. აუცილებლად საჭიროა მათი გამომჟღავნება შეუბრალებლად მუშათა მასის წინაშე, როგორც ნამდვილი კონტრრევოლიუციონერებისა. საფრანგეთის კომპარტია მოუწოდებს მუშებს შემჭიდროვდნენ და გაერთიანებული ფრონტით წინააღუდგენ კომუნისტური ინტერნაციონალის მტრებს, სადაც არ უნდა იყვნენ ეს უკანასკნელნი და დაიცვან საბჭოთა კავშირი, რომელსაც საერთაშორისო ბურჟუაზია ომით ემუქრება".

„ლიუმანიტე" 23 თებერვალი.

ლოზუნგები

თებერვლის რევოლიუციის მეთორმეტე წლის თავისა და ამიერ-კავკ. ფედერაციის არსებობის მეშვიდე წლის თავისათვის

1. ამ 12 წლის წინად მეფის რუსეთის ხალხებმა დაამხეს თვითმპყრობელობა, მოიშორეს მემამულეთა უღელი და ცარიზმს თებერვალში მოპოვებული გამარჯვებით გზა გაუკაფეს ოქტომბრის გამარჯვებას ბურჟუაზიაზე.

2. მეფის რუსეთის ნანგრევებზე ხალხთა საპყრობილეს ნაცვლად მუშათა კლასმა შექმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მძლავრი კავშირი—ხალხთა ძმური თანამშრომლობის უნახავი ფორმა.

3. გაუმარჯოს ამიერ-კავკ. ფედერაციას, რომელიც შეიქმნა ამ 7 წლის წინად საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიით!

4. მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატისტებმა, რომელნიც ამიერ-კავკასიაში ერთა შორის ბრძოლას აღვივებდნენ, ამიერ-კავკასიის ხალხთა საპყრობილედ გადააქციეს. გადამჭრელი ბრძოლა იმპერიალიზმის დამქაშებს—მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატისტებს!

გაუმარჯოს საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელთა დაურღვეველ კავშირს!

5. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხების ინტერნაციონალურ ძმობას—სოციალისტური მშენებლობისა და პროლეტარული დიქტატურის ურყევ ზღუდეს!

6. ძირს ნაციონალიზმი და შოვინიზმი! ძირს ეროვნული შუღლის გამღვივებელნი—მშრომელთა და სოციალისტური მშენებლობის მტრები.

7. მოვსპოთ ფეოდალიზმის ნაშთები, ამიერ-კავკასიის ქალის ყოფაცხოვრებითი უთანასწორობა, მოვიშოროთ რელიგიის უღელი, გავაფართოვოთ ოქტომბრის კულტურული მონაპოვარნი, განვამტკიცოთ ჩვენი სამეურნეო მთლიანობა, გავაძლიეროთ ამიერ-კავკ. ფედერაციის ეკონომიური ბაზისი!

8. ამიერ-კავკასიის ფედერაციამ უზრუნველყო საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელთათვის ბრწყინვალე გამარჯვებანი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. გაუმარჯოს ამიერ-კავკ. კომპარტიებს, რომლებმაც შექმნეს და განამტკიცეს ამიერ-კავკ. ხალხთა კავშირი!

9. კომინტერნი აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა ბელადი და დასაყრდენია იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, უფრო მჭიდროდ შევაკავშიროთ ჩვენი რიგები, მაღლა ავწიოთ ლენინის დროშა, მტკიცედ, განუხრელად განვახორციელოთ ლენინის აღთქმები და აღმოსავლეთის მიჯნაზე დავიცვათ პროლეტარული რევოლიუციის მიღწევები.

10. გაუმარჯოს კომინტერნს—პროლეტარული რევოლიუციის მსოფლიო შტაბს! გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ფედერაციას—კომინტერნისა და პროლეტარული რევოლიუციის ავანპოსტს აღმოსავლეთის მიჯნაზე.

11. საკავშირო კომპარტია (ბ)—ოქტომბრის პარტია—კომინტერნის ავანგარდია. გაუმარჯოს კომინტერნს—მსოფლიო ოქტომბრის პარტიას!

12. პატივი და დიდება ცარიზმთან ბრძოლის გმირებს, მეფის საპყრობილეებისა და ჯალათების მიერ ტანჯულთ, რომლებმაც თავიანთი გმირობით ნიადაგი მოუმზადეს პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებას! გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას! გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

13. ბურჟუაზია აწყობს მებრძოლ ფაშისტურ ორგანიზაციებს რევოლიუციონური მოძრაობის გასანადგურებლად. ძირს ფაშიზმი, ძირს მისი ხელის შემწყობნი და აგენტები — მენშევიკები! გაუმარჯოს მუშათა კლასისა და ჩაგრული ხალხების თავგანწირულ ბრძოლას მსოფლიო რეაქციასთან და მჩაგვრელებთან!

14. გაუმარჯოს პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს—საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლოს! გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მსოფლიო კავშირს!

15. გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას, რომელიც მიდის ახალ გამარჯვებებისაკენ, ახალ მიღწევებისაკენ, ჩვენი საბოლოო გამარჯვების დიადი დღეებისაკენ!

16. მთელი ძალღონე მოვახმაროთ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, გავაფართოვოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, განვამტკიცოთ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, შევასრულოთ მსოფლიო პროლეტარიატის დიადი ბელადის—ლენინის აღთქმები!

17. თებერვლის რევოლიუციამ მოსპო თვითმპყრობელობა, რომელმაც მეფის რუსეთის ხალხები ჩაითრია მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში, ოქტომბერმა ბოლო მოუღო კერენსკების ბატონობას და იმპერიალისტური ომი გადააქცია სამოქალაქო ომად. კომინტერნი—ოქტომბრის ღვიძლი შვილი—რაზმავს მუშათა კლასს საბრძოლველად ახალ იმპერიალისტურ ომებთან, იმ ომთან, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მზადდება. გაუმარჯოს კომინტერნს—მსოფლიო ოქტომბრის ორგანიზატორს!

18. ამიერ-კავკ. პროლეტარებო და მშრომელო გლეხებო! განამტკიცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაცია. იგი შეიცავს ჩვენი ახალი გამარჯვებების საწინდარს სოციალიზმის გზაზე!

19 თებერვალმა და ოქტომბერმა მოსპეს მეფის არმია, გაუმარჯოს წითელ არმიას, რომელიც იშვა სამოქალაქო ომის ცეცხლში! გაუმარჯოს წითელ არმიას—კომინტერნის არმიას, ჩაგრულ ხალხთა ფარსა და დასაყრდენს, პროლეტარული დიქტატურის დიადი ლოზუნგის მატარებელს!

20. ეროვნული კულტურის მშენებლობა არის ნაციონალიზმთან და შოვინიზმთან ბრძოლის მძლავრი იარაღი, გზა მომავალი კომუნისტური საზოგადოების არანაციონალურ კულტურისაკენ.

21. ამიერ-კავკასიის ფედერაციამ ფართო გზა გაუხსნა ამიერ-კავკასიის მუშა და გლეხ-ქალებს საყოფაცხოვრებო და კულტურული თავისუფლების მოსაპოვებლად. საქართველოს აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელო ქალებო, განამტკიცეთ ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური კავშირი!

22. მენშევიკურ-დაშნაკურ-მუსავატისტურ რეაქციასთან გამართული ბრძოლით ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობამ დაუმტკიცა ერთგულება ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმური ერთობის საქმეს. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს, ამიერ-კავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტურ ხელმძღვანელს, ამიერ-კავკასიის ერთა ძმური კავშირისათვის მტკიცე მებრძოლს!

23 ერთსულოვნად უკუვაქციოთ კულაკურ-ნეპმანური ელემენტების ის ცდა, რომლის მიზანია ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ჩაშლა.

24. ამიერ-კავკასიის მუშებო და გლეხებო! განამტკიცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის დამაარსებელისა და შემომქმედის—კომუნისტური პარტიის რიგები!

25. ფორმით ეროვნული, შინაარსით პროლეტარული,—ასეთია ის კულტურა, რომელსაც ჰქმნიან ამიერ-კავკასიის ერები. გაუმარჯოს მარქსიზმს და ლენინიზმს—ძველი მსოფლიოს გარდაქმნის მძლავრ იარაღს.

საქ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

მესამე და მეოთხე დღე

8 მარტის, საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ვ. ანთიძის მოხსენება მუშათა დაწინაურების შესახებ, რის შემდეგ ამ საკითხის გარშემო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მუშათა დაწინაურება

ამხ. ვ. ანთიძის მოხსენება

„უკვე ცხადია ყველასათვის—ამბობს მომხსენებელი, რომ ნაყოფიერი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება და რაციონალიზაცია, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები შეივსება კლასიურად გათვითცნობიერებული, სოციალისტური მშენებლობისათვის მომზადებული და თავდადებული მუშური ელემენტებით. ჩვენი აპარატის გაჯანსაღების ერთ-ერთ საიმედო ღონისძიებას წარმოადგენს მუშათა დაწინაურება ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მაგრამ საქართველოს პროფორგანიზაციებს ამ მიმართულებით უკანასკნელ დრომდე არ უწარმოებიათ სისტემატიური მუშაობა.

ეს აიხსნება უმთავრესად პროფკავშირების უმოქმედობით. პირველ ყოვლისა ისინი არ ცდილან—შეეგნოთ ამ დიდი ამოცანის მნიშვნელობა და მისი ნამდვილი შინაარსი. ჯერ კიდევ ბევრს მუშაკს უბრალო წინ წაწევა სამსახურში მიაჩნია დაწინაურებად.

დაწინაურების მეთოდები ბევრგან დამახინჯებულია, მუშათა საზოგადოებრიობის როლი ამ საქმეში თითქმის უმნიშვნელოა: არ იმართება მუშათა საერთო კრებები დასაწინაურებელ კანდიდატების შესარჩევად, საწარმოო თათბირებზე არ იხმება მუშათა დაწინაურების საკითხი, არ სწარმოებს დასაწინაურებელ კანდიდატების აღრიცხვა და შერჩევა; არ სწარმოებს დაწინაურებული ამხანაგების მუშაობის შესწავლა და გამოკვლევა; არ იმართება თათბირები დაწინაურების შესახებ, და სხვა.

თითქმის არაფერია გაკეთებული ქალთა დაწინაურების საქმეში, მაშინ, როცა დირექტივა გარკვევით გვეუბნება, რომ დაწინაურებულ ქალთა რაოდენობა უნდა შეეფარდებოდეს მათ ხვედრით წონას ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში. ამ კარდინალური ამოცანის ასეთ მდგომარეობაში დატოვება უდრის ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების შეგნებულად შეფერხებას, რაც უდიდეს დანაშაულად ჩაეთვლება პროფორგანიზაციებს. ჩვენი მოვალეობაა, რომ დაუყოვნებლივ შევუდგეთ მდგომარეობის გამოსწორებას, და ამ თავითვე გავამახვილოთ მთელი მშრომელი მასის, მისი აქტივის ყურადღება ამ საკითხის მოსაწესრიგებლად.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ოპონენტები მთავარ დაბრკოლებად დაწინაურების საქმეში სთვლიან სამეურნეო ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელთა კონსერვატიზმს, უფრო მეტად კი—თვით პროფკავშირების უმოქმედობას. ორატორები ადასტურებენ, რომ კავშირის ძირითადი ორგანოები არ აწარმოებენ დასაწინაურებელ მუშათა აღრიცხვას, აქტიურ მუშაობის შესწავლას და ამის მიხედვით კანდიდატთა შერჩევას, არ იკვლევენ დაწინაურებულ მუშის საქმიანობას, არ ავალებენ ამ უკანასკნელს ანგარიშით წარუდგინოს საწარმოო თათბირებს და არ ღებულობენ ზომებს შეუფერებელი კანდიდატების წინ წაწევის წინააღმდეგ და სხვ.

თვითკრიტიკა და პროფორგანიზაციები

ამხ. გოლდბაუმის მოხსენება

თავის მოხსენების შესავალში ამხ. გოლდბაუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს დირექტივები თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარების შესახებ. როგორც ზემდგომმა, ისე ძირითადმა ორგანიზაციებმა ვერ წარმართეს თავისი მუშაობა ისე, რომ თვითკრიტიკა მასსიურ მოვლენად გადაქცეულიყო. მათ თვითკრიტიკის ლოზუნგი არ გაურჩევიათ ფართო მუშათა კრებებზე, ხოლო ზოგიერთმა კავშირებმა თავისი როლი ამ საქმეში განსაზღვრეს იმით, რომ ზემოხსენებული დირექტივები გაამრავლეს და გადაუგზავნეს ძირითად უჯრედებს. თავის მხრივ არც ამ უკანასკნელთ გაუკეთებიათ რაიმე მნიშვნელოვანი საქმე იმისათვის, რომ თვითკრიტიკაში ჩაბმულიყო პროფკავშირთა ძირითადი მასა. ამ სუსტ მუშაობას მიეწერება ის გარემოება, რომ ბევრი ორგანიზაცია თვითკრიტიკას უყურებს როგორც დროებით მოვლენას, რომელიც დროებითი ხასიათის ნაკლოვანებების გამოსწორებისაკენ არის მიმართული; ნამდვილად თვითკრიტიკა არის არა დროებითი ღონისძიება, არამედ, როგორც ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთელი სისტემა, რომელიც გულისხმობს ხანგრძლივ ბრძოლას მემკვიდრეობით დარჩენილ, სოციალისტური მშენებლობის შემაფერხებელ უკულმართობასთან. მიუხედავათ პროფკავშირების ნაკლები აქტივობისა, ამ საქმეში, თვითკრიტიკის ლოზუნგი მაინც შეიჭრა მასაში უმთავრესად პარტიული აპარატის და პრესის საშუალებით. თვითკრიტიკას ლოზუნგს გამოეხმაურენ მუშა-მოსამსახურეთა ფენები, რომელთაც გახშირეს კრებებზე, საწარმოო თათბირებზე სიარული; გაიზარდა მასის აქტივობა კრებებზე, თათბირებზე, დამსწრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოველ მონაწილეობას იღებს სამეურნეო და სხვა ხასიათის საკითხების განხილვაში, და ხშირად გამოთქვამს მოურიდებელი მსჯავრი ამა თუ იმ ორგანიზაციის, ან პასუხისმგებელი პირის მოქმედებაზე. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად თვითკრიტიკა მასიურ მოვლენას წარმოადგენდეს. ჯერ-ჯერობით უფრო მეტად ადგილი აქვს კრიტიკას ზევიდან, ვიდრე ქვევიდან. ამას ამტკიცებს საქართველოს პროფკავშირთა უკანასკნელი ყრილობა, სადაც პროფსაბჭოს თავმჯდომარემ უფრო დაუნდობლად გააკრიტიკა პროფსაბჭოს მუშაობა, ვიდრე ადგილობრივმა დელეგატებმა.

თვითკრიტიკა უმთავრესად მიმართულია უმნიშვნელო წვრილმანების წინააღმდეგ. აკრიტიკებენ უმთავრესად სამეურნეო ორგანიზაციებს, მათ ხელმძღვანელებს, ხოლო ამავე დროს კი ივიწყებენ თავის საკუთარ შეცდომების და ნაკლოვანებების გაკრიტიკებას, ვინც მუშა-მოსამსახურეებს კი ნაკლი ბლომად მოეპოვება. შრომის დისციპლინის დარღვევა, დღეების უმიზეზოთ გაცდენა, შრომის ნაყოფიერების დაცემა — აი ის მოვლენები, რომელთა აღმოსაფხვრელად უნდა მიმართონ მუშებმა თვითკრიტიკის იარაღი, ხანდახან თვითკრიტიკას საფუძვლად უძევს პირადი ანგარიშების გასწორება, უსაფუძვლო სიძულვილიც სპეციალისტებისადმი და დაუკვირვებლობა. შეუმცდარი არავინ არის. შეიძლება, სპეციალისტი და სამეურნეო მუშაკიც შეცდეს, მაგრამ ეს შეცდომა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ბოროტი განზრახვა, როგორც მავნებლობა. აქ საჭიროა დაკვირვება და სიფრთხილე. თვითკრიტიკა სპეცჭამიობათ არ უნდა გადაიქცეს.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. ოპონენტთა დიდი უმრავლესობა არ ეთანხმებოდა მომხსენებლის დებულებას იმის შესახებ, რომ თითქოს პროფორგანიზაციებმა არ მიიღეს სათანადო ზომები თვითკრიტიკის ლოზუნგის გასატარებლად. მათი აზრით, კავშირების დიდი დატვირთვის გამო შეუძლებელი იყო იმაზე მეტის გაკეთება, რაც გაკეთდა თვითკრიტიკის ლოზუნგში მასაში გადატანისთვის. მომხსენებლის მიერ აღნიშნული სხვა ნაკლი თვითკრიტიკის საქმეში ოპონენტებმა უდავოდ სცნეს და გაიზიარეს მის მიერ წამოყენებული ღონისძიებები თვითკრიტიკის გასაღრმავებლად.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ

ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება

შრომის დისციპლინის განმტკიცება, — ამბობს მომხსენებელი, — ჩვენი დღეების აქტუალური ამოცანაა. მაგრამ ამ ამოცანის მნიშვნელობა ყველას სათანადოდ არა აქვს გათვალისწინებული. ბრძოლას შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის არ უნდა მიეცეს ვიწრო ხასიათი. შრომის დისციპლინის განმტკიცება არ გულისხმობს ბრძოლას მარტო მუშაობის უმიზეზო გაცდენასთან, ან მუშების მიერ მანქანების, სამუშაო დაზგების მოუვლელობასა და უხეირო მოპყრობასთან. უკანასკნელ დრომდე პროფკავშირების ზოგიერთ ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით ძირითად პროფუჯრედებს, ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის წარმოდგენილი ქონდათ, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციის მოვალეობა. იყო შემთხვევები, როცა ქარხკომები და ადგილკომები გამოდიოდენ ადმინისტრაციის წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი ებრძოდა დღეების უმიზეზო გაცდენას. ეს დიდი შეცდომაა, რაც აიხსნება პროფკავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ თავისი ამოცანის შეუგნებლობით. ჩვენ არა თუ უნდა აღმოვფხვრათ ასეთი ყალბი შეხედულება, არამედ რადიკალურად უნდა დავსვათ საკითხი პროფკავშირების აქტივობის გაძლიერების შესახებ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ბრძოლა დისციპლინისათვის პროფკავშირებმა უნდა გახადონ თავის ყოველ-დღიურ საქმედ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქარხკომებმა ხელი მოჰკიდონ და თავს იდვან ადმინისტრატიული ღონისძიებების გატარება იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც შრომის დისციპლინას არღვევენ. ასეთი ღონისძიებების მიღება ადმინისტრაციის მოვალეობას შეადგენს. პროფკავშირების დანიშნულება კი არის, რომ წარმოებებში შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებიც არ ერიდებიან მუშაობის უმიზეზო გაცდენას, განიცადონ მთელი მუშათა მასის მორალური ზეგავლენა. კავშირებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა კულტურულ საგანმანათლებლო ხაზით, გააშუქონ შრომის დისციპლინის საკითხები კედლის გაზეთებში, მოაწყონ საჩვენებელი გასამართლება და სხვ. საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესებაც შესამჩნევად შეუწყობს ხელს პროფდისციპლინის განმტკიცებას, ამ თათბირებზე ხშირად უნდა დაისვას განსახილველად საკითხები იმ ტკივილების განკურნებისათვის, რომლითაც დაავადებულია ჩვენი წარმოებები შრომის დისციპლინის დაცემის გამო. საჭიროა ბრძოლა შრომის დისციპლინისათვის არა მარტო მუშებში, არამედ ადმინისტრატიულ და ტექნიკურ მუშაკთა შორისაც, რომელთა მუშაობა სანიმუშო უნდა იქნეს მუშებისათვის.

მათ შრომის დისციპლინის დარღვევად უნდა ჩაითვალოს აქ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეუსრულებლობა თვითღირებულების შემცირების, ნედლეულობის თავის დროზე მიწოდების შესახებ, რადგან ამ დადგენილების შეუსრულებლობა იწვევს წარმოების გაცდენას; შრომის დისციპლინის დარღვევაა აგრეთვე ადმინისტრაციის მიერ, როცა იგი არ ატარებს შინაგან განაწესს წარმოების ცხოვრებაში და არ მიმართავს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ამ განაწესს არ ემორჩილებიან. ადმინისტრაციას უნდა მოეთხოვოს, რომ მაგრად მოჰკიდოს ხელი შინაგან განაწესის გატარებას და ზურგს უკან არ ამოაფარონ ქარხკომებს, რომელსაც ხშირად ავალებენ თავიანთ საქმეს, — ადმინისტრატიული ღონისძიებების მიღებას შრომის დისციპლინის დამრღვეველთა წინააღმდეგ.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა - გამოცვლის დროს ოპონენტები იზიარებდნენ რა მომხსენებლის დებულებებს, ასახელებდნენ კონკრეტიულ ღონისძიებებს, რომელიც უნდა მიიღონ პროფორგანიზაციებმა შრომის დისციპლინის ასამაღლებლად.

მოხსენებათა დამთავრების შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები.

შრომის გმირები

ამხ. საბა ორჯონიკიძის წინადადებით პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა პრეზიდიუმის დადგენილება შრომის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ შემდეგი პირებისათვის:

დიმიტრი იოსების ძე გულია. საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწე. შრომის სტაჟი 1890 წლიდან. შეადგინა აფხაზური ენის ანბანი, აქვს შრომები რუსულ და ქართულ ენებზე, შეკრიბა აფხაზური ხალხური პოეზიის ნიმუშები, დაარსა პირველი აფხაზური გაზეთი.

ბორის კარლოს ძე სავინსკი. რკინისგზელი, მუშაობს 1883 წლიდან თბილისის და ბაქოს რკინის გზის სახელოსნოებში. აქვს მრავალი მნიშვნელოვანი გამოგონება და გაუმჯობესება. თავის გამოგონებით დიდი სამსახური გაუწია ტრანსპორტს სამოქალაქო ომის დროს. აზერბეიჯანის მთავრობიდან მინიჭებული აქვს შრომის გმირის სახელწოდება.

მამედ მოლა ბაირამ-ოღლი ბედია. მეზღვაური. შრომის სტაჟი 46 წელი. მსახურობდა წყალზე გადარჩენის საზოგადოებაში. გადარჩენილი ჰყავს არა ერთი ათასი ადამიანი. წყალზე გადარჩენის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია ოქროს ნიშნით. ამიერ-კავკ. ცაკისაგან მინიჭებული აქვს შრომის დროშის ორდენი.

კონსტანტინე ხეჩინოვი: მეზღვაური. შრომის სტაჟი 50 წელიწადი. გადარჩენილი ჰყავს მრავალი გემი განსაცდელისაგან. აქვს რევოლიუციონური დამსახურებაც, 1905 წ. ერთ-ერთ გემის კაპიტანად ყოფნის დროს დაღუპვისაგან გადაარჩინა უცხოეთის გემი, რომელმაც ჩამოიტანა იარაღი რევოლიუციონერებისათვის. გემზე მალავდა რევოლიუციონერებს.

კ. დ. მესხი. შრომის სტაჟი 44 წელიწადი. დამსახურებული რევოლიუციონერი, „ნაროდნაია ვოლიას" აქტიური წევრი. იყო დევნილი მეფის მთავრობის მიერ. იჯდა ციხეებში და გადასახლებული იყო ციმბირში. ივი ამჟამადაც ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას.

ექ. კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე. დამსახურებული საზოგადო მუშაკი. დაარსა პირველი ქსენონი საქართველოში—სოფ. ჯიხაიშში 22 წელიწადი მუშაობდა ბაქოს ნავთის სარეწაოებზე ექიმად, დაიმსახურა მუშების სიყვარული. აქვს შრომები საექიმო დარგში.

ინჟ. ბესარიონ ალექსის ძე ჭიჭინაძე. დიდი ღვაწლი მიუძღვის მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და საქართველოს ელექტროფიკაციის საქმეში. აქვს სამეცნიერო შრომები.

არშაკ სერგოს ძე ბაბოვი. სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის პროფესორი. დამსახურებული საზოგადო მუშაკი. აქვს სამეცნიერო შრომები.

სტეფანე საბას ძე გარიშვილი. რკინისგზელი მუშა. საწარმოო სტაჟი 41 წელიწადი. ძველი დამსახურებული რევოლიუციონერი.

გიორგი დავითის ძე როჭელაძე. რკინისგზელი მუშა. საწარმოო სტაჟი 43 წელი. რევოლიუციონური მუშაობის სტაჟი 1896 წლიდან.

ანდრო ფირცხალავა. რკინის გზელი მუშა. საწარმოო სტაჟი 35 წელი, რევოლიუციონური მუშაობის სტაჟი 31 წელიწადი.

სტეფანე ტარიელის ძე ზაქრაძე. რკინისგზელი მუშა. საწარმოო სტაჟი 39 წელიწადი. რევოლიუციონური მუშაობის სტაჟი 31 წელიწადი.

პლენუმზე მყოფ ზოგიერთ შრომის გმირებს შეხვდნენ მქუხარე ტაშით და ოვაციით.

პლენუმს მოკლე სამადლობელო სიტყვით მიმართა ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ.

დასასრულ პლენუმმა მქუხარე ტაშით მოისმინა გერმანიის წითელ ფრონტელთა კავშირის წერილობითი მისალმება საქართველოს პროფკავშირებისადმი.

ამით დამთავრდა პლენუმის უკანასკნელი სხდომა.

საქ. ს. მ. უ. საბჭოს პლენუმი

უკანასკნელი სხდომა

ამხ. პევცოვის მოხსენება

პლენუმის მეორე სხდომაზე, 9 მარტს საღამოს, მოსმენილი იქნა საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. პევცოვის მოხსენება თვითღირებულების შემცირების, საწარმოო პროგრამის შესრულების, შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ამაღლების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ქარხნების მეტი წილი მუშაობდა დაძველებული მოწყობილობით და გარდა ამისა გადიდდა ზოგიერთი ნედლეულის (თამბაქო, პარკი), დასამზადებელი ფასები. მრეწველობის პროდუქციის ფასი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასულ წელთან შედარებით, საშუალოდ შემცირებულია დაახლოვებით 8 პროცენტით. თუმცა ზოგიერთ ნაწარმოების თვითღირებულება გადიდებულია (მაგ. [illegible]—0,4 პროც., [illegible]—3,3 პროც. და ქვანახშირი 3 პროცენტით). მაგრამ არის ნაწარმოები, რომელთა თვითღირებულება შემცირებულია დიდი რაოდენობით ([illegible]—34 პროც.).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საწარმოო გეგმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთლიანად ვერ იქნა შესრულებული. მაგრამ ტრესტებს მიეცათ სასტიკი გაფრთხილება რამაც უკვე გამოიღო სათანადო ნაყოფი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლის დამლევისათვის საწარმოო გეგმა მთლიანად იქნება შესრულებული.

თუ გასული წლის პირველ კვარტალში წარმოებებში დაკარგულ კაც-დღეთა რაოდენობა 23.834 უდრიდა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ის ციფრი შემცირებულია 18.917 კაც-დღემდე.

შრომის ნაყოფიერება ყველა წარმოებებში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაიზარდა 8.9 პროც. ხელფასი კი—6,6 პროც.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ზრდის პროცენტული შეფარდება ჩამორჩება სადირექტივო ორგანოების დადგენილებას და მიღებული უნდა იქნეს გადამჭრელი ზომა, რომ ის შეფარდება ნორმალურ კალაპოტში ჩაეყენოთ და დასახული ამოცანა (შრომის ნაყოფიერების გადიდება 14 პროცენტით და ხელფასის გადიდება 5 პროცენტით) შესრულდეს მთელი ასი პროცენტით.

ამხ. პევცოვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. გარინმა, კრავცოვმა, ჩომახიძემ, ს. გოდაბრელიძემ, ს. ხვედელიძემ, პაპავამ და ხარაზიამ.

ამხ. ელბაქიანის მოხსენება

ამხ. პევცოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ტექნიკური მოწესრიგების შესახებ მოხსენება გააკეთა სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ლ. ელბაქიანმა. მომხსენებელმა აღნიშნა რომ თითქმის ყველა ჩვენი წარმოებები მუშაობენ ტექნიკური მოწესრიგების გარეშე. შემუშავებული არ არის გამომუშავების ნორმები. რაც დიდად აფერხებს როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეს, აგრეთვე თვითღირებულების შემცირებას და საწარმოო გეგმის განხორციელების მოწესრიგებას. მიუხედავად იმისა რომ სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მოაწყო ტექნიკურ მოწესრიგების მუშაკთა სპეციალური კურსები და მომზადდა ხალხი, წარმოებები ამ ხალხს მაინც არ იწვევენ და განაგრძობენ ძველებურად მუშაობას. ამ გარემოებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება და ყველა წარმოებებში მოწყობილი უნდა იქნეს ტექნიკური მოწესრიგება და დაწესებული უნდა იქნეს გამომუშავების ნორმები. მით უმეტეს, რომ ახლო მომავალში წარმოებების მეტი ნაწილი გადაყვანილი უნდა იქნეს სათანადო სამუშაოებზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. სოკოლოვმა, იზრაილმა, ბ. ჭიჭინაძემ და სხვ.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუციები და პლენუმი დაიხურა.

თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად

მოსკოვი, 9 მარტი. საკავშირო სახკომსაბჭომ მიიღო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას როგორც ნათესი სივრცის გაფართოების, ისე მოსავლიანობის გადიდების მხრივ. საკავშირო სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ევალება—მიიღოს ზომები იმისათვის, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიის დაწყებამდე მაქსიმალურად გაძლიერდეს სადეფიციტო სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღის გამოშვება, აგრეთვე სათადარიგო ნაწილების მიწოდება. მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომსაბჭოებს წინადადება ეძლევათ—მიიღონ გადამჭრელი ზომები სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების სავსებით გამოსაყენებლად მომავალ თესვის კამპანიაში, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის, უკრაინის და ბელორუსიის ეკონომსაბჭოებს ეკისრებათ—დაავალონ ადგილობრივ ორგანიზაციებს, რათა უზრუნველჰყონ ფოსფორიტის ფქვილის წარმოების გაფართოვება. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ადგილობრივმა ორგანოებმა სესხის გაცემის დროს მთესველებს უნდა მოსთხოვონ ნათესი სივრცის გაფართოვება და ზომების მიღება მოსავლიანობის გასადიდებლად. მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომსაბჭოებს ევალებათ—უზრუნველჰყონ კრედიტების მაქსიმალური სისწრაფით მიწოდება 1929 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიაში (ადს).

სამეურნეო კომისიების მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი, 9 მარტი. 8 მარტს სამეურნეო მუშაკთა ყრილობამ მოისმინა მოხსენებანი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ამხ. ოსადჩიმ ინდუსტრიალიზაციისა და ტექნიკური პოლიტიკის საკითხების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ წყლის ძალებით უზრუნველყოფის მხრივ საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწორი გამოყენებისათვის საჭიროა სათანადო კადრების მომზადება და მშრომელთა მასების საერთო კულტურული დონის ამაღლება.

ამხ. სტრუმილინმა მოხსენება გააკეთა ხუთწლიანი გეგმის [illegible] ნაწილთა ბალანსების შესახებ. მან აღნიშნა, რომ 5 წლის დამლევს საბჭოთა კავშირი ხელფასის სიდიდით გერმანიისა და ინგლისს გაუსწრებსო.

ამხ. კალინიკოვმა მოხსენება გააკეთა ლითონის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ და აღნიშნა სხვადასხვა თვალსაჩინო წარმატება. შესამჩნევ მიღწევებს გვიჩვენებს [illegible] სპეციალური მანქანათმშენებლობა, დიზელებისა და ორთქლტურბინების წარმოება, სატრაქტორო და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა.

ამხ. ლარიჩევმა მოახდინა საწვავ-სათბობი მასალის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის დაწვრილებითი ანალიზი. მან აღნიშნა, რომ ქვა-ნახშირის ხვედრითი წონა სათბობ-საწვავის ბალანსში გაიზარდა 59,3 პროცენტიდან 65,5 პროცენტამდე. სათბობ-საწვავ მასალის შიგაური მოხმარება საერთოდ 5 წლიწადში გადიდდება 65 პროცენტით და 53 მილიონ ტონიდან 88 მილიონ ტონამდე ავა. ნახშირისა და საწვავი ნავთის ექსპორტი 5 წლიწადში [illegible] ორად გაიზრდება. (ადს).

მისტერ ტროცკი ბურჟუაზიის სამსახურში

ანუ

ტროცკის პირველი ნაბიჯები საზღვარგარეთ

ბურჟუაზიულ რეაქციონურ პრესას 1929 წლის თებერვლის ბოლომდე ახალი თანამშრომელი შეემატა. გაზეთ „დეილი ექსპრეს"-ის (კონსერვატიული პარტიის ორგანო, ჩემბერლენის ორგანო) ფურცლებზე ინგლისში, „ნიუ გერალდ ენდ ტრიბიუნ"-ასა, „ნიუ-იორკ ტაიმს"-სა (ამერიკული კაპიტალისტების ორგანოები) ულტრა კონსერვატიული ჰოლანდიური გაზეთებში „ალგემეინე ხანდელს ბლატ"-სა, „ნიუვე ნოტერდამერ კურანტ"-ში, აგრეთვე სხვა რეაქციონურ და ბურჟუაზიულ ორგანოებში, რომლებსაც ამერიკული სააგენტო „კონსოლიდაიტედ პრესს"-ი ემსახურება, დაბეჭდილია ტროცკის წერილების სერია, რომლებიც ტროცკიმ მიჰყიდა ამ სააგენტოს დოლარების დიდ თანხად. თავისთავად ცხადია, ეს იწვევს ბურჟუაზიული პრესის დიდ ზეიმს, რომელსაც სიზმრადაც არ მოელანდებოდა, რომ 1929 წელში მისი თანამშრომელი გახდება „მისტერ ტროცკი", როგორც აღნიშნულია ტროცკის სურათის ქვეშ გაზეთ „დეილი ექსპრეს"-ის ფურცლებზე 1929 წლის 27 თებერვლის თარიღით. ამ ამბით აღფრთოვანებული „დეილი ექსპრეს"-ი და სხვა ბურჟუაზიული ორგანოები ბეჭდავენ შემდეგ სენსაციურ ანშლაგებს: „ტროცკის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ისტორია რუსეთიდან მისი გადასახლების შესახებ", „განდევნილი რევოლიუციონერის დრამატიული მხილება", „მკაცრი იერიშები მისი მთავარი მტრის—სტალინის წინააღმდეგ". შემდეგ „დეილი ექსპრეს"-ი აფრთხილებს თავის მკითხველებს, რომ ტროცკის „მხილებების მეორე ნაწილი" ხვალ იქნება გამოქვეყნებული მხოლოდ და მხოლოდ „დეილი ექსპრეს"-ში.

დიახ, ბურჟუაზიას აქვს საბუთი მიეცეს სიხარულს. „მისტერ ტროცკის" სახელი დროებით შეიძლება გამოიყენონ სენსაციის მოყვარული, ბურჟუაზიული პრესის მიერ გაბრიყვებული მკითხველის მისაზიდავად და არ დაიშურებენ ტროცკის მისცენ რამოდენიმე ათასი, რამოდენიმე ათი ათასი დოლარი მისი წერილებისათვის, რომლებიც სავსეა ცილისწამებით კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართ.

ტროცკის, როგორც ყოფილი „ოპოზიციის" ხელმძღვანელის და ანტისაბჭოთა არალეგალური პარტიის ორგანიზატორის, ბედი უკანასკნელ წლებში ძალიან აინტერესებდათ ჩვენს კლასობრივ მტრებს.

მენშევიკი გორი „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ში (დანის და აბრამოვიჩის ორგანო) პარტიაზე ტროცკისტების უმკაცრესი თავდასხმის პერიოდში სწერდა:

„რადეკის ჩინური სიბრძნე მალე წიეცემა დავიწყებას... მაგრამ მაგრად იქნება დამახსოვრებული ტროცკის მოსწრებული ისარივით ბასრი სიტყვა —„ყველაზე უფრო დიდი ყველა საშიშროებათა შორის არის პარტიული რეჟიმი", მასების უკმაყოფილება თავისებურად გაიგებს და ფართოდ განმარტავს ტროცკის მოსწრებულ სიტყვას. ყველაზე უფრო დიდი, ყველა საშიშროებათა შორის არის არა მმართველი პარტიის რეჟიმი, არამედ დიქტატურის რეჟიმი".

ამას ბანს აძლევდა თეთრგვარდიელთა პრესა. ეს არ უშლიდა ხელს ამ პრესას დროგამოშვებით შეეთხზა ფანტასტიური ზღაპრები ტროცკის ბედის შესახებ.

ტროცკის უკანასკნელი წერილი 1928 წლის 21 ოქტომბრის თარიღით დაბეჭდა სიხარულისაგან აღფრთოვანებულმა მთელმა ბურჟუაზიულმა პრესამ სათაურებით, რომ აი, დაბოლოს, თვით ტროცკიც მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაფიცვისაკენ, რაზედაც დღემდე სწერდნენ სოციალ-დემოკრატები, ბურჟუაზიის მომხრე დემოკრატიის წარმომადგენლები. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ ეოცნებათ, რომ ტროცკი სულ რაღაც ორი თვის შემდეგ ბურჟუაზიული პრესის თანამშრომელი გახდებოდა.

ტროცკის კონტრ-რევოლიუციონურმა მოწოდებებმა, მის მიერ შექმნილი ანტისაბჭოთა არალეგალური ორგანიზაციის მოქმედებამ გამოიწვია ტროცკის გადასახლება საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. ეს ზომა მოიწონეს არა მარტო პარტიაში, არამედ უპარტიო მუშათა რიგებშიაც. მოწინავე წერილს „პრავდა"-ში — „სანამდე მივიდნენ", რომელშიაც შეფასებული იყო ტროცკისა და მის მიერ შექმნილი ორგანიზაციის მოქმედება, და რომელშიაც დასაბუთებული იყო, თუ რატომ არის იძულებული საბჭოთა ხელისუფლება მიმართოს უფრო მკაცრ რეპრესიულ ზომებს ტროცკის არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანოების წინააღმდეგ, ამ წერილს მხურვალე თანაგრძნობით შეხვდნენ არა მარტო პარტიის რიგებში, არამედ უპარტიო მუშათა რიგებშიაც.

სოციალ-დემოკრატიული ბურჟუაზიული პრესა სიამოვნებით იყენებდა ტროცკის ყოველ შეთხზულ, ყოველ ცილისწამებით სავსე განცხადებას, ყოველ მის გალაშქრებას პარტიის წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელობის, საბჭოთა რეჟიმის, კომინტერნის წინააღმდეგ. წერილებს და წიგნებს სიამოვნებით ბეჭდავდნენ და რეკლამას უკეთებდნენ ბურჟუაზიული პრესა და ბურჟუაზიული გამომცემლობანი, რადგან მისი წერილების მთელი სიტყვიერი „მემარცხენე" ბაქი-ბუქობა არარაობას წარმოადგენს ამ ბაქი-ბუქობის კონტრ-რევოლიუციონური არსებასთან შედარებით, იმ ობიექტიურ კონტრ-რევოლიუციონურ როლთან შედარებით, რომელსაც ტროცკის „მემარცხენე" ფრაზიორობა თამაშობდა და თამაშობს ჩვენი კლასობრივი მტრების ხელში. თუ ტროცკის მეგობარი — რეფორმისტი სუვარინი „პროლეტარულ რევოლიუცია"-ში (სუვარინის ორგანო) სწერდა: პოლიტბიურომ შესცვალა მეფის კაბინეტი, როგორც ბიუროკრატის უმაღლესი ორგანო", რატომ არ უნდა განემეორებია ეს სიტყვები ინგლისელ ლორდ გრეის? თუ ტროცკი 1928 წლის ოქტომბერში სწერდა, რომ საბჭოთა წყობილება უკანასკნელ წლებში პირუკუღმა შებრუნებული კერენშჩინა არისო, რატომ არ უნდა ჩაეჭიდა ხელი ამ აზრისათვის საბჭოთა კავშირის ყველა მტერს, რატომ არ უნდა გამოეყენებია ეს მტკიცება ობივატელის მოსატყუებლად"

„მანჩესტერ გარდიენ"-ი (ინგლისის ლიბერალების ორგანო) 1927 წლის 13 ივნისის ნომერში სწერდა, რომ „ამჟამად სოციალ-დემოკრატების და კომუნისტური ოპოზიციის იდეა სულ უფრო და უფრო უახლოვდება ერთმანეთს"-ო.

ვენის „მუშათა გაზეთი" (ავსტრიის მენშევიკების ორგანო) 1929 წ. 4 ოქტომბ. №-ში სწერდა, რომ „მთავრობის მოწინააღმდეგე ტროცკი არის ოპოზიციის უფლების მატარებელი, თავისუფალი სიტყვის წარმომადგენელი. ტროცკი ებრძვის გაბატონებული ჯგუფის აბსოლიუტიზმს. იგი ჩვენ გვეჩვენება მომავალი დიდი დემოკრატიული ფაზის წინამორბედად, რომელიც სძლევს გაბატონებული ჯგუფის დიქტატორულ მონოპოლიას"-ო.

1927 წლის აგვისტოში სოციალ-დემოკრატი როზენფელდი საფრანგეთის „სოციალისტების" ორგანოში „პოპიულერ-ში ტროცკისტების შესახებ სწერდა, რომ ისინი „ამზადებენ ბოლშევიკური დიქტატურის მარცხს და მისი დემოკრატიულ ლიკვიდაციას"-ო.

უპარტიო მუშათა მასებმა, ისე როგორც პარტიის წევრებმა, ღირსეულად შეაფასეს ტროცკისტების მოქმედება უკანასკნელ დროს და თუ ვინმე მათგანს ეჭვი შეჰქონდა ტროცკის გადასახლების მიზანშეწონილებაში, ეს ეჭვი მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ ტროცკი გაცილებით მავნე ხომ არ იქნება საბჭოთა ხელისუფლებისათვის საზღვარგარეთ, ვიდრე საბჭოთა კავშირის შიგნით. არც ერთი ფაბრიკა, მუშათა არც ერთი ჯგუფი, პარტიის არც ერთი უჯრედი არამც თუ დაეთანხმა ამ გადასახლებას, არამედ პირიქით, ყველა გადაწყვეტილებაში, რეზოლიუციაში და განცხადებაში სავსებით მოიწონეს ეს ზომა.

„კრასნი პუტილოვეც"-ის კრებაზე კომუნარებმა, უპარტიო მუშებთან ერთად წინადადება მისცეს „მთავრობას, რათა მომავალშიაც უმკაცრესი ზომებით შეებრძოლოს კონტრ-რევოლიუციონურ ტროცკისტების ყოველგვარ ცდას — ხელი შეუშალონ ჩვენს საქმეს. ტროცკიზმს, როგორც აშკარად გამოხატულ კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფს, არ აქვს ადგილი საბჭოთა კავშირში.

სევასტოპოლის მუშები, მეზღვაურები და წითელარმიელები მრავალრიცხოვან კრებებზე უმკაცრესი რეპრესიული ზომების მიღებას მოითხოვენ ტროცკისტების წინააღმდეგ.

პარტიულ და მუშათა საერთო კრებებზე ივანოვო-ვოზნესენსკში, ტულაში, მოსკოვში, და სხვა მსხვილ სამრეწველო ცენტრებში გამოიტანეს რეზოლიუციები, რომლებიც იწონებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებებს.

დომბალის სახელობის ტრამვაის სახელოსნოების (კიევში) მუშები აცხადებენ: „ჩვენი მეურნეობის შემდგომი განვითარება სოციალისტური მშენებლობის გზით, ჩვენს წინაშე მდგომი სიძნელეების დაძლევა, აგრეთვე ჩვენს ირგვლივ მყოფი კაპიტალისტების მუდმივი ინტრიგები მოითხოვენ ჩვენგან მკაცრი ბრძოლა ვაწარმოოთ გადაგვარებულ კონტრ-რევოლიუციონურ — ტროცკისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა ხელისუფლებას".

ასე ლაპარაკობდენ მუშები, სანამ ტროცკი გამოვიდოდა ბურჟუაზიულ-რეაქციონურ პრესაში.

რას იტყვიან ისინი დღეს მისტერ ტროცკიზე მას შემდეგ, რაც იგი ევროპისა და ამერიკის რეაქციონურ იმპერიალისტურ პრესაში გამოვიდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ცნობას ტროცკის გადასახლების შესახებ სხვანაირად შეხვდა ბურჟუაზიული და სოც.-დემოკ. პრესა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არ არსებობდა სრული ერთსულოვნება ტროცკის როლის შეფასებაში, ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთების უმრავლესობის აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ ტროცკი კაპიტალისტურ მსოფლიოში ბრუნდება არა როგორც ისეთი პირონება, როგორიც ის იყო 1917 წელს, როცა მან დასტოვა ეს მსოფლიო, რომ ტროცკის სახით კაპიტალისტურ მსოფლიოში ბრუნდება ისეთი ადამიანი, რომელიც ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის შერყევას და დასუსტებას. რადგან ეს ასეა, ამიტომ იგი სასურველი სტუმარია. აღმოჩნდა ბევრი ისეთი გაზეთი, რომელიც სხვაგვარ თვალსაზრისს იცავდა.

სიბრიყვის რეკორდი ამ მხრივ აიღო სტოკჰოლმის რეაქციონურმა გაზეთმა „სტოკჰოლმს ტიდნინგენ"-მა, რომელიც 21 თებერვლის ნომერში იუწყებოდა, რომ ტროცკის გადასახლების გამო გაიფიცა მოსკოვის ელექტრონის სადგური და მთელი ქალაქი უსინათლოდ დარჩა, შეჩერდა ტრამვაი, რომ საგანგებო კომისიის ჯარებმა დაიჭირეს მთავრობის ყველა შენობა, თეატრები და გასართობი ადგილები დაიხურა, რესტორანებში მყოფი ხალხი გაეშურა სახლისაკენ და მხოლოდ „ღამის 11 საათზე საინჟინერო ჯარებსა და სტუდენტებს შორის მყოფი სპეციალისტების დახმარებით განახლდა ელექტროსადგურების მუშაობა", რომ ზინოვიევი გადასახლებულია კავკასიაში, ხოლო ლოზოვსკიმ და საბჭოთა პროფკავშირების რამოდენიმე სხვა ხელმძღვანელმა „გადასწყვიტეს ტროცკი გამოიყენონ გაფიცვის მოსაწყობად ევროპის სამრეწველო ქვეყნებში"-ო.

ამ პოლიტიკური უვიცობის, უგუნური ფანტასტიკის და სიბრიყვის ნიმუშს ვბეჭდავთ როგორც იმის მაგალითს, თუ როგორ სენსაციურ მასალას ეტანება კაპიტალისტური ევროპა. ასეთი მკითხველის გულის მოფხანა, რასაკვირველია, ძნელი არ არის, თუ შეთხზავ საინტერესო ამბებს საბჭოთა სახელმწიფოზე, პარტიაზე და მის ხელმძღვანელებზე, თუ ამას დაურთავ ბურჟუაზიის ნერვების გამაღიზიანებელ დაწვრილებით ცნობებს, როგორც ეს შემდეგში განახორციელა ტროცკიმ თავის წერილებში, რომლებიც ბურჟუაზიული პრესისათვის იყო დანიშნული.

მოგვყავს სოციალ-დემოკრატიული ბურჟუაზიული პრესის გამოძახილი, რომელიც გამოქვეყნდა მაშინვე, როგორც კი მიიღეს ცნობა ტროცკის გადასახლების შესახებ.

გერმანულმა „ფორვერტს"-მა, რომელიც ბურჟუაზიის ყველა გაცოფებულ ძალებზე უფრო ბოროტად ღრინავს, როცა საქმე ეხება საბჭოთა კავშირს, ტროცკის მიმართ აიღო მფარველობითი ტონი და მოითხოვა გერმანიაში შესვლის ნებართვის მიცემა ტროცკისათვის.

ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა როზენფელდმა, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო მემარჯვენე ესერების დასაცავად პროცესზე, საფრანგეთის „სოციალისტების" ორგანო „პოპიულერ"-ში განაცხადა, რომ ტროცკისტები „უკვე აღარ ირთობენ თავს ლენინის ნაწერების ახსნა-განმარტებით, არამედ თავს ესხმიან ბოლშევიკური დიქტატურის საფუძვლებს და მოითხოვენ კავშირების გაფიცვების თავისუფლებას, საშუაო ხელფასის მომატებას და ფარულ კენჭის ყრას", ტროცკის და მის მომხრეებს ჯერ კიდევ შერჩა სამხედრო კომუნიზმის დროის ზოგიერთი უტოპიური იდეები. მაგრამ პრაქტიკული პროპაგანდიდან ისინი დაუბრუნდნენ რუსი მენშევიკების ლოზუნგებს და პირველ ნაბიჯებს სდგამენ დემოკრატიული რეჟიმისათვის, ურომლისოდაც ბოლშევიზმი ფაშისტურ კონტრ-რევოლიუციად გადაგვარდა. ტროცკი ჯერ კიდევ არ მისულა მარტოვისა და დანის მარქსისტულ კონცეპციამდე, მაგრამ მომხდარი ამბები აიძულებს მას გამოიყენოს რუსი მენშევიკების კონკრეტიული ლოზუნგები".

„თვით" დანი „არბეიტერ ცეიტუნგ"-ში გამოვიდა ტროცკის დასაცავად. მან განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატების სიმპატია „დევნილი ტროცკის" მხარეზეაო. „სოციალ-დემოკრატებისათვის ეხლა საშიში აღარ არის ტროცკის პოლიტიკური მოღვაწეობა, რადგან იგი უფრო ავნებს კომუნისტურ მოძრაობას, უფრო შეუწყობს ხელს კომუნისტი მუშების დაბრუნებას სოციალ-დემოკრატიის წიაღში, ვიდრე განამტკიცებს კომუნისტურ პარტიას და დაანგრევს სოციალ-დემოკრატიის საფუძვლებს". ამასთან ერთად ავსტრიის სოციალ-დემოკრატებმა შემოწირულების შეგროვებაც კი დაიწყეს ეგრედწოდებული „მატეოტის ფონდის" სასარგებლოდ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დასახმარებლად და მიუთითებენ უმთავრესად იმაზე, რომ საჭიროა დახმარება გაეწიოს საბჭოთა კავშირიდან გადასახლებულ ტროცკისო.

„ლეიპციგერ ფოლკს ცეიტუნგ"-ში 30 იანვრის თარიღით, ცნობილი მენშევიკი ოლღა დომანევსკაიაც გამოვიდა ტროცკის დასაცავად. დომანევსკაია აღნიშნავს, რომ ტროცკის ჯერ კიდევ შერჩა მისი კომუნისტური ილიუზიების, სამხედრო კომუნიზმის და სხვ. ნაშთები, და მიუთითებს, რომ უნდა შევჩერდეთ არა ამ განსხვავებებზე, არამედ იმაზე, რაც სოციალ-დემოკრატებს ამჟამად აახლოებს ტროცკისტთან, ხოლო ეს დაახლოება დამყარებულია იმაზე, რომ „ტროცკი ეხლა თავის მეტად მნიშვნელოვან ლოზუნგებს სესხულობს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პროგრამიდან". „ტროცკისტები თანდათან დგებიან სწორ გზაზე და, რაც უფრო მალე ჩამოაყალიბებენ თავიანთ პოლიტიკურ პოზიციებს, რაც უფრო მალე უკუაგდებენ ძველი უტოპიების გავლენას, მით უფრო მალე შესაძლებელი გახდება მუშათა კლასის შიგნით არსებული ყველა კლასობრივად შეგნებული ჯგუფების გაერთიანება, მით უფრო მეტი შანსები იქნება იმისათვის, რომ წარმატებით დამთავრდეს ბრძოლა კომუნისტური პარტიული დიქტატურის წინააღმდეგ".

თავისი დამოკიდებულება ყველა ჯურის მენშევიკებმა ტროცკიზმის და ტროცკის მიმართ ასე გამოხატეს: ვესალმებით ტროცკის, რომელიც ილაშქრებს კომპარტიის, კომინტერნის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა კავშირის მუშებს მოუწოდებს გაფიცვებისაკენ, რომელიც თავის „მეტად მნიშვნელოვან ლოზუნგებს იღებს სოციალ-დემოკრატების პროგრამიდან" და რომელიც ძირს უთხრის პროლეტარული დიქტატურის საფუძვლებს. როგორ არ უნდა გამხნევო ახლობელი ადამიანი!

„ფოლკსშტიმერ"-ი, გერმანიის სოციალ-დემოკრატების ორგანო მოწინავე წერილში,—„რისთვის იბრძვის ტროცკი", აღნიშნავს, რომ „ტროცკისტული ოპოზიცია შეიძლება ჯერ კიდევ ძალიან დარწმუნებულია, რომ მას ძალუძს პროლეტარული დიქტატურის განმტკიცება, ნამდვილად კი იგი არის მხოლოდ დემოკრატიის პიონერი. დასკვნა... დემოკრატიისაკენ დაბრუნება — ეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშფაკების ათი წლის თავი

როგორ დარსდა პირველი მუშათა ფაკულტეტი

1918 წლის 2 აგვისტოს გამოქვეყნდა პირველი დეკრეტი უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესახებ. დეკრეტით გაუქმებულ იქმნა ყოველგვარი ცენზი, გარდა წლოვანებისა და უმაღლესი სკოლის კარები ყველასათვის გაიღო; მაგრამ ამ დეკრეტით უმაღლეს სკოლებში მოხდენილი რევოლუცია ფორმალური ხასიათის შეიქნა. ამით უფრო ისარგებლეს წვრილ-ბურჟუაზ, ინტელიგენტებმა და ნახევრად ინტელიგენტებმა, რომლებითაც გაივსო უმაღლესი სკოლა, მათ იქ დახვდა რეაქციონური პროფესურაზე დაყრდნობილი თეთრ გვარდიელ სტუდენტთა წრე და, მათი უმრავლესობა გაითქვიფა საბჭოთა წყობილების ამ მოწინააღმდეგე წრეში. ნამდვილი მშრომელი კლასთა ფენები მოუმზადებელი აღმოჩნდენ უმაღლესი განათლების მიღებისთვის და მათთვის უმაღლესი სკოლის კარები ისევ დაკეტილი დარჩა. 1918 წლის შემოდგომაზე დაისვა საკითხი უმაღლესი სკოლისათვის მუშების მომზადების შესახებ. პროფესურის ზოგიერთ წარმომადგენლებმა, უმთავრესად უმაღლესი ტეხნიკური სკოლებიდან, მხარი დაუჭირეს ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა არა იმიტომ, რომ ისინი სიმპატიით ეპყრობოდნენ მუშურ რევოლუციას, არამედ იმ მოსაზრებით, რომ უმაღლეს ტეხნიკურ სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს თავისი მუშაობის შინაარსით მრეწველობასთან, ისინი შესაძლებლად სთვლიდნენ მუშების უმაღლესი სკოლისათვის მომზადებას; მაგრამ თან დასძენდნენ, რომ ეს მომზადება უნდა მოხდეს ისეთ სასწავლებლებში, რომლებიც უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებული არ იქნებიან. რუსეთის საბჭოთა რესპუბ.-კის განათლების კომისარიატის 1918 წლის ნოემბრის განკარგულებით მრავალ სამრეწველო რაიონებში მოეწყო ასეთი კურსები; მათ დებულებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ისინი ამზადებენ მუშებს და გლეხებს უმაღლესი სკოლისათვის. კურსების სასწავლო გეგმა იხაზავდა ზედმიწევნით ვიწრო მიზანს — მუშებსა და გლეხებს უნდა გაევლოთ მხოლოდ ის საგნები, რომლებიც აუცილებელი იყო უმაღლესი სკოლაში ლექციების შესათვისებლად. არ იყო განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა; მუშაობის მეთოდი და პროგრამა, თვითეული ორგანიზაცია, თავისებურად სწყვეტდა საკითხს. კურსებმა სათანადო მომზადება მუშებს ვერ მისცეს. ეს ნაწილობრივად შეიქნა მიზეზი მუშათა ფაკულტეტების დაარსების იდეის წარმოშობისა; ამ იდეის გამტკიცებას ხელი შეუწყო იმ ბრძოლამ, რომელიც დაიწყო 1918 წლის ნახევრიდან უმაღლესი სკოლების კედლებში. ბრძოლა სწარმოებდა მცირერიცხოვან, მაგრამ ძლიერ შემჭიდროებულ კომუნისტური სტუდენტობისა და უპარტიო სტუდენტთა მასის შორის, რომელიც პროფესურასთან ერთად ცდილობდა რამდენიმე ხნით მაინც შეენარჩუნებია ბურჟუაზიული აუდიტორიის „სისუფთავე“ და „უბიწობა“.

1918 წლის დასასრულს ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა. ეგრედ წოდებულმა პარტიულ სტუდენტთა ცენტრმა, რომელიც ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა, დაადგინა მოსკოვის კომერციული ინსტიტუტში (შემდეგ პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი) მუშების სტუდენტებად ჩარიცხვა, ისარგებლა რა 1918 წლის აგვისტოს დეკრეტით, რომლის თანახმად ყოველ მოქალაქეს, არა ნაკლებ 16 წლისა, შეეძლო უმაღლესი სკოლაში შესვლა. ზამოსკვორეჩიეს რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში კომუნისტ სტუდენტთა ჯგუფის მიერ მუშებში გაწეულ აგიტაციის მეოხებით კომერციული ინსტიტუტში 1.000 მუშა ჩაეწერა; ინსტიტუტის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნებში მუშებმა ხმა კომუნისტ სტუდენტებს მისცეს, რითაც მოპოვებულ იქნა გავლენა ინსტიტუტის საქმეებში. მაგრამ მუშებმა ლექციების მოსმენა ვერ შესძლეს და საჭირო შეიქნა მათთვის ინსტიტუტთან მოსამზადებელი სკოლის დაარსება. ამ მოსამზადებელ საფეხურს მუშათა ფაკულტეტი ეწოდა. ოფიციალურად მისი გახსნა მოხდა 1919 წლის 31 იანვარს.

მუშათა ფაკულტეტის დაარსებამ მომაკვდავი ინსტიტუტი გამოაცოცხლა. კომუნისტური სტუდენტობამ ეს იდეა განათლების კომისარიატში გადაიტანა. 1919 წლის 17 სექტემბერს უმაღლესი სკოლების განყოფილებამ, რომელსაც მაშინ ამხ. პოკროვსკი ხელმძღვანელობდა, გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმად ყველა უნივერსიტეტს წინადადება მიეცა განსაზღვრული ვადის განმავლობაში მოეწყო მუშათა ფაკულტეტი უმაღლესი სკოლისათვის მუშებისა და გლეხების მოსამზადებლად. ეს იყო პირველი და ისტორიული დადგენილება, რომელმაც მტკიცე საძირკველი ჩაუყარა მუშათა მომზადებას უმაღლეს სასწავლებლებისათვის.

ამრიგად მუშფაკების საშუალებით პროლეტარიატი უმაღლეს სკოლას იპყრობს.

მუშფაკები ახალ ინტელიგენციას ქმნიან, მუშფაკები პროლეტარულ უმაღლეს სკოლას სჭედენ.

აი ის ლოზუნგები, რომლებიც წამოისროლა ათი წლის წინეთ კომუნისტური სტუდენტობამ და რომელმაც სრული გამართლება ჰპოვა განვლილი ათი წლის მანძილზე.

დ. ცხაკაია.

საზეიმო სხდომა ქართულ მუშფაკში

მუშფაკების არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად გუშინ, 9 მარტს, საღამოს 7 საათზე ქართულ მუშფაკში შესდგა საზეიმო სხდომა.

მუშფაკის ვეებერთელა დარბაზი გაჩირაღდნებულია. სცენა მორთულია წითელი არშიებით. შუაში მოთავსებულია ლენინის სურათი. დარბაზის ბოლოს, ქანდარაზე გუგუნებს მუშფაკელების ორკესტრი. დარბაზი გაჭედილია მსმენელებითა და სტუმრებით.

სხდომას ხსნის ამხ. დ. მთვარელიძე.

„სოციალისტური მშენებლობა, ამბობს ამხ. მთვარელიძე, წარმოუდგენელია მრეწველობის განვითარების გარეშე, მხოლოდ მის განსავითარებლად საჭიროა სპეციალისტების სათანადო კადრი. მუშფაკი, რომელიც სამოქალაქო ომის ქარცეცხლში წარმოიშვა, სწორედ ამ ამოცანას ემსახურება. მუშფაკების საშუალებით ჩვენ ვამზადებთ პროლეტარულ ინტელიგენციას. მუშფაკებმა გაამართლა ხელისუფლების მიერ მათზე დამყარებული იმედები, რის მაჩვენებელიცაა მუშფაკების არსებობის 10 წლის თავი“.

ამხ. ნიკო კვინიკაძე შეჩერდა ქართული მუშფაკის ზრდა-განვითარების საკითხზე და აღნიშნა, რომ ქართული მუშფაკი, რომელიც დაარსებული იქნა 1922 წლის სექტემბერში 12 ჯგუფით და 280 მსმენელით, ამჟამად შესდგება 23 ჯგუფისაგან, რომელშიაც სწავლობს — 637 კაცი. წელს მუშფაკს ამთავრებს 182 კურსანტი.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. მოსჩილაძე (კ.პ. (ბ) ქალაქის რაიკომი), ამხ. ბარნაბიშვილი (ს.ა.ლ.კ.კ. (ცეკა), ამხ. ანთიძე (პროფსაბჭო), ამხ. გეგენავა (პროლეტ. სტუდენტობის ბიურო), ამხ. ცხაკაია (განათლების სახ. კომ.), ამხ. კიკაბიძე (სახ. უნივერსიტეტის ალმასბიურო), ამხ. დემეტრაშვილი (რკ. გზის მუშფაკი), ამხ. როსნაძე (მუშათა უნივერსიტეტი), ამხ. ხანნიევი (რუსული მუშფაკი), ამხ. ანდღულაძე (ქართ. მუშფაკის კ.პ.(ბ) ბიურო კოლექტივი), ამხ. მიქელოვი (ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი) და ამხ. ბრეგვაძე (ქართ. მუშფაკის მსმენელთა სახელით).

სხდომამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. პოკროვსკის და ორჯონიკიძეს.

სხდომის დახურვის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა.

ზეიმი რკინის გზის მუშფაკში

გუშინ საღამოს რკინის გზის მუშათა ფაკულტეტში არაჩვეულებრივი ჩოჩქოლი იყო. მუშფაკის მსმენელთა ერთი ჯგუფი შენობას გირლიანდებით რთავდა, ხოლო მეორე ჯგუფი ალამაზებდა იმ დარბაზს, სადაც უნდა გახსნილიყო საზეიმო სხდომა მუშფაკების ათი წლის თავის შესრულების გამო.

საღამოს 6 საათიდან დაიწყეს თავმოყრა. საზეიმო სხდომაზე მოწვეულ მუშა-სტუმრებმა მცირე ხნის განმავლობაში დარბაზი გაავსო. ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის თბილისის დეპოს, სავაგონო პარკის, სალიანდაგო დარგის, თბილისის საუბნო კომიტეტის, საგზაო კომიტეტის და სხვა წარმოება-დაწესებულების წარმომადგენლებით.

მუშფაკელები ჯერ კიდევ გაკვეთილზე არიან.

მაგრამ, აი, გაისმა ზარის ხმა. მუშფაკელები გამოვიდნენ სამეცადინო ოთახებიდან და შეერიენ სტუმრებს. დარბაზი სავსეა ხალხით.

თავმჯდომარემ გახსნილად გამოაცხადა საზეიმო სხდომა და პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ პირველი სიტყვა მისცა მუშფაკის დეკანს ამხ. ლ. რუხაძეს, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ მუშფაკების მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობაში.

ამის შემდეგ ილაპარაკა სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. მ. ჭავჭანიძემ, რომელიც შეეხო რკინის გზის მუშფაკის ისტორიას და აღნიშნა ის პირობები, რომელშიაც უხდებოდათ მუშაობა მსმენელებს და ლექტორებს.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე: პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელი ამხ. ა. ოიბიძე, ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშფაკის, რკინის გზის საუბნო კომიტეტის, საგზაო კომიტეტის და სხვა დარგების წარმომადგენლები. სხდომის შემდეგ, მუშფაკელთა ძალებით დადგმული იქნა ოპერა „დემონი“-ს მეორე მოქმედება.

წითელ ფრონტელთა მისალმება საქართველოს პროფსაბჭოს

ამჟამად ქ. გალეში (ჩრდილო რეინის ოლქი) მიმდინარეობს წითელ ფრონტელთა ორგანიზაციის მეოთხე კონფერენცია. გუშინ საქართველოს პროფსაბჭომ კონფერენციისაგან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ჩვენს წითელ ფრონტელთა მეოთხე კონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და მისი სახით საქართველოს მშრომელებს.

წითელ ფრონტელთა კავშირი, და მასთან ერთად მთელი გერმანიის მუშები აღფრთოვანებული არიან თქვენი მუშაობით, რომელიც მიმართულია კომუნიზმის აშენებისაკენ.

ჩვენი ლოზუნგია — მსოფლიოში მუშათა პირველი სახელმწიფოს დაცვა მტაცებელი იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან.

[illegible] გაძლევთ რომ წითელ ფრონტელთა კავშირი მიიღებს ყველა ზომებს, რომ დარაზმოს მუშები იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ახალ ომს ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

როგორც აქამდე, ისე მომავალშიაც ჩვენ თქვენთან ვიქნებით.

ამასთანავე პირობას გაძლევთ, რომ ჩამოვაშორებთ მუშებს ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიის გავლენისაგან ჩავაბამთ მათ კლასობრივ ფრონტში და მივბაძავთ თქვენს მაგალითს — დავრაზმავთ მუშათა კლასს კაპიტალისტური საზოგადოების დასამხობად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც კაპიტალისტურ უღლისაგან განთავისუფლებული გერმანიის პროლეტარიატი ხელს გაუწვდის საბჭოთა კავშირის მოძმე პროლეტარიატს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

პურით ვაჭრობის მოწესრიგება

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, ამიერ-კავკასიისათვის პურის მიმწოდებელი ორგანიზაციების განკარგულებაში მოიპოვება პურეულის იმდენი მარაგი, რამდენიც საკმარისია მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად ახალ მოსავლამდე. მხოლოდ საჭიროა პურის წესიერი განაწილების შემოღება. ამ მიზნით ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში შემოღებული იქნება პურის წიგნაკები. ეს ზომა გამოწვეულია უმთავრესად იმ გარემოებით, რომ ამ ადგილების მოსახლეობისათვის გამოცხობილი პურის საგრძნობი ნაწილი სპეკულიაციის მიზნით გააქვთ ქალაქებიდან და ნაწილობრივ იხარჯება საქონლის გამოსაკვებათ. ამრიგად ქალაქების და სამრეწველო ცენტრების პურის ბაზარზე ხელოვნურად იქმნება გართულება და „კუდები“ ფურნეებთან. ამასთანავე ხშირია შემთხვევა, როცა მუშა-მოსამსახურე, რომელმაც დილით ვერ მოასწრო პურის ყიდვა, მთელი დღე რჩება უპუროდ, ვინაიდან ფურნეებში დილითვე იყიდება მთელი დღის ნორმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თბილისის პურით მოვაჭრე ორგანიზაციებს პურის ფქვილი უკანასკნელ ხანებში ყოველდღიურად ეძლევა ჩვეულებრივ ნორმაზე — 1500-2000 ფუთით მეტი. მრავალ დაკვირვებით დამტკიცებულია, რომ პურის ეს გადამეტებული რაოდენობა გადის ისეთ სოფლებში და რაიონებში, სადაც ხორბლეულის ნაკლებობას ადგილი არა აქვს. ეს იმით აიხსნება რომ გამოცხვარი პური უფრო იაფი ღირს ვიდრე შინაური (ცხოველების ჩვეულებრივი საკვები).

პურის წიგნაკების შემოღების შემდეგ ბოლო მოეღება ამ არანორმალობას და ამ ღონისძიებით დაგროვილი პურის ფქვილის მთელი რაოდენობა მოხმარდება იმ რაიონებს, სადაც გასული წლის დაბალი მოსავლის გამო მოსალოდნელია პურის ნაკლებობა.

მოსახლეობის აღრიცხვა

გუშინ შესდგა თბილისში პურის წიგნაკების შემოსაღებათ გამოყოფილი კომისიის სხდომა, რომელზედაც შემუშავებული იქნა მოსახლეობის აღრიცხვის და ფურნეებზე მამაგრების წესების პროექტი.

ამ პროექტის მიხედვით მოსახლეობა დანაწილებული იქნება სამ კატეგორიათ: პირველ კატეგორიაში შედიან ფიზიკური შრომის მუშები (წარმოებებში ჩაბმული მუშები და ფიზიკური შრომის უმუშევრები, წარმოებაში უშუალოდ ჩაბმული მოსამსახურეები, მილიციელები, წითელი არმიის მეომრების მეთაურები და სხ.), მეორე კატეგორიაში — ზემოაღნიშნულ პირთა ოჯახები და დანარჩენი მშრომელი მოსახლეობა. მესამე კატეგორიაში არამშრომელი ელემენტები.

პირველი და მეორე კატეგორიის მოსახლეობის (წიგნაკები მიეცემა მხოლოდ პირველ ორ კატეგორიას). აღრიცხვა ჩატარებული იქნება წარმოება-დაწესებულებების მიერ, რომლებსაც კომისია დაუგზავნის სათანადო ბლანკებს.

მოსახლეობის აღრიცხვა დამთავრებული უნდა იქნეს 19 მარტამდე და საღრიცხვო სიები უნდა გადაეცეს კომისიას. ამ სიების მიხედვით წარმოება-დაწესებულებებს მიეცემა პურის წიგნაკები, რომლებიც შევსებული უნდა იქნან და ხელმოწერით უნდა ჩაბარდეს პატრონებს. პურის წიგნაკთან ერთად მოსახლეობას მიეცემა პატარა განცხადების ბარათები, რომლებიც მოსახლეობამ უნდა წარადგინოს იმ პურის დუქნებში, საიდანაც სურს პურის მიღება.

აღნიშნული განცხადების მიხედვით, პურის დუქნებს მიეცემა საჭირო ფქვილის ნორმა. თუ მოსახლე ერთი რაიონიდან გადასახლდება მეორე რაიონში, მას შეეძლება თავისი განცხადება დაიბრუნოს პურის დუქნიდან, რომელზედაც იყო მიმაგრებული და ახალი განცხადებით პური მიიღოს სხვა ფურნიდან.

სამკურნალო მცენარეულობის ექსპორტი

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით აქამდე ამიერ-კავკასიიდან უცხოეთის ბაზარზე იგზავნებოდა სამკურნალო მცენარეთა მხოლოდ ექვსი სხვადასხვა ჯიში.

უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკასიაში ადგილობრივ საჭიროებისათვის მზადდება მრავალი სხვადასხვა სამკურნალო მცენარეულობა, რომელიც შეიძლება გასაღებული იქნეს ევროპის ბაზარზე, სადაც ამ მცენარეულობაზე დიდი მოთხოვნილება არის.

ამის გამო სამკურნალო მცენარეულობის დამამზადებელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცა დაამზადონ ზემოაღნიშნულ მცენარეულობათა ნიმუშები და გადასცენ „ზაკგოსტორგ“-ს ევროპის ბაზარზე გასატანად და მათი რეალიზაციის შესაძლებლობის გამოსარკვევად. მცენარეულობის დამამზადებელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცა გამოარკვიონ მცენარეულობის დამზადების შესაძლებლობა და თვითღირებულება და შესაფერი ცნობები 1 აპრილისათვის წარადგინონ ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში.

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს განზრახული აქვს სამკურნალო მცენარეულობის ექსპორტი მიმდინარე წელს გაადიდოს 100 პროცენტით.

კახეთის მაზრის საბჭოთა ყრილობა გადაიდო

გურჯაანი, 8 მარტი. კახეთის მაზრის საბჭოთა ყრილობა, რომელიც 15 მარტს უნდა შემდგარიყო, გადაიდო და 20 მარტს გაიხსნება (ადს).

ბრძოლა წყალდიდობასთან

გურჯაანი, 8 მარტი. თოვლის სწრაფი დნობის გამო, რასაც შესაძლებელია წყალდიდობა მოჰყვეს, რაიონებში გაიგზავნენ სპეციალისტ-ტეხნიკოსები, რომლებთაც უნდა მიიღონ ზომები წყალდიდობასთან საბრძოლველად.

კატასტროფა ქუთაისში

ქუთაისი, 9 მარტი. 8 მარტს ღამის 11 საათზე რიონჰესის მსუბუქი მანქანა, რომელიც ქუთაისიდან რიონში მიდიოდა, ფერდობზე გადავარდა და დაიმტვრა. დაიღუპა შოფერი ვალოდია ვოლჩკოვი. მგზავრები მსუბუქად დაშავდნენ (ადს).

ქრონიკა

12 მარტი უქმეა

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით 12 მარტი, თვითმპყრობელობის დამხობის დღე უქმეა.

საქ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა მეოთხე ყრილობა

ორშაბათს, 11 მარტს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება სრულიად საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა მეოთხე ყრილობა.

ქალაქის კომენდანტისაგან

ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 12, 13, 14 და 15 მარტს ვაკეზე იწარმოებს თოფების სროლა.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალდიდობასთან ბრძოლა.** თბილისის აღმასკომთან გამოყოფილი წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია შეუდგა ღონისძიებების გამომუშავებას მოსალოდნელ წყალდიდობასთან საბრძოლველად.

◆ **საზოგადოებრივი სამუშაოები.** მომავალი ზაფხულის განმავლობაში გადაწყვეტილია მთელ რიგ საზოგადოებრივ სამუშაოთა შესრულება, რისთვისაც გამოყენებული იქნება უმუშევართა არტელები.

შრომის კომისარიატში

◆ **შრომის პირობების შესწავლა წარმოებებში.** შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა შეუდგეს შრომის პირობების გამოკვლევას ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებებში.

◆ **6.000 მანეთი ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.** შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა უმუშევრობასთან საბრძოლველ ფონდიდან 6.000 მანეთი გადასდოს მუშა-ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

სხვადასხვა

◆ **პოლიტკატორღელთა საზოგადოებაში.** 11 მარტს, საღ. 7 საათზე პოლიტკატორღელთა საზოგადოებაში დანიშნულია საზოგადოების წევრთა სადღესასწაულო სხდომა კატორღიდან და გადასახლებიდან განთავისუფლების 12 წლისთავის აღსანიშნავად.

◆ **სამეცნიერო-ტეხნიკური წრის პლენუმი.** 11 მარტს, საღ. 5 საათზე პროფსაბჭოში შესდგება ტეხნიკური-სამეცნიერო წრის პლენუმი.

◆ **საბჭოთა კინემატოგრაფიის მეგობართა საზოგადოების კრება.** დღეს, შუადღის 12 საათზე კინო „აპოლოში“ შესდგება საბჭოთა კინემატოგრაფიის მეგობართა საზოგადოების კრება. კრების შემდეგ მოხდება ახალ კინო-სურათების — „ორი ჯავშნოსანის“ საზოგადოებრივი განხილვა.

◆ **საკონკურსო პროექტების გამოფენა.** 9 მარტს, ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის შენობაში გაიხსნა რკინისგზელთა დასასვენებელი სახლის პროექტების საკონკურსო გამოფენა, რომელიც გასტანს სამ დღე. გამოფენაზე შესვლა თავისუფალია.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ჯვარიძეს — უბილავას, ერეკახიდან — უცხოვს, ბორჯომის ქ. № 4-ში, გუდერმესიდან — ქინქლაძეს.

„საქართველოს ეკონომისტი“ № 2

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი“-ის მორიგი მე-2 ნომერი (თებერვლის), რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: მოწინავე — საბჭოთა საქართველო თავისი არსებობის მე-9 წლის მიჯნაზე; გ. ყურულაშვილი — საბჭოთა საქართველოს მრეწველობა 8 წლის თავზე; ბიქ. თევზაია — საქართველოს სახალხო მეურნეობის დამახასიათებელი ელემენტების შესახებ; ს. ჩილოყაშვილი — მეცხოველეობა-მეღვინეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში; ლ. კარბელაშვილი — ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა; დ. ოოფურიძე — სახელმწიფო კონტროლი; დ. ზავრიევი — საქართველოს მრეწველობის ამოცანები ბაქოს ბაზრობაზე; არჩ. რუხაძე — კერძო კაპიტალი და სოციალური წინააღმდეგობანი საქართველოს სოფლებში; ეკონომისტი — დიფერენციალური რენტას წყაროს საკითხისათვის; ზ. ელიავა — მიწადმოქმედების და მიწათმოწყობის მუშაკთა რიგ. სპეციალური თათბირი; ე. გაბლიანი — ჯვარის მისტიის გზის მნიშვნელობა; ალ. დევდარიანი — საქართველოს მინერალური ნედლი მასალის გადამუშავების პრობლემები; ბ. ჭიჭინიშვილი — სადაზღვევო თვის კამპანია ახალსენაკში; პრესა, ინფორმაცია კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** დღეს, საღ. 6 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება კომკავშირელ მწერალთა მორიგი კრება. წაკითხულ იქნება კ. ლორთქიფანიძის ახალი მოთხრობა „პირველი დედა“.

◆ **მუშფაკელების საღამო.** დღეს საღ. 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება მუშფაკელების საზეიმო საღამო, საკონცერტო განყოფილებით.

კინო

„არსენალი“

რეჟ. დოვჟენკო

კულტურული რევოლუციის გარდამავალ პერიოდში ისეთი სურათის გამოჩენა, როგორიც არის „არსენალი“, უთუოდ — პროლეტარული კულტურის საუკეთესო გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს.

თუ რეჟ. პუდოვკინმა „ჩინგის ხანის შთამომავალით“ აზიის ქარიშხალს სოციალური და ეკონომიური მიზეზები მოუნახა, — რეჟ. დოვჟენკო ამავე მეთოდით ნაციონალური გრძნობების გამოწვევას ახდენს.

ნაციონალიზმის ყოველ გამოსახულებაში პირდაპირ „შედის“. მეტად სათუთ საკითხებსაც — კი არ უხვევს გვერდს.

მართალია, სურათში ნაჩვენები „უკრაინის აჯანყება“ ოქტომბრის პირველ წლებს ეკუთვნის, მაგრამ ამით არ სუსტდება ინტერესი სურათისადმი, რადგან მოვლენები დანახულია სწორი კლასიური მსოფლმხედველობით.

სურათში არაა განმეორებული ჩვეულებრივი ტრაფარეტები, რაც მის მნიშვნელობას აძლიერებს.

როდესაც პროლეტარიატის წარმომადგენელი „დამოუკიდებლობის“ მოღვაწეებს აძლევს შეკითხვას: „შეიძლება რომ მოიკლათ ოფიცრები და ბურჟუები როცა ისინი შეგხვდებიან ქუჩაში“-ო, დამოუკიდებელნი სდუმან. სდუმს ის ხროვა გიმნაზისტების, კოოპერატორების, მასწავლებლების, სტუდენტების და ყოველი ჯურის გამბლელი მოლაყბისა. ამ დუმილით მაყურებელი განიცდის მათ არარაობას ამოჩემებულ უკრაინის მუშების წინაშე.

ახალგაზრდა რეჟისორი არა ნაკლები გაბედულობით სჭრის მხატვრული პრინციპების სადავო პრობლემებს. იგი თავის მუშაობაში სრულიად უარჰყოფს „შუა წრეის“ მეთოდს (თეატრის შთამბეჭდავი გამოყენება) სცენებს იღებს „ზევიდან“ ან „ქვევიდან“. ჰქმნის დინამიურობის ახალ სახეს.

კადრების შექმნაში ემყარება ეიზენშტეინის და პუდოვკინის გამოცდილებას.

„არსენალი“ დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს უკრაინის კინოწარმოებას.

ბ. ბ.

ჭადრაკი

თბილისის ჩემპიონატი

დღეს, 10 მარტს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გათამაშებული იქნება შეჯიბრების მეშვიდე ტური. თამაშობენ: ლევიტასი-ნენაროკოვი, საროკინი—ასოვსკი, გოგლიძე—დანილოვი, სმაროდსკი—ასოვსკი, კასპარიანი—ვეიზერი, ტალვიკი—წერეთელი, მალუნცევი—მირზაევი. თავისუფალია შიშოვი. დასაწყისი სრულ 6 საათზე.

რკინის გზებზე

გრიგალი აღმოსავლეთ უბანზე

ა.-კ. რკინის გზების აღმოსავლეთ უბანზე ბალაჯარა-აჯიკაბულს შუა ღამით 8 მარტს ამოვარდა ძლიერი ქარი.

ამის გამო ყველა მატარებლები ამ უბანზე მოძრაობდნენ საგრძნობი დაგვიანებით. ქარის სიძლიერის გამო, თითო ორთქლმავალმა ვეღარ შესძლო მატარებლის წაყვანა, რის გამო საჭირო შეიქნა მეორე ორთქლმავლების მიბმა.

ქარმა დააზიანა აგრეთვე ტელეგრაფის ხაზი. ტელეგრაფით კავშირი ბაქოსთან შეწყვეტილია.

დაუდევარი მემანქანე

ღამით 8 მარტს სადგ. აიროემში ორივე მხრიდან მიდიოდნენ მატარებლები, ერთი საქონლის და მეორე სახალხო.

იმ მხარეზე, საიდანაც სახალხო მატარებელი მიდიოდა, სემაფორი დაკეტილი იყო მემანქანე კალაშნიკოვმა არ მიაქცია ამას ყურადღება და შეიჭრა სადგურში დაკავებულ ხაზზე.

მოსალოდნელი კატასტროფა აცილებულ იქნა იმით, რომ სადგურის ადმინისტრაციამ სასწრაფოდ მიიღო ზომები და მატარებლები გააჩერა ერთმანეთისაგან 50 მეტრის დაშორებით.

ამ შემთხვევამ გამოიწვია მთელ რიგ მატარებლების დაგვიანება.

მატარებლის ქვეშ

სადგ. დალ-მამედლიში აზნაურის ნათესავის შვილმა ყასამ-რაჰიმ ოღლიმ განიზრახა მატარებელზე დაჯდომა. იგი შეახტა მატარებელს იმ დროს, როდესაც უკანასკნელი დაიძრა.

რაჰიმ-ოღლის შეხტომის დროს ფეხი დაუსხლტა ვაგონის კიბიდან და ჩავარდა მატარებლის ქვეშ.

რაჰიმ-ოღლი გარდაიცვალა.

სასამართლო

პროკურორი საბრალდებლო სკამზე

მაზრა-ქალაქის სასამართლოს დიდი დარბაზი დილიდანვე გაივსო ხალხით. სხდომა იხსნება თორმეტ საათზე. საბრალდებლო სკამზე ზის ერთ დროს პროკურორი და შემდეგ დამცველთა კოლეგიის წევრი ვლადიმერ სპირიდონის ძე კიკაბიძე.

სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. რ. კალანდაძე კითხულობს საბრალდებლო დასკვნას, რომლის შინაარსი ჩვენ გუშინდელ ნომერში გვქონდა მოყვანილი.

იწყება ბრალდებულის დაკითხვა. კიკაბიძე თავს დამნაშავედ არ სცნობს არც ერთ ბრალდებაში, მაგრამ გზა და გზა წინააღმდეგობებით სავსე ჩვენებებით თვითონვე ამხილს თავის დანაშაულს.

ავიღოთ, მაგალითად, მის მიერ პროკურორობის დროს ყასბებისაგან შეგროვილ 460 მანეთის მითვისების ისტორია. როგორც შეკითხვებმა იციან, ეს ფული ეკუთვნოდა სპარსეთის ქვეშევრდომ ხასან-ოღლის და უნდა ჩაბარებოდა უკანასკნელის რწმუნებულს გოგელიას.

ბრალდებული კიკაბიძე ლაპარაკობს, რომ მან აკრეფილი ფული უკლებლად ჩააბარა გოგელიას, მაგრამ შემდეგ სესხად (!) გამოართვა უკანვე და, თუ მას დაუჯერებთ, ეს იყო არა პროკურორობის, არამედ დამცველთა კოლეგიის წევრობის დროს. მართალია, მან ეს სესხი არ გაუსტუმრებია, მაგრამ რა ვუყოთ მერე! ცოტაა ასეთი მოვლენა?

— კარგი! დავუშვათ, რომ თქვენ ეს ფული გასესხათ გოგელიამ. რატომ თამასუქი ან ხელწერილი არ მიეცით თქვენთვის სავსებით გარეშე პირს? — ეკითხება თავმჯდომარე.

პასუხი: მას არ მოუთხოვნია, რადგან ჩვენს შორის კარგი განწყობილება იყო.

კითხვა: თუ კარგი განწყობილება იყო, რაღა დასჭირდა გოგელიას იმის განცხადება, რომ ეს ფული მას არ ეკუთვნოდა, რომ მას არასოდეს არაფერი უსესხებია თქვენთვის და 460 მანეთი, რომელიც ხასან-ოღლის საკუთრებას შეადგენდა, თქვენ დახარჯეთ?

ამ კითხვაზე ბრალდებული უპასუხებს, რომ გოგელია ალბად სამაგიეროს უხდის მას იმისათვის, რომ გოგელიას ქალიშვილი მან ცოლად არ შეირთო. (დარბაზში სიცილი).

შემდეგში დაკითხული მოწმე გოგელია აცხადებს, რომ მისი ქალიშვილი ჯერ კიდევ ორი წლის წინ გათხოვილი იყო და მას უკვირს, როგორ უნდა შეერთო კიკაბიძეს.

ფაქტი ფაქტად რჩება. 460 მანეთი ახალგაზრდა საცოლო პროკურორმა შეუჭამა გოგელიას.

რაც შეეხება 100 მანეთის „სესხად“ აღებას ვაჭარ ბრეგვაძისაგან, რომელსაც თურმე ავა-[illegible]კოვად სთვლიდა კიკაბიძე, ბრალდებულის [illegible] აქაც ამ ასი მანეთის [illegible] მოქალაქე ხასიათი [illegible].

— კაცს კარგად არ იცნობდით, არც გვარი იცოდით იმისი და არც სახელი, როგორ დავიჯეროთ, რომ ასი მანეთი უხელწერილოდ გასესხათ? — ეკითხება ბრალდებულს თავმჯდომარე.

ბრალდებული მიკიბ-მოკიბულ პასუხს იძლევა.

შემდეგ დაკითხული მოწმე ბრეგვაძე ლაპარაკობს, რომ ამ ასი მანეთისათვის მას თამასუქი არ მოუთხოვნია, რადგან კიკაბიძისადმი მას ახსოვდა პატივისცემა, რაც იმაში გამოიხატა, რომ დავალიანება მას ნაწილ-ნაწილად გადახდევინა. ეს იყო ერთგვარი სამაგიერო პატივისცემა. რასაკვირველია, დარწმუნებული იყო, რომ ამ ფულს კიკაბიძე მას გადაუხდიდა. შემდეგ დიდხანს სდია, მაგრამ ფული ვერ დაიბრუნა.

ბრალდებული ცდილობს თავის გამართლებას იმაშიაც, რომ მოქ. კაზანცევს, რომლის წინააღმდეგ მის მიერვე აღძრულ საქმის დასაცავად (!) გამოართვა გასამრჯელო 200 მანეთი და ერთი კაპეიკის საქმეც არ გაუკეთებია.

დაკითხული მოწმე კაზანცევი ლაპარაკობს, რომ სანამ სრულად არ მიიღო 200 მანეთი საქმეს ხელი არ მოჰკიდა უკვე დამცველად გადაქცეულმა კიკაბიძემ. ხოლო როცა ფული მიიღო, შემდეგ განუცხადა, რომ მას არ შეუძლია ამ საქმეზე ამოსვლა, რადგან ბრალდება მის მიერ არის დადასტურებული პროკურორად ყოფნის დროს.

ბრალდებული კიკაბიძე ცდილობს იმის უარყოფასაც, თითქოს მოქ. შვეიცერისათვის მას არ გამოურთმევია 200 მანეთი ოთახის დასაცლელად, მაგრამ შეკითხვების დროს ვარდება წინააღმდეგობაში და იძულებულია აღიაროს, რომ მართალია 200 მანეთი მიიღო, მაგრამ ეს იმ ბინის პატრონისათვის უნდა მიეცა, სადაც ის გადასახლებას აპირებდა.

სხდომა გაგრძელდა საღამოს 5 საათამდე. დაკითხულ იქნა მოწმეთა უმრავლესობა. შემდეგი სხდომა შესდგება ორშაბათს, დილის ცხრა საათზე. დილის სხდომაზე დამთავრდება მოწმეების დაკითხვა და დაიწყება მხარეთა კამათი.

ბერ.

შესწორება. [illegible] კიკაბიძის დამცველად გამოდის არა ღვამიჩავა, როგორც ეს გუშინდელ ანგარიშში იყო აღნიშნული, არამედ დამცველთა კოლეგიის წევრი შურღაია.

შემთხვევები

გვამის პოვნა

საქ. სამხედრო გზაზე გუდაურთან (ფასანაურის სამილიციო უბანი) გამვლელებმა იპოვნეს მკვდარი კაცის გვამი. საექიმო შემოწმებით გვამს ძალდატანებით სიკვდილის ნიშნები არ ეტყობა. მკვდარის ვინაობა გამოურკვეველია.

ხანძარი

გუშინწინ, ღამით, ელბრუსის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა თათო ზახაროვას ოროთახიან ფიცრულ სახლს № 3. სახანძრო რაზმის გამოძახებამდე სახლი დაიწვა. ცეცხლისაგან მძიმედ დასახიჩრდა სახლის პატრონი ზახაროვა, რომელსაც იმ დროს სძინებია ოთახში. ზახაროვას ქალი გადააგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

თავდასხმა

7 მარტს, სოფ. ბოხვაურში (ოზურგეთის მაზრა) კოწია კონტრიძეს თავს დაესხა ორი შეიარაღებული პირი, რომლებმაც სიკვდილის მუქარით მას წაართვეს ფული და ძვირფასი ნივთები.

მკვლელობა

შურისძიების მიზნით სოფ. ზოტში (ოზურგეთის მაზრა) ვიღაც ბოროტმოქმედმა მოკლა თალიბა უსუფის ძე ვანაძე.

ქურდობა

ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს მიხეილ ხონელსკის ბინა (გუნიბის ქ. № 20), წაიღეს 172 მანეთის ნივთები. — ოსებ ფოცხვერიას ბინიდან (მეოთხე სამილიციო უბანი) მოიპარეს 150 მანეთის საოჯახო ნივთები. — გაქურდეს სერგო დავიდოვის დუქანი (კახეთის ქ.), წაიღეს 80 მანეთის ნივთები. — თათეოზ მამალაძეს სადგურის ქუჩაზე ეტლიდან მოპარეს ჩემოდანი სხვადასხვა ნივთებით.

ქურდების დაპატიმრება

მილიციამ დააპატიმრა ბიქტორ ანდრიას ძე ლატარია, ისმაილ გარიმ-ოღლი, ნიკოლოზ სტეცკელოვი, ვასილ გრიგოლის ძე ოგანეზოვი და არტიუშ მიხაკის ძე გეორქიანცი, რომლებსაც ბრალდებათ ჯიბგირობა და ქურდობა.

რადიო-გადაცემა

კვირა, 10 მარტი

დღეს, 10 მარტს, ამიერ-კავკასიის რადიოგადამცემი სექტორი თბილისის რადიო-სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

პიონერთა რადიო-გაზეთი — ქართულ ენაზე; საუბარი ციკლიდან — „მოსავლიანობის გასადიდებლად“, „ბრძოლა ღვარძლიან ბალახებთან“ — ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; რადიო-ინსცენირობა თემაზე „შემნახველი სალარო“ — ქართულ ენაზე (საკონცერტო განყოფილება ქართული გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით); რადიოს მეგობართა საზოგადოების საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); პიონერთა რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; გლეხის საათი „მოსავლიანობის გადიდება: ნაადრევი თესვის, ნაყოფთა ცვლის, თესლთაცვლის და კულტურული მოვლის გამო“ — ქართულ ენაზე; საუბარი ციკლიდან „რევოლუციონური კანონიერება“, „კომლის გაყოფა“ — ქართულ ენაზე; ჩვენი პოეტები და მწერლები მიკროფონთან; საუბარი პროფმოძრაობის საკითხების ციკლიდან „რისთვისაა საჭირო პროფკავშირები“ — ქართულ ენაზე

ორშაბათი, 11 მარტი

პიონერისა და მოწაფის საათი „თვითმპყრობელობის დამხობა“ — რუსულ ენაზე; გლეხის საათი „როგორ მოვხნათ მიწა და რა უნდა მოვამზადოთ სათესად“ — ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზეთი „წითელ არმიელი“ რადიოთი, (წითელარმიელთა გაზეთი) — ქართულ ენაზე; ლექცია ბუნებისმეტყველების ციკლიდან „ადამიანთა მოდგმის გაუმჯობესება, „ევგენიკა“ — ქართულ ენაზე; ამინდის ბიულეტენი და დროის შემოწმება.

მოხსენება „საერთაშორისო მიმოხილვა“ — რუსულ ენაზე; ინფორმაცია სამკითხველოს გამგეებისა და მასწავლებლებისათვის; სახ. ოპერის თეატრიდან სახ. კონსერვატორიის საჩვენებელი კონცერტის ტრანსლიაცია; მთელი კვირის ცხრილის გადაცემა ქართულ და რუსულ ენებზე;

წერილი ნიუ-იორკიდან

ჰამბურგიდან—ნიუ-იორკამდე

(მგზავრის შთაბეჭდილებანი)

7 დეკემბერი

ჰამბურგიდან გემი ნიუ-იორკისაკენ დილით მიდის. საათის ცხრაზე გვავა ნავთსადგურიდან, ასე მითხრეს ბერლინში, როცა ბილეთს ვყიდულობდი. ჰამბურგში კი მითხრეს, გემი აქედან კი არ გადის, არამედ კუქს-ჰაფენიდანო.

— სად არის ეს კუქს-ჰაფენი?

— აქედან მოშორებით არის, ორი საათის სავალი გზაა რკინის-გზითო.

როგორც იქნა, მოვნახე ამ დალოცვილ კუქს-ჰაფენისაკენ მიმავალი მატარებელი. ჩავჯექი.

გზას, დაახლოებით, მართლაც ორი საათი მოუნდით.

ბოლოს, გაჩერდა მატარებელი.

— ბარგი ვაგონში დასტოვეთ, ყოველიფერს ჩვენ მოგიტანთ და ჩაგაბარებთ თავთავის ადგილზე, გვითხრეს.

მე სხვაგვარ წეს-რიგსა ვარ მიჩვეული. ჩემი ნივთები მივატოვო და ისე გავუდგე გზას ცარიელ-ტარიელი? არა, ეს ასე არ სწერია ჩვენს კარაბადინში.

გუნებიერათ მივუჯექი გვერდში ჩემს ნივთებსა და ვაპირებ კვალ-და-კვალ გავყვე მათ.

— თქვენ სად მიემგზავრებით?

— ნიუ-იორკში.

— აქ რას უცდით?

— ნივთები მიწყვია აგერ, მინდა თან გავყვე, დაკარგვის მეშინია.

— მავისთანა მაგალითი ჯერ არ ყოფილა. თქვენ წაბრძანდით და თქვენი ნივთები თქვენი მისვლის უმალ, იქ დაგხვდებათ.

სჯობს დავუჯერო, თორემ ნივთებიცა და მეც ორთავენი აქ დავრჩებით, ისე ვატყობ მე ამ საქმეს. გავყევი იმ გზას, საითკენაც სხვები მიდიოდენ.

— პასპორტი? კითხულობს შენობიდან გარეთ მიმავალ კართან ატუზული ვიღაც მოხელე. შორი-ახლოს დახედავს, მგზავრები შეუჩერებლივ მიდიან წინ.

მეც სხვებს მივყვები. გავედით ზღვის ნაპირზე.

ჩვენს წინ ვეებერთელა გემია. ნაპირიდან მიდგმული აქვს კიბე. ამ კიბეზე ავყვევით ნელა-ნელა.

— თქვენი ბილეთი?

— [illegible], მომარჯვებული მაქვს ხელში.

— აქეთკენ წამობრძანდით. გავყევი. შემიყვანა ერთ პატარა ოთახში. მართლაც, რომ ოთახია. ორი საწოლია შიგ. არის პირსაბანის მოწყობილობა. შკაფი, სავარძელი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ოთახში — ჩვეულებრივ ბინაზეა.

— ეს გახლავთ თქვენი ბინა.

— ნივთები?

— აგერ თქვენი ნივთები... პირდაღებული დავრჩი. ყველაფერი თავის ადგილას დამხვდა.

ჩვენი გემი სწორეთ და ზუსტათ 12 საათზე დაიძრა ადგილიდან. არ ვიცი, ასე ჰქონდა ვინ კარგულებული დრო, თუ ასე მოხდა შემთხვევით.

ნაპირზე დარჩა ერთი წყება ხალხი, რომელიც კარგა გვარიანა ხანს აქნევდენ ცხვირსახოცებს. გემზე მუსიკამ დაუკრა რაღაც უაზრო და უგემო.

ნელა, თითქმის შეუმჩნევლათ ვშორდებით ხმელეთს.

ჯერ მხოლოდ რამდენიმე გოჯით დავცილდით ნაპირს. მარჯვე ბიჭი კიდევ მოახერხებს გადახტომას. რამდენი, ვინ დასთვლის, რამდენი ასეთი მანძილი გვაქვს ჯერ კიდევ გადასალახავი?

ვზივარ ჩემს კაბინაში — სახელი ეს ქვია (სხვა არ გამიგონია) — ამ ოთახს.

წყნარათ მიდის გემი. არ ირყევა. ნეტავი ასე იქნებოდეს მთელ ამ მგზავრობის ხანს.

თითქოს, გულმა მიგრძნოო, დაჰბერა სადღაიგანაც ქარმა. ჩვენმა გემმაც იკადრა და აყუნტალდა ჩვენებურ სოფლის აკვანივით.

მეშინია ამ რწევის. მახსოვს — ოცი წლის წინათ იყო ეს ამბავი — ერთხელ ისეთი დღე დამაყენა რწევამ, რომ ნაღველიც აღარ დამიტოვებია — ხელიერთპირათ ამომანთხევია ყველაფერი.

ზღვის რწევას არაფერი არ შველის, არაფერი წამალი არ უდგება. ერთად-ერთი, რაც შველის მას, მხოლოდ ის, რომ უნდა წაუწვე. მეც ასე ვქენი. მგონი ასე აჯობოს.

გაუხდელათ დავგორდი ლოგინზე.

ჩამეძინებოდა.

წამოსვლის წინას იმდენი ვირბინე, ისე მოვიქანცე, რომ ამ რწევამაც ვერაფერი დააკლო ჩემს დაღლილობას.

გამოვახილე თვალი.

თავი აღარ მტკივა, მაგრამ სიმშილი მაწუხებს. გავუდექი გზას. სასადილო ოთახში ერთი სული ადამიანი აღარ ჭაჭანებს.

— არ შეიძლება ცოტა რამ საჭმელის შოვნა?

— დაგვიანებულია. დღეს სადილი ადრე გვქონდა...

— მე ეს არ ვიცოდი... თუ შეიძლება, მე მზათა ვარ გადავიხადო, რაც ეღირება.

— რა უნდა ღირდეს, ჩვენ ვალდებული ვართ. კეთილი, ეხლავე მიიღებთ ყველაფერს.

დავჯექი მაგიდასთან, მაგრამ ვაი იმისთანა დაჯდომას. გემის რწევამ კვლავ უმატა და მეც მთვრალი ადამიანივით ამერია გული. რაღა მეჭმება?

მომადგა ვიღაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტივით გამოწყობილი.

— ამოირჩიეთ, რას მიირთმევთ?

— რაც გაქვთ მზათ, ის მომიტანეთ, მე მაინც და მაინც ამორჩევის გუნებაზე არა ვარ.

— რაც გნებავთ... ყველაფერს მოგართმევთ.

აღარ მახსოვს, რა ამოვირჩიე. მომიტანეს, მარა, ვისა აქვს ჭამის თავი? როგორც იქნა, გადავყლაპე ორიოდე ლუკმა, წამოვდექი ზეზე და ბარბაც-ბარბაცით გავუდექი გზას ჩემი კაბინისაკენ.

დიდის ვაი - ვაგლახით გავიხადე ტანზე და გავწევი ლოგინში. ღელვა და რწევა არ დაწყნარებულა, მაგრამ წამოწოლილი როცა ვარ, როდი ვგრძნობ ასე მწვავეთ ღელვის გავლენას.

8 დეკემბერი

დღეს საუცხოვო ამინდია.

ზღვა სარკესავით დგას.

გემი, თითქმის, სრულებით არ ირყევა, რასაც თვით მანქანების მუშაობა არ არყევს. ჩავიცვი და სულ ზემო ბანისაკენ გავეშურე.

მე, პირველი კლასით გიახლებით. აქ მგზავრები ძლიერ ცოტაა. მეორე კლასშია ნაკლებათაა მგზავრები.

ჩვენს გემს აქვს ერთი განსაკუთრებული განყოფილება. ეს არის „ტურისტების“ კლასი. არც იქ არის მაინცა და მაინც ხავით მგზავრები. საზოგადოთ ამ ხელათ გემი თითქმის ნახევრათ ცარიელია.

გემზე ჰყიდიან წიგნებს, ჰყიდიან ტკბილეულობას, ტანისამოსს, ერთი სიტყვით ყველაფერს, რასაც კი მოისაჭიროებს ადამიანი. აქვე არის მოწყობილი რადიო. შეგიძლია გააგზავნო ტელეგრამა საითკენაც გინდა; შეგიძლია კიდეც მიიღო.

ვიყიდე ერთი უბის წიგნი, ვიყიდე, გარდა ამისა, სტეფან ცვაიგის „ამოკი“ გერმანულ ენაზე. შევაცარ რადიო - სადგურისაკენ და ბერლინში შევუთვალე ჩემს მეგობრებს:

— „მშვიდობიანად მივემგზავრებით. ცოტას გვარწევს. მე კარგათ ვგრძნობ თავს“.

ჯერ კიდევ კუქს - ჰაფენიდან ჩემთან იჯდა ერთი მრგვალი ადამიანი. იმ სიმსხო იყო, რომ თავის ჭიპს ისე შესჩერებოდა, როგორც მთებში მოგზაური იალბუზის მწვერვალს. აი იმას გადავეყარე ბანზე. ის ცოტათი, ჩემი არ იყოს, გერმანულს ამტვრევს. შეველით მუსაიფს,

— ჩქარა მივაღწევთ ნავთსადგურს. ეს საფრანგეთის სადგური ბულონი.

— დიდ ხანს გავჩერდებით იქ, თუ არა?

— არა, მხოლოდ ფოსტას გადავცემთ და მივიღებთ. იქნება მგზავრებიც ჩამოჯდეს კიდევ ვინმე.

ჯერ კიდევ ერთ კვირაზე მეტი გზა გვაქვს. ამას გაძლება არ უნდა?

ვინ იცის, რა ამინდი გვექნება გზაში?

გავჩერდით ბულონში. ეს ქალაქი და ნავთსადგური ლამანშის სრუტესთანაა. ხვალ კიდევ გვექნება ერთი გასაჩერებელი ალაგი ინგლისის რომელიღაც ნავთსადგურში და მხოლოთ ამის შემდეგ — ამის შემდეგ, ნუ და ვიწყებთ შევუდგებით გზას ოკეანეში.

ლამანშის სრუტე ყოველთვის მყრალ გუნებაზეა. არსად რომ სიო არ ჰქროდეს, სრუტეში მაინც კორიანტელი დგას. ჩვენთან, ვინ იცის, იქნებ დაირცხვინა — ლამანში პატიოსნათ იყო.

მოაწია სადილობის დრომ.

ეს სადილი არაფერი, მაგრამ ვახშმის დროს დამადგება უბედური დღე. ეს ერთი ხელი ტანისამოსი უნდა გაიხადო და უსათუოთ შავ ტანისამოსში გამოეწყო.

ვაპირობ, თუ არ დამავიწყდა — ღია ბარათების ყიდვას. ხვალემდი კიდევ დრო გვაქვს ხვალ ნავთსადგურში გადასცემენ და გააგზავნიან დანიშნულების მიხედვით.

ბანზე უკვე ნაცნობები გავიჩინე. ვმუსაიფობთ. მე არაფრათ მომწონს ჩემი გერმანული ენა, მაგრამ, თურმე — მე არც კი ვიცოდი ეს ამბავი — იმდენი მცოდნია, რომ თავისუფლად ვემასლაათები ამ ხალხს. მათი მესმის და ჩემსას ვაგებინებ.

ნავთსადგურში გემზე ამოირბინა ახალგაზრდამ — გაზეთების გამყიდველმა. გამოვართვი ორი ჟურნალი და ერთი გაზეთი. გულს გადავავლებ. ფრანგები უფრო გრძნობის ამყოლი ხალხია და ამ გაზეთში იქნებ რამე ისეთს წავაწყდე, რომ დიდი ფიქრი და ყურადღება არ დასჭირდეს.

ეს ფრანგი, ნამეტანი გამომასქნებული ვიღაც იყო. სამი მარკა — ჩვენებურათ თითქმის მანეთ-ნახევარია — გადამახდევინა.

ვკითხულობ ბერლინიდან წამოღებულ რუსულ წიგნებს. ვიყიდე, სხვათა შორის, ვიღაც ვლ. კრიმოვის წიგნი. ვიღაცაა დიდი მოხეტიალე ვინმე უნდა იყოს. ერთი კრიმოვი გენერალი იყო, მაგრამ ეს არ ჰგავს გენერალს.

8 საათია. მართლის თქმა სჯობია — არ ვიცი, მაინცა და მაინც რვა საათია ეხლა, თუ მეტი, ან ნაკლები. ამბობენ, რომ ეხლა, რომ ჩვენ ინგლისური დრო უნდა ვიქონიოთო. შემდეგ, ალბათ, ოკეანის დროს უნდა გავყვეთ და ამის შემდეგ ამერიკის დროს. განსხვავება ამ „დროების“ შორის გვარიანა საგრძნობია.

ასე, თუ ისე, ჩვენ სადღაც და რომელიღაც ნავთსადგურთან ვართ გაჩერებული, ინგლისის ნაპირზე. აქ რამდენიმე კაცი გამოგვაკლდა, თითქმის ამდენივე მოგვემატა. გემის მოხელე იდგა ჩემს ახლოს ბანზე — მართალი გითხრათ, არ ვიცი რა წოდებისა და რა ხარისხის პატრონია — ვერ დავუნახე მხიარული სახე.

— ცოტა მოგვემატა. რაც მოგვემატა, იმდენი თითქმის კიდეც მოგვაკლდა, უგემურათ ჩაილაპარაკა მან.

— მართლაც და, ამ გზობას თქვენ, რაღაც ცოტა გყავთ მგზავრები, დავემოწმე მეც.

— არა, ჩვენ ყოველთვის ბევრი ხალხი გვყავს ხოლმე, მაგრამ ამ ხელობას რაღაც მეტის-მეტათ ცოტა ხალხი გვყავს, არ ვიცი რატომ.

— ალბათ, ამინდმა დააფრთხო ყველა. ხომ გახსოვთ, რა საძაგელი ამინდი იყო?

— მართალია, დასტურ და რა საშინელი ამინდი იყო მთელი ერთი თვის განმავლობაში! მთელი თვე არ ჩამდგარა ქარიშხალი.

— საშიშია, ხომ ამისთანა ამინდში?

— საშიში არაფერიც არაა, მაგრამ სასიამოვნოც არაფერია.

— ეს გემი გაჩერებული იყო, თუ არა ამ ქარიშხალის დროს?

— არა, ჩვენ არ შეგვიწყვეტია ჩვეულებრივი მგზავრობა.

ნავთსადგურიდან ჩვენ გემს მოადგა პატარა გემი. ეს ის გემია, რომელსაც არა აქვს ვინტი, მას გვერდებზე დადგმული აქვს წისქვილის თვალის მსგავსი ბორბლები. ახლო - მახლოში სასიამოვნოთ ასეთ გემს არა უშავს რა, მაგრამ შორს კი მისი წამსვლელი უსათუოდ დაზღვეული უნდა იყოს — დაღუპვა ხელში უნდა ეკავოს.

შემოირბინა ვიღაც ახალგაზრდამ. ხმაურობს, დარბის, ინგლისურათ მარიფათობს. ვერაფერი ვერ გავუგე — რა უნდა. გამოვკითხე, თურმე, ტელეგრამის გაგზავნა, ხომ არავის გინდათო, იმას კითხულობს.

ეჰ, შემოძველებულია მაგ ამბავი. თუ ტელეგრამის გაგზავნა ვინმეს უნდა — რადიოსადგური აქ არა გვაქვს გემზე?

წავედი ოთახისაკენ. ჩვენი გემი — მისი სახელი (უკაცრავათ, მისი სახელის თქმის დაგვიანებისათვის) — „ალბერტ ბალინი“ გახლავთ — ჯერ კიდევ სდგას და არ იძვრის. მოსული გემი კი კარგა ხანია გაუდგა გზას.

ვკითხულობ ნიუ-იორკის აღწერას გერმანულად დაწერილს. პატარა წიგნაკია. საუცხოოთ შედგენილი. რამდენი ჩინებული ცნობებია ამ პატარა წიგნაკში.

ძილი ჯერ ადრეა, საქმე კი არაფერია.

საკვირველი ამბავია. რაც ვშორდებით გერმანიას, მით უფრო ნაკლებათ ისმის გერმანული ენა, თუმცა ხალხი, რაც იქ იყო — ის აქ არის. [illegible], როდესაც ამ ინგლისურ მუსიკას უგდებ ყურს. ინგლისელი პირმჯდომელი ლაპარაკობს. კბილებს ერთი მეორეს არ აშორებს და ენა ამ დაკეტილ პირში ტრიალებს. იმის იქედგან რაღაც ლუღლუღი.

— როდის მივალთ ნიუ-იორკში? ვეკითხები ოთახის დამლაგებელს.

— დღეს ხომ შაბათია, არა? მაშასადამე ჩვენ ნიუ-იორკში მხოლოდ გადაღმა კვირის ორშაბათს ჩავალთ.

კარგი დაგემართოს, კარგი ამბავი მაგ ჩემთვის იყოს. ერთ კვირაზე მეტი ამ უძირო და უნაპირო წყალზე. ვინ იცის, როდის ამოტყდება ქარი და გრიგალი..

არა და — მე ოხერო ჩემო თავო, რა დაგარბენინებს? ერთ ადგილზე რომ ვერ ისვენებ? ბაბუაჩემი, ალბათ, [illegible] აქეთ არსად არ ყოფილა. მამაჩემი სულ რამოდენჯერმე იყო თბილისში — იმის მეტი მას ქვეყანა არ უნახავს. დედაჩემის ნატვრა და ოცნება წყალტუბოს აბანოს არ გასცილებია.. მე რომელი მოგზაური და მკვლევარი გამოვედი, რომ ერთს ადგილზე ჩემი გაჩერება არ იქნა?

როგორი ამინდი გვექნება ამ მგზავრობის დროს?

ამის მთქმელი და გამომცნობი არავინაა. ამ ბოლო დროს მაინც ბუნებაც რაღაც არეკილია: — ხან ციკლონი არ გვასვენებს და ხან ანტი-ციკლონი.

რუსები იტყვიან: „ეშმაკს, რომ ხატავენ, ისეთი საშინელი როდია“-ო. სწორეთ [illegible] ეს თქმულება. ბერლინში ყურები გამომიჭედეს:

„— არამცა და არამც, საღამოს შავ ტანისამოსში რომ არ გამოეწყო, ისე არ გახვიდე სადილო ოთახში“.

განგებ ვნახე და საგულდაგულოდ გამოვკითხე ამერიკაში ნამყოფ ხალხს. ყველამ ერთ ხმათ და ერთპირად ერთი და იგივე მითხრა. დავიჯერე, ვიყიდე შავი ტანისამოსი. [illegible] ქერქივით გამეშებული პერანგი და საყელო.

ეს საღამოს იქნება დროც მოვიდა. აქამდე არ მქონდა, ეხლა კი ისე შემომძლიერის კუჭი, ვითომც, ერთი წლის ნამარხულევი ვიყო.

დიდის სიმწრითა და ვაი-ვაგლახით შევუდექი ტანისამოსის ჩაცმას. რამდენი ვაგინე ამ სისულელის გამომგონსა და შემომღებს.

როგორც იქნა, გამოვეწყვე. ჩავიხედე სარკეში და ჩემი თავის მე შემეშინდა. ვაჰ, რა სჯობია, ჩვენებურ ბლუზას? უცებ გადაიცვამ, შეიბნევ ღილ-კილოს — მორჩა და გათავდა.

შეველი სასადილო ოთახში და რა ვნახე? თურმე იქ, ვის როგორიც უნდა ისე [illegible]. ოჰ. [illegible] ის ეხლა, ვინც მე გამაბრიყვა, რომ [illegible].

„გათავდა ისე ამბავიც“. ძილსა და წოლას ვერსად გაექცევი.

ვწევები. ვინ იცის რა ამინდი იქნება ხვალ? რა საუცხოოდ ყოფილა ეს ჩემი კაბინა, მე აქამდე არც კი შემიმჩნევია.

9 დეკემბერი

დილაა. საათს აღარ ვწერ, იმიტომ, რომ, არ ვიცი რამდენად მართალია ჩემი საათის დრო. ჩემს საათზე რვა საათია, მაგრამ ერთი საათი, თუ არა 45 წუთი „მოპარული“ გვექნება — ამიტომ არ ვიწერ.

[illegible] კიდევ ამ კუჭისა და უნაგირის დადებას კისერზე.

წუხელი საძაგლად მეძინა. გვიან დავიძინე. ვკითხულობდი — ჩამიყოლია ვერესაევის „კრასნი პაიაცის“ კითხვამ. ეს გამასხარავებული გმირი მურავიოვი გახლავთ. იყო ერთი ასეთი მართლაც 1917 წლის შემდეგ. ერთხანს ბევრი ბაქა-ბუქი შემოეხარჯა და შემდეგ, როგორღაც მიწყდა. ნამდვილი მისი თავგადასავალი მე არ ვიცი. არც ამ ბატონმა ვერესაევმა იცის, როგორც ჰგავს, მაგრამ მას ამჟამად ისეთი ხელობა აქვს, რომ მურავიოვისთანა გმირები უნდა გამოიყენოს.

რაც სწერია სისულელეა, მაგრამ დაწერილია ოსტატურად და ხალისიანი საკითხავია. ძველი ოსტატია, კალამი უჭრის და, თუმცა [illegible] კოტრიალებს, მაგრამ ამასაც „შნოიანათა“ და „გემოიანათ“ ახერხებს. შნო აქვს, მაგრამ, სინდისი... ან კი რაღა საჭიროა ან მისთვის, ან მისიანებისათვის ეხლა სინდისი. მათთვის სინდისის სრულებითაც არ არის „კარგი საქონელი“.

დღეს უკვე ამინდი ვეღარ არის ისეთი, რაც გუშინ იყო.

გემი ცოტა არ იყოს, შეზანხოშებული მსმელივით ბორძიკობს. ნამყოფი და გამოცდილი ხალხი ამბობს: ეს ამინდის ბრალი არ არისო. შეიძლება მართალიც იყოს — შეიძლება ეს იმის ბრალიცაა, რომ გემმა, ცოტა არ იყოს, მოუჩქარა სვლას.

ასეა, თუ ისე, უნდა შევუდგე სამოსელის ჩამოლაგებას.

მხოლოდ ჯერ ეს პაპიროსი უნდა მოვწიო. ესაა ჩემი პირველი და თავი-და-თავი საქმე დილ-დილობით.

10 და 11 დეკემბერი

თავი არ წამომიღია ზევით. მთლიანათ ვიყავი გაწოლილი ლოგინზე. საშინელი რწევა და ღელვა იყო შეუწყნარებლათა და შეუწყვეტლად. სასმელი ოთახის დამლაგებელს მოჰქონდა ხოლმე და ისინი ისევე უკან მიჰქონდა თითქმის სრულებით ხელუხლებელი.

ღამის სამი საათია — 11-დან 12-სკენ — როგორც იქნა, წამოვყავი თავი ლოგინიდან. ამინდი ცოტა დაწყნარდა. თავი კიდევ მტკივა. მაგრამ ისე აღარ, როგორც აქამდი. საშინელება ისაა, რომ კიდევ ხუთი დღე დაგვრჩა, აბა დაითვალე: — ერთი ორი სამი, ოთხი და მხოლოდ შემდეგ არის ხუთი. რა გაუძლებს ამდენ ხანს ამ საშინელ ამინდს.

მაგრამ, ვინ იცის ეგებ გამოიდაროს?

უბედურება იმდენათ თავის ტკივილი კი არ არის — ამას გაუძლებს კიდევ როგორმე ადამიანი. საშინელი ისაა, რომ ამ [illegible] წოლის დროს ადამიანი ვერც კითხვას ახერხებს, ვერც წერას რასაკვირველია, და ფიქრის თავიც კი აღარა გაქვს.

რას არ იგონებს ადამიანი. რა უჭირდათ, დალოცვილებს გამოეგონებინათ ისეთი რამ წამალი, რომ ადამიანი ისე დაიძინებდა ამ ზღვაზე მოგზაურობის დროს, რომ მხოლოდ მოსვლისას გამოეღვიძებოდა.

12 და 13 დეკემბერი

დილაზე კვლავ შემოიჭრა. ისევ შეიქნა რწევა და ღელვა. კვლავ ვიწექი მთელი ის ორი დღე და ორი ღამე. ოთხი დღე და ღამეა, რომ ვწევარ. ისე შემძულდა ლოგინი და წოლა, რომ მგონი, სულ აღარ დავწვე არასოდეს.

გამოვიღვიძებ ხოლმე ღამე. საათი კედელზე მაქვს მიკრული. ვაანთებ ელექტრონს. დავხედავ — ამისათვის საჭიროა თავის ოდნავ ზევით წამოწევა. მაგრამ ესეც საკმარისია, რომ თვალთ დამიბნელდეს და თითქმის უგრძნობლათ დავვარდე უკან.

14 დეკემბერი

დღეს საუცხოო ამინდია. საზოგადოთ, ზღვაზე ამინდით იწყება და თავდება ყველაფერი. გლახა ამინდის დროს აქ სულია შეწუხებული. კარგი ამინდის დროსაც არ არის ზღვა ნამდვილათ სანატორიუმი. გარშემო თვალ-უწვდენელ სივრცეზე მხოლოდ წყალს ხედავ — მეტი არაფერი არ არის. ნაპირების ახლოს, როდესაც მისცურავს გემი, მაშინ ავათაა, თუ კარგათ კიდევ რამეზე შეაჩერებ თვალს, მაგრამ ამ უძირო ოკეანეში არაფერი აღარ იხედება. არაფერი არ მოისჩანს.

მგზავრებს რომ ჰკითხოთ, — დღეს ჩინებული ამინდია, ჩინებულს რა მოგახსენოთ, მაგრამ ისეთია კი არის, რომ ფეხზე დგომა შეიძლება.

გავუძალდი, აღარ დავწვი.

საღამოზე ვაპირობ ვახშმის დროს სასადილო ოთახში გასვლას. ჩემი ლაქია — ხალხო, გესმით — ლაქია და მე? — დიდი მოკრძალებით მთხოვს, რომ [illegible]. ვიცი, [illegible]. ეშინია წასვლის დროს ფულს აღარ მაჩუქებსო. აქ კი ყველა ამ საჩუქრის შემყურე და მომლოდინეა.

მირჩიეს — ექიმთან მიდი და მას ერთი უებარი წამალი აქვს, აბებია — გადაყლაპავ, უსათუოთ მორჩებიო.

„იმედიც კარგი საქონელია“. წავიდე ექიმთან. ენაზე დამხედა. მაჯა გამისინჯა.

— ძილში ალბათ ხომ არა ხართ?

— არა.

— გული გერევათ?

— მე ყველაფერზე უფრო თავის ტკივილი მაწუხებს. ისე მგონია, რომ ყველაფერი ტრიალებს და ორი ნაბიჯის სწორეთ გადადგმა არ შემიძლია.

— კეთილი. აი მიიღეთ ეს აბები დღეში სამჯერ ჭამის შემდეგ. გაგივლით. ამ ჩემს წამალს „ვაზანო“ ეძახიან. თითო აბს კი არა, გადავყლაპავ მთელ ერთ ბათმანში რაც ჩაეტევა ამდენს, თუ კი რამე საშველი დამადგა.

საღამომდე ორი აბი გადავყლაპე [illegible]. თავი, მართლაც ნაკლებათ მტკივა, მაგრამ — დავიჯერო, რომ ეს ამ „ვაზანოს“ გამოისობითაა?

ვინ იცის, ეგებ უკვე მივეჩვიე. ადამიანი ხომ, ყველაფერს ეჩვევა?

გარდა ამისა, კარგი ამინდი, რომაა, ამას, განა არა აქვს მნიშვნელობა? მე კარგი ამინდის დროს, საზოგადოთ, არასოდეს არ მტკივა თავი.

მაშ, რა შუაშია აქ „ვაზანო“?

ამ ღამისაც მე მივათვალიერე, კიდევ გვრჩება სამი ღამე. სამ შემდეგ იქნება ორი, შემდეგ კიდევ ერთი, მერე? მერე აღარაფერი.

არა არის რა დასასრულის გარეშე.

ბავშვობისას ერთი აჩრდილივით მასწავლებელი გვყავდა: — უკუღმა თვლას გვასწავლიდა. მე ეს თვლა ჭკვიანათ მეჯავრებოდა, ალბათ იმიტომ, რომ არ მეხერხებოდა. ეხლა გამახსენდა ის უკუღმა თვლის ამბავი.

სამი, ორი ერთი, არაფერი!!!

სამი, ორი ერთი, არაფერი!!!

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს არაფერი, რომ მართლაც და რამ [illegible] სათვალავია?!

7 საათია. ვახშმობის დროა.

კიდევ გადავწიეთ უკან საათი 30 წუთით. გასაკვირიცაა: — ამერიკაში მივდივართ, ეს ის ქვეყანაა, სადაც ჩვენში რომ ღამეა იქ მაშინ დღეა და პირიქით.

15 დეკემბერი

ღამის თორმეტ საათზე მეტია. მაშასადამე სათვალავით, ეხლა 15 კი არა — 16-ია. სათვალავი ჭირს წაუღია: უბედურება ისაა, რომ ამინდი კვლავ გაფუჭდა. [illegible] ჩაწოლილი თუ არა ლოგინში — ერთ ხანს კიდევ მყუდრო ამინდი იყო. შემდეგ კვლავ შემოგვიბრა. აქვე [illegible] გემი, [illegible] და კრახუნს, თითქოს ერთი ადგილიდან მეორე [illegible]. მანქანების ღრიალი და ტალღების შეხეთქება ისეა არეული ერთმანეთში, რომ, მართლაც, მარტო ამით აგირევა ადამიანს გული. სხვა რომ არაფერი იყოს.

ეხლა ისევ ვწევარ.

ხვალ რომ დილა გათენდება — ეს ხომ 16 რიცხვი იქნება, კიდევ ერთი დღე და ღამე და ბოლოს მივაღწევთ დანიშნულ ალაგს.

კარგი გადასახდელი გადამხდა მე ამ მგზავრობაში. ისე ვარ მოშივებული, როგორც გლახა ღვინის მსმელი ლოთობის შემდეგ.

ეს ჩემი [illegible] „ვაზანოს“, თუ რაღაც ოხრობა, ბევრი ვყლაპე. ფუჭათ ჩავყარე — ჩანს ის მხოლოთ კარგი ამინდის დროს შველის, მაგრამ კარგი ამინდის დროს ვის, რა ოხრათ უნდა ის საქონელი?!

დღეს უკვე შაბათია. მაშასადამე, ნიუ-იორკში ორშაბათს გიახლებით. ამ დღის მისვლასა და გადასვლას მოუთმენლობით, [illegible] სადაც მისასვლელი ვარ, რასაკვირველია, ვეღარ მოვასწრებ. ან კი დროთ რომ შევხვდე — ორშაბათს ვერ მოვასწრებ, სამშაბათს მაინც!

რა კარგი იქნება, რომ ვინმე შემხვდებოდეს სადგურზე!

რუსები იტყვიან: „ასი მანეთის ქონებას, ასი მეგობრის ყოლა სჯობიაო!“ [illegible] ხალხის მეტი ამას. არავინ იტყვის. ასი მანეთი რა ფულია და, განა ფულათ რომ მეგობარი იშოვებოდეს. ასსა და, თუნდა ათას. მანეთს დაზოგავს ვინმე ასი კი არა — ერთი მეგობრისათვის? მერე ის „ასი მეგობრის ყოლა“ — ვის რათ უნდა ამდენი მეგობარი? „რა რიგ ტურფა გაიფუდეს — აღარ ღირდეს არცა ჩირად“.

ხვალინდელი დღე ბარგის თავის მოყრასა და ჩალაგებას მოუნდება. ამ წარამარა ჩაცმა-გახდამ მაინც მთლად ამერია დავთარი — ყველაფერი მიმწიკულ-მობნეულია მთელ კაბინაში.

16 დეკემბერი

დღევანდელ ამინდს არა უშავს-რა;

დილიდანვე გამოვძვერი ლოგინიდან. კიდევ ერთი ღამე გვრჩება.

ხვალ? ხვალ ხომ 17-ია ხვალ 2 საათზე ამერიკის მიწაზე დავადგამთ ფეხს. ასე ამბობენ, მაგრამ მე მაინც იმედი არა მაქვს. რა ვუყოთ, რომ აქ უკვე ამერიკაა — აქ ხალხი და [illegible] არ ცხოვრობს თუ? შეუძლებელია ისეთ შემთხვევაში რომ არ დავიგვიანოთ ეს თითქმის აუცილებელი ამბავია.

დღეს რამოდენიმე მგზავრს გავყევი — სამანქანო განყოფილების დასათვალიერებლად. გზა და გზა ვნახე გემის სტამბაც. აქვე ყოფილა ფოტოგრაფიც, ერთი სიტყვით ყველაფერი მოწყობილობა აქვს ამ გემს. აქვეა პარიკმახერი საბაზანო. [illegible], მგონი ერთი მღვდელიც უნდა იყოს.

სამანქანო განყოფილება. მართლაც, რომ დიდსა და დაუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.. პირველ ყოვლისა, ადამიანისათვის — [illegible] ჩემთვის — გასაკვირველი ისაა, რომ ამ ვეება მანქანებთან ხალხი თითქმის სრულებითაც არ სჩანს. ყველაფერს მანქანის ძალით აკეთებენ. ადამიანი თვალ-ყურს ადევნებს მხოლოდ — საამისოთ კი მთელ განყოფილებას სამ-ოთხი კაცი ყოფნის.

ჩვენი გემი ნახშირს არ ხმარობს, მაზუთით საზრდოობს. ეს ბევრად უფრო [illegible]. ჯერ ერთი სისუფთავეა შესანიშნავი. ნახშირმა კი სისუფთავე არ იცის. გარდა ამისა, არც ის ჯოჯოხეთის სიცხეა, აღარაა საჭირო [illegible] მუშაობა.

ჩვენ გემის მთავარი ინჟინერი გაგვყვა გზას მაჩვენებლათა და ასახსნელად. ეს ინჟინერი ერთი ჩია-კაცია. ამ ვეებერთელა რთული მანქანების ამბავი მან ისე იცის, როგორც თავისი ხუთი თითი. [illegible] მოწყობილობამ. უწინ ხომ ასე იყო: — იდგა სადღაც მაღლა კაცი და საგანგებოთ მოწყობილ ბორბლის საშუალებით აძლევდა გემს მიმართულებას.

[illegible]. მაგრამ [illegible] ხალხს [illegible], რომ, თურმე, ასეთი [illegible] დალაგებული. არის ელექტრონის საშუალებით მოწყობილი რაღაც ძლიერ რთული და, თანაც, ძლიერ უბრალო აპარატი, რომელიც მშვენივრათ მუშაობს. მისი საშუალებით გემი შეიძლება ისე წაიყვანო, როგორც გინდა.

— კაპიტანს აქვს ზევით ძალიან მაღლა ბანზე ერთი ისეთი ადგილი, საიდგანაც გაჰყურებს ზღვას და იქიდან იძლევა განკარგულებასო. ასე ამბობენ, ასე გამიგონია, მეც ასე მგონია.

ჩვენი გემის კაპიტანი, [illegible]. ის თავისათვის არხეინათ ზის მშვენივრათ მორთულს ოთახში, ხანდახან ჩამოივლის გემს. მგზავრებს მიესალმება. ყველას თითო-ორიოლა სიტყვას ეტყვის და შემდეგ ისევ მიიმალება. ადგილი, ალბათ, [illegible], მაგრამ ის ამ დროს, როდესაც [illegible] წინ წასვლა. ასეთი შემთხვევები მეტათ იშვიათია.

შევათვალიერე სტამბაც. მე სტამბას რომ ვნახავ, [illegible] დამიდგება, რომ [illegible] არ დავათვალიერო? სტამბა ერთობ ფაქიზია და პატარა. მაგრამ აქ მაინც სდგას რამოდენიმე ასოწყობი [illegible] სდგას [illegible]. მოზრდილია „ამერიკანკა“ (სტამბის ხალხმა იცის რას ჰქვია ეს სახელი). ელექტრონით ამოძრავებენ. მე კიდევ [illegible] ერთი რამის გაგება მინდოდა. გემზე ყოველ დღე გამოდიოდა გაზეთი: — გემში იბეჭდებოდაო, ამბობდნენ, მე ვერ დავიჯერე. თუ [illegible] გერმანულ ტექნიკას, როგორ [illegible] თვალთმაქცობას? თურმე საქმე სულ სხვანაირათ ყოფილა. გემს ის გაზეთი (სულ რაღაც ასიოდე [illegible] თუ „იბეჭდებოდა“ ყოველ-დღიურათ) წინ დაბეჭდილი და გამზადებული წამოუღია ხმელეთიდან ზღვაში. დატოვებული არის მხოლოდ ერთი გვერდი (გაზეთი რვაგვერდის ფორმით გამოდის) და ამ სტამბაში იმ ერთ გვერდზე ბეჭდავენ ხოლმე რადიოთი მიღებულ ახალ ამბებს.

ჩვენი მგზავრები... ან კი რას ვერჩი მე ამ მგზავრებს. ყველას თავისი საქმე აქვს. ყველას თავისი გასაჭირი აწუხებს. აი ამ მაღლათ აწოწილ გერმანელს (ცოლი ჰყავს [illegible]). მისი ცოლი იქ, ერთი პატარა [illegible] ყოფილა. ეს ამხანაგი, ალბათ, იმ თავისი მეუღლის ხარჯზე დასეირნობს.

მე მეგონა ამერიკელი კინო-მსახიობები მარტო ქართველ აზნაურებს ამერიკაში გადახვეწილებს [illegible]. [illegible], თურმე გერმანელებსაც გამოუჩენიათ ყოჩაღი ამ საქმეში.

[illegible] მეორე უცნაური, რომელიც ეხლა რუმინეთის [illegible] (ცხოვრობს [illegible]), მაგრამ ზედმიწევნით დარწმუნებული, რომ ბოლშევიკები [illegible] არ მოუტანენ. რუმინეთი არ მოსწონს.

— მე მთელი ამ ომის დროს რუმინეთის წინააღმდეგ ვიბრძოდი...

— როგორ, თქვენ სალდათი იყავით?

— არა, ოფიცერი, ეხლა სათადარიგო ჯარის შემადგენლობაში ვარ ჩარიცხული.

— დიდ ხანს იყავით ომის დროს სამსახურში?

— თითქმის მთელი ომის დროს, დაწყებიდან ბოლომდე. ოჰ, იმას ამბობთ, მთელი ომის დროს რუმინეთის წინააღმდეგ ვიბრძოდი, მაგრამ ჩვენი საქმე ისე კარგათ წავიდა, რომ დაბოლოს, ჩემი [illegible] გამარჯვებულმა „ანტანტამ“ რუმინეთის არგუნა...

— წააგეთ რამე ამით?

— თქვენ წარმოიდგინეთ მეც წავაგე პირადათ, მაგრამ უნგრეთი ხომ მთლად დაიღუპა. მას ისე [illegible] ჩამოაცალეს გვერდები, რომ უნგრეთი ეხლა სახსენებლადაც აღარ დარჩა.

— რა ამბავია, თქვენს რუმინეთში?

— ჩემი რომ ჰქნა. [illegible] მისი თავი და ტანი. [illegible] ძალიან არის განვითარებული, საქმიანობას კი რა მოგახსენოთ. ყველა [illegible], ყველა [illegible], აღებმიცემობა დაქვეითებული და დაქვეითებულია. მე ხე-ტყის ვაჭარი ვარ. მაგრამ ვის რათ უნდა ხე-ტყე? არაფერი შენდება. არაფერი კეთდება, რაც რამე იყო აშენებული, ისიც ინგრევა და თავდება...

— იცით თქვენ სად არის ბესარაბია?

— ვიცი, როგორ არ ვიცი!

— ჩვენ წავართვით, ვითომც. თავიანთი გუნებით, მაგრამ არა მგონია რომ შერჩეთ...

— რა თქმა უნდა არ შერჩებათ, მაგრამ უკეთესი კია, რომ მაინც ისევ რუმინეთის დარჩეს. საბჭოთა ხელისუფლებას ისევ რუმინეთის მთავრობა სჯობს!

— რატომ?

— თქვენ არ იცით, რატომ?

— არა, აკი რუმინეთი არც თქვენ მოგწონთ.

— რასაკვირველია, არ მომწონს, მაგრამ ყველაფერი ასარჩევია. კარგზე უკეთესი ბევრია. გლახაზე უარესიც არ დაილევა.

— რატომ, ასეთი უარესზე უარესია განა საბჭოთა ხელისუფლება?

— მაგას არ ვიტყვი. მაგრამ აქ ხომ ქონების ჩამორთმევა იციან?

— იციან, მართალია!

— მერე?

— მერე და მერე. მდიდრებს ართმევენ, კაპიტალისტებს, ბურჟუაზიას.

— სად არის მერე გარიგება? მე იქნება მდიდარი ვარ. მაგრამ ის სიმდიდრე ჩემის შრომით შევიძინე.

თავსხური და ათთავსხური გამიგონია ეს ზღაპარ-ამბავი მუშების მოსატყუებლად.

(დასასრული იქნება)

ილ. ორიძე.

ნიუ-იორკი, თებერვალი.

ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხი

მოგებათა მეექვსე ტირაჟის ოფიციალური ცხრილი *)

სერ. №	ობლ. №	მოგ. თანხა	სერ. №	ობლ. №	მოგ. თანხა
087.844	1—42, 44—50	100	119.684	1—50	250
088.416	1—50	100	119.922	1—50	100
088.610	14	1.000	120.461	1—50	250
088.610	1—13, 15—50	100	121.609	28	1.000
090.314	1—50	100	121.609	1—27, 29—50	100
090.734	1—50	100	121.782	1—50	100
091.089	33	1.000	121.894	1—50	100
091.089	1—32, 34—50	100	122.000	45	1.000
091.808	1—50	100	122.000	1—44, 46—50	100
092.017	1—50	100	122.251	1—50	100
092.398	1—50	100	122.306	1—50	100
092.558	1—50	100	122.353	1—50	100
092.698	1—50	100	122.675	1—50	100
093.189	1—50	100	122.902	42	1.000
093.747	1—50	100	122.902	1—41, 43—50	100
093.809	1—50	100	123.162	33	1.000
093.845	1—50	100	123.162	1—32, 34—50	100
094.397	1—50	100	124.171	46	1.000
094.507	1—50	100	124.171	1—45, 47—50	100
094.782	1—50	250	124.418	1—50	100
095.574	1—50	250	124.441	1—50	250
095.954	1—50	100	125.129	1—50	100
096.446	22	1.000	125.186	1—50	100
096.446	1—21, 23—50	100	125.316	1—50	100
096.678	18	1.000	144.609	1—50	250
096.678	1—17, 19—50	100	144.946	1—50	100
096.801	1—50	250	145.159	1—50	100
096.989	1—50	100	145.189	1—50	100
097.472	1—50	100	145.653	1—50	250
097.744	1—50	100	146.249	43	1.000
098.236	1—50	250	146.249	1—42, 44—50	100
098.491	1—50	250	146.387	1—50	100
099.153	4	5.000	146.656	1—50	100
099.153	1—3, 5—50	100	146.688	1—50	250
099.512	38	1.000	147.133	1—50	100
099.512	1—37, 39—50	100	147.152	1—50	100
099.829	1—50	100	147.726	7	5.000
099.842	1—50	100	147.726	1—6, 8—50	100
100.383	36	1.000	148.885	1—50	100
100.383	1—35, 37—50	100	149.003	2	1.000
100.481	6	1.000	149.003	1, 3—50	100
100.481	1—5, 7—50	100	150.013	1—50	100
100.595	1—50	250	150.363	1—50	100
100.665	1—50	100	150.619	1—50	100
115.379	1—50	100	150.652	1—50	250
115.935	3	5.000	150.922	1—50	100
115.935	1—2, 4—50	100	151.278	1—50	100
115.990	1—50	100	151.902	49	1.000
116.054	1—50	100	151.902	1—48, 50	100
116.101	47	1.000	152.033	1—50	100
116.101	1—46, 48—50	100	152.670	1—50	100
116.647	1—50	100	153.191	1—50	100
116.696	1—50	100	153.418	1—50	100
116.775	1—50	100	153.663	1—50	250
116.840	1—50	250	154.499	13	1.000
117.217	1—50	100	154.499	1—12, 14—50	100
117.293	1—50	100	157.541	1—50	250
117.349	1—50	100	158.076	1—50	100
117.352	48	5.000	159.018	1—50	100
117.352	1—47, 49—50	100	159.310	28	5.000
117.536	1—50	100	159.310	1—27, 29—50	100
118.205	1—50	100	159.573	1—50	100
118.291	1—50	100	159.677	1—50	100
119.146	1—50	250	154.738	1—50	100
119.198	1—50	100	154.837	1—50	100
119.332	43	1.000	155.087	1—50	100
119.332	1—42, 44—50	100	156.372	1—50	100
119.386	1—50	100	156.373	1—50	100
			157.366	1—50	100
			157.490	1—50	100

---

*) დასასრული.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ოთხშაბათს, 13 მარტს, დღის 12 საათზე ც. კ. აგიტპროპგანყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მთვარელიძე, პოხეცკი, როხაძე, ტუმანიანი, ოგანეზოვი, ვაშაკიძე (მუშფაკი); ჭუმბურიძე, ცხაკაია („გლავპროფობრი"). გაბიანი (მუშფაკი).

დღეს 10 მარტს ც. კ.-ს აგიტპროპგანყოფილებაში დღის 1-ლ საათზე შესდგება თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ჭუმბურიძე, ელიაძე, („კომუნისტი"), გალკინი („რაბ. პრავდა"). ბარათაშვილი („ახ. სოფელი"). სიხარულიძე („მუშა"). ზისერმანი („ზარ. ვოსტოკა"), არომზიძე („წით. არმიელი"). ვოლსკი („ახ. კომუნისტი"). მელიქიანი („პროლეტარი"), და ვ. სიხარულიძე („მოლ. ხმა").

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების პროპაგანდის ქვე-განყოფილება იტყობინება, რომ დღეს დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტში, შესდგება კონსულტანტებისა და პარტიულ თვითგანვითარების კომისიათა წევრების გაერთიანებული საქალაქო თათბირი. თხოვნაა გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ.

თბ. სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი, ორშაბათს 11 მარტს სრულ 12 საათისათვის იწვევს ორგ-თათბირს. დასწრება უჯრედების პ. მდივნებისა და ტექნიკური მდივნებისა სავალდებულოა. დასწრება შეუძლიათ დაინტერესებულ ამხანაგებსაც—აქტივიდან.

აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები ა. კ. მიღების ან პარტიაში გადარიცხვის შესახებ.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. დათუნაშვილს და დუშეველს გამოცხადდნენ სააღრიცხვო-განმანაწილებელ ქვე-განყოფილებაში. ორშაბათს 11 მარტს დილის 10 საათისათვის.

—:—

ორშაბათს, 11 მარტს, ნაშუადღევს 1-ლ საათზე, ამხ. შოგირაძის კაბინეტში შესდგება საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობის წევრთა სხდომა.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუსწრებლად მომცადინეთა საყურადღებოთ, რომ ორშაბათს, 11 მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პრ. № 21) შესდგება დაუსწრებლად მომცადინეთა თათბირი.

უნივერსიტეტში დაუსწრებლად მომცადინეთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

ამხ. ლენინის სახელობის სახ. პ. ი. კ. პ. (ბ) ბიურო კოლექტივი ორშაბათს, 11 მარტს, საღამოს 7 საათზე იწვევს სამთო ფაკულტეტის პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებას.

განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

კრებაზე უნდა გამოცხადდნენ ქიმიურ დარგზე ახლად ჩარიცხულ პარტ. და კომკავშირელები.

გულდამწვარი ძმა ვალოდია, რძალი თამარი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. გორში გარდაიცვალა მათი საყვარელი

კოლა (ნიკო) ალექსანდრეს-ძე გელაშვილი

დაკრძალვა ქ. ხაშურში 10 მარტს სრულ 3 საათზე ძმათა სასაფლაოზე. 784

ს.კ.პ. (ბ) ხაშურის რაიონული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს, ს.ა.ლ.კ.კ. ხაშურის რაიკომის აგიტპროპის

ამხ. კოლია (ნიკო) გელაშვილის

გარდაცვალების გამო. 781

ს.ა.ლ.კ.კ. ხაშურის რაიკომი აუწყებს ამხანაგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. გორში გარდაიცვალა ორგანიზაციის აქტიური მუშაკი—კომკავშირის ხაშურის რაიკომის აგიტპროპ-ორგანიზატორი

ამხ. კოლია (ნიკო) გელაშვილი 782

ხაშურის რკინის გზის საყუდის მუშა ახალგაზრდობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 9 მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომკავშირთა აქტიური მუშაკი კომკავშირის ხაშურის რაიკომის აგიტპროპი

ამხ. კოლია (ნიკო) გელაშვილი

დაკრძალვა ქ. ხაშურში ა. წ. 10 მარტს, ძმათა სასაფლაოზე. 786

ხაშურის ქალაქის საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომკავშირის ორგანიზაციის აქტიური მუშაკი

ამხ. კოლია (ნიკო) გელაშვილი 783

ხაშურის რაიონის ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ყოფილი ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის ხელმძღვანელის

ამხ. კოლია (ნიკო) გელაშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ხაშურში, კვირას, დღის 3 საათზე ძმათა სასაფლაოზე. ნ. 2377

ამხანაგები ე. გურჯიშვილი, ხაჩიძე, ა. აფთიაშვილი, ვ. დევაძე, და თ. ჯიბლაძე მწუხარებით აუწყებენ კომკავშირის ორგანიზაციის წევრებს, კომკავშირის ხაშურის რაიკომის აგიტპროპ ორგანიზატორის

ამხ. ნიკო გელაშვილის

გარდაცვალებას. 786

მარიამ პავლეს ასული იოსელიანი-მელაძისა თავის ოჯახით აუწყებს ნათესავ-მეგობრებს, რომ დღეს შუადღის 12 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

ჯვებეს

გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავად. (ე)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის საბჭო და დეკანატი აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, მარტის 10-ს შესრულდა წლის თავი ფაკულტეტის წევრის

ნიკოლოზ იოსელიანის

გარდაცვალებიდან, რის გამოც დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დილის 11 საათზე. 795

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა იუწყება, რომ კვირას, 10 მარტს, დილის 11 საათზე დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ნიკოლოზ იოსელიანის

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის შესრულების გამო. ნის.

საქართველოს მუზეუმი აცხადებს, რომ კვირას, მარტის 10-ს, შუადღის 12 საათზე ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (დიდუბე) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მუზეუმის დირექტორის მოადგილის

დოც. ნიკოლოზ პავლეს-ძე იოსელიანის

გარდაცვალებიდან 1 წლის შესრულების გამო. 779

კვირას, მარტის 10-ს დღის 12 საათზე დიდუბეში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

დოც. ნიკოლოზ იოსელიანის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო, რასაც იუწყებიან მისი ხსოვნის პატივისმცემელი პროფ. დ. უზნაძე, ალ. ჯანელიძე და გ. ნანეიშვილი. 775

საქ. მიწსახკომის ცენტრალური ზოოტექნიური ხაცდელი სადგურის დირექტორი პროფ. ი. ჯანდიერი და თანამშრომელნი გულდაწყვეტით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ მეგობრის აგრონომ-ზოოტექნიკოსის

დოც. ნიკოლოზ პავლეს-ძე იოსელიანის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულებას. 788

ღრმად დამწუხრებული შვილები: ალექსანდრე, კორნელი, ივანე, კლიმენტი თავიანთ ცოლშვილით, თინა, ქეთო, თამარ, ძმები: სერაპიონ, სილიბისტრო, სილოვან ცოლშვილით, დისშვილები, ბ. ვ. პ. კ. კუჭაიძეები, ნად. ლორთქიფანიძე ქმრით, ან. დეკანოსიძე აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ, რომ 7 მარტს, ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი დაუვიწყარი

რაჟდენ ივანეს-ძე ჭირაქაძე

გამოსვენება ქუთაისში კიბულის ქ. 1-ლი შესახ. № 1. კვირას, 10 მარტს, 4 საათ. 787

გაუბედურებული მარინე სილიბისტროს ასული აბაშმაძისა, ცოლის-დები მინა ქურიძისა და პელაგია კიკვაძისა, ქვისლები პორფილე ქურიძე და თედორე კიკვაძე, გიორგი, კარლო და ამბროსი პორფილეს-ძე ქურიძეები და აღზრდილი მაჭატუნა სალუქვაძე უღრმესი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

კირილე იესეს-ძე აბაშმაძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ოზურგეთში, ამ თვის 12, სამშაბათს, 4 საათზე. 774

დამწუხრებული მეუღლე კატო, ქალიშვილი მარიკო, ძმები: ანტონი, პეტრე, მალაქია ცოლშვილით: ცოლისძმები ილიკო და ნიკოლოზ ნასარიძეები ოჯახობით იუწყებიან დაუვიწყარი

მინა მეთოდეს-ძე ბრეგვაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მიმოსვლის ქ. № 17, კვირას, 10 მარტს, 3 საათზე. 789

დამწუხრებულნი პოლიკტორი, ვარლამი და კოწია გონაძეები იუწყებიან დაუვიწყარი

მინა მეთოდეს-ძე ბრეგვაძის

გარდაცვალებას. 790

დამწუხრებულნი ყოფილი მოწაფენი: კატუშა, ზინა, ათუშა, სიმონი, ვალიკო, შალვა, დათიკო ქელიძენი, ქ. მგალობლიშვილი, პ. ჟღენტი, კ. კვირკველიძე და კ. ანდღულაძე იუწყებიან თავიანთ სიყრმის მასწავლებლის და კეთილი ადამიანის

გიორგი მიხეილის-ძე ქიქოძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 მარტს, სოფ. ბახვში. 792

თავზარდაცემული და მარიამი, სიძე ანტონ, დისშვილები: საშა, ლოლა, გუგული და შალიკო მანაგაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

მათე ანდრიას-ძე ჯანელიძე

გამოსვენება კვირას, 10 მარტს, 4 საათზე, ყოფილი ალექსანდრეს საავადმყოფოდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 793

რიონგესის შოფერები: ილუშა ბაქრაძე, ლეო სარქისოვი, იოსკა ბერძენიშვილი, იოსკა ბაქრაძე, შალვა მირიანაშვილი, მიშა ბუაძე და კოტე ბალუაშვილი აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფას მეგობრის

ვალოდია ვოლჩკოვის

ტრაგიკულად დაღუპვას—სადგურ რიონთან 8 მარტს. (დეპ.)

რიონგესის პირველი უბნის სამექანიკო ნაწილის მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას რიონგესის შოფერის

ვალოდია ვოლჩკოვის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. (დეპ.)

რუსთაველის თეატრი

დღეს, კვირას, 10 მარტს ხოზიკასი

„ხოჭოების დოლი" კომ. 3 მოქმ.

დადგმა ალ. ახმეტელის და კ. პატარიძის. მხატვარი ირ. გამრეკელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში.

1—1 ნ. 2379

მალე

მარიამ ტენაზი, ალისა ქიქოძე, ა. თაყაიშვილი, დ. ძნელაძე, ზ. ტერიევი

საქ. სახელმწიფო კინომრეწველობის ნაწარმოები 1928—29 წ. სეზონი

ს უ რ ა თ შ ი

ღრუბლების თავშესაფარი

(თუშეთის ცხოვრებიდან)

სცენარი—სულაკაურის

რეჟისორ შ. ბერიშვილის

ოპერატორი ა. პოლიკევიჩი

საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს ს. ს. რ. ფინსახკომი აცხადებს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 1-ლ მარტს გავიდა ვადა უწყებების დაგზავნისა იმ გადამხდელებისათვის რომელნიც იბეგრებიან 1928—29 საგადასახადო წლის საშემოსავლო გადასახადით 1927—28 წლის შემოსავლის საფუძველზე განაკვეთთა № 1 და 2 განრიგებების მიხედვით.

გადამხდელებმა, რომელთაც ამ დროისათვის არ ჩაბარებიათ უწყებები, უნდა მიმართონ გადასახადების ამკრეფ სექციებს, თბილისში ხაზინის ქ. № 3, ავტონომ. რესპუბლიკებში—ფინრწმუნებულთა საგადასახადო სამმართველოში და მაზრებში—აღმასკომების საფინანსო განყოფილებებში.

საჩივრების შეტანის უკანასკნელი ვადა სამაზრო საგადასახადო კომისიებში სათანადო უბნის პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორების მეშვეობით თავდება ა.-წ. აპრილის 1-ს.

საჩივრის შემოტანა არ აჩერებს გადასახადის გადახდას და საურავის დარიცხვას და აგრეთვე უწყებების მიუღებლობაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საფუძველი გასაჩივრების ვადის აღსადგენად.

გადასახადის შეტანის უკანასკნელი ვადებია 1929 წლის მარტის 15, მაისის 15, ივნისის 15 და ივლისის 15 თანაბარ ნაწილებათ.

ურჩ გადამხდელების წინააღმდეგ მიღებული იქნება იძულებითი ზომები ვიდრე ქონების აღწერა-გაყიდვამდე.

განაკვეთთა მესამე განრიგების მიხედვით დასაბეგრი გადამხდელებს უწყებები დაეგზავნებათ არა უგვიანეს ა.-წ. აპრილის 1-სა.

1928—29 წლის გამოანგარიშებულ გადასახადის განაკვეთის და გადახდილ ავანსების რაოდენობის შორის განსხვავების შეტანის უკანასკნელი ვადებია—1929 წლის აპრილის 15 და მაისის 15 თანაბარ ნაწილებათ. საჩივრების შეტანის უკანასკნელი ვადა თავდება ა.-წ მაისის 1-ს.

საქართველოს ს. ს. რ. ფინსახკომი ვაშაძე.

გადასახადთა სამმართველოს უფროსი ბეზირგანიშვილი.

ნ. 2381

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ შაბათს 16 და კვირას 17 მარტს ქალაქის ლომბარდის შენობაში ეკლესიის ქ. № 8 დღის 12 საათზე საქფინკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ქვემოდ ჩამოთვლილი სახლები:

1) მირიანაშვილი გრიგოლ მალაქიას ძე, ბაგრატიონის ქ., № 14, სახლი 16 ოთახიანი. იყიდება ერთი მესამედი სახლისა, შეფასებული 5.000 მანეთად.

2) კობაჩიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე, მუხრანის ქ., № 20, 11 ოთახი. შეფასებული 2.000 მანეთად.

3) მოცაკიანცი ენოკ აჯიბაბის ძე, ახალი არსენალის ქ., № 10, 6 ოთახი. შეფასებული 1.000 მანეთად.

4) ცატუროვი მიკიჩ კარაპეტის ძე, ვაშლოვანის შეს., № 2, 13 ოთახი; შეფასებული 1.000 მანეთად.

5) ფრანგულიანცი ტიგრან გერასიმეს ძე, მე-5 ფერმა, ავლაბრის ქ., № 41; ერთ სართულიანი სახლი; შეფასებული 1.500 მან.

6) მასალოვი თედორე ნიკოლოზის ძე, ვლადიმერის ქ., № 67, 8 ოთახი; შეფასებული 1.000 მანეთად.

7) კუსკიანცი ალექსანდრე ოგანეზის ძე, რიყის ქ., № 74; სახლი შემდგარი 3 ოთახისაგან; იყიდება სახლის ნახევარი ნაწილი; შეფასებული 450 მანეთად.

8) პაპოვი ოგანეზ ალექსანდრეს ძე, პანასევიჩის ქ., № 18/3; 11 ოთახი შეფასებული 300 მანეთად.

9) ოდიშვილი ტატო ზაქარიას ძე, პეტროვის ქ. № 46, 6 ოთახი შეფასებული 2000 მან.

10) ისმაილ იუსუფ ზადე მალაკნის ქ. № 44, 22 ოთახი შეფასებული 2000 მანეთად.

11) დახან ნაჯი იბრაგიმ ზადე, მალაკნის ქ. № 50, 90 ოთახიანი სახლი, იყიდება ნახევარი სახლისა შეფასებული 1000 მანეთად.

12) ოღანესიანცი მოსეს არუთინის ძე, სტავროპოლის ქ. № 11, 10 ოთახი შეფასებული 2000 მანეთად.

საჯარო ვაჭრობის დროს დაცულ იქნება 311 და 312 მუხლები სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა. ვაჭრობაში მონაწილენი ვალდებულნი არიან საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე შემოიტანონ 10% შეფასებისა.

ორშაბათიდან, 11 მარტიდან, კინო-თეატრებში

მინიონი

ჟენი იუგო სურათში **6 ქალიშვილი ეძებს თავშესაფარს**

არფასტო

მხატვრული სურათი **მისი გზა** ე. ცესარსკაიას მონაწ.

პალასი

პატი და პატაშონი ახალ კომედიაში **პატი არისტოკრატი**

სოლეი

ლისი არნა, ალბერტ შტეინრიუკ საზღვარგარეთულ სურათში **რეინელი მეამბოხე**

ნ. 2382

დღეს, კინო-სოლეიში დღის სეანსი, დასაწყისი 11 ს. 30 წუთზე. სიმებიანი ორკესტრი.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	სალამანდრა
აპოლო	6 ქალიშვილი ეძებს თავშესაფარს
მინიონი	წარმადგინეთ
სოლეი	მსოფლიო ფილმი არსენალი
არფასტო	რეჟ. დოვჟენკო
პალასი	მხატვრული სურათი მისი გზა
დარბაზი	ტარზანი 5 და 6 სერია
პროლეტარი ავლაბარი	ტარზანი 1 და 2 სერია

მსოფლიო ფილმი არსენალი

რობინ გუდი

6 ქალიშვილი ეძებს თავშესაფარს

რეინელი მეამბოხე

მისი გზა

პატი არისტოკრატი პატის და პატაშონის მონაწ.

ტარზანი 5 და 6 სერია

ტარზანი 3 და 4 სერია

კინო „სოლეიში" დღის სეანსი

„ბავშვის მეგობართა" საზოგადოების თბილისის

— საბჭო —

თბილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 10, 11 და 12 მარტისათვის დანიშნული „მასიური თამაში" ტექნიკურ მიზეზების გამო **გადადებულია**

გათამაშების დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. თვალ-ყური ადევნეთ გაზეთებს. 780

ცირკი კოლოსი

დირექტორი ი. ზ. კუდრიავცევი

ტელეფ. № 8—64

2—2 ნ. 2371

დღეს

სანახაობათა განახლებული პროგრამა

გასტროლები: ვილარსის დასი (ფრენა), ზანგების ექსცენტრიული ჩეჩოტკების შემსრულებლის ბოჩკოვსკის, ტურნიკზე მოვარჯიშეთა დასი ალისონი, ელასტიურ ტანიანი ოკლეი, ჟონგლერი ქალები 4 კრონეცი, მწვრთნელი კნოკი, ძმები დოროსი, 3 კუკი და სხვ.

აგრეთვე დარიგდება დიდძალი საჩუქრები, ოქროს, ვერცხლის და საგალანტერიო ნივთები, ჭურჭლეულობა, ავეჯეულობა და სხვ. მთავარი საჩუქარია ფულად 75 მან.

კვირას, 10 მარტს, დიდი სანახაობა დღისით

მფრინავების, ეშმაკების და ყველა გასტროლიორის მონაწილეობ.

დასაწყისი დღის 2 საათზე ბავშვები უფროსებთან უსასყიდლოდ

ადგილების ფასები ჩვეულებრივია

იყიდება

კოსტა ხვიჩიას ძე კილასონიას სეული

სახლი

ქ. ზუგდიდში, შაუმიანის ქ. № 14 ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში თბილისი, რუსთაველის პროს. № 34.

0—4 გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა

ყრილობა

ორშაბათს, ა/წ. 11 მარტს, საღამოს სრულ 6 საათ. შრომის სასახლის დიდ დარბაზში (რუსთაველის პრ. № 17)

გაიხსნება სრულიად საქართვ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა მე-4 ყრილობა

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს რომ 16 მარტს 29 წ. სოფ. ბოდბისხევში საათის 2 დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ლადო ანტონის ძე ტუხაშვილის მოძრავ ქონებისა რომელიც აღწერილია მეცხვარეთა კავშირის ქიზიყის განყოფილების ვალში. თანახმად მაჩხაანის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელ ფურცლისა 15 იანვარს 29 წ. № 58. სია გასაყიდ ქონებისა: დუქნის შენობა ქვიტკირისა—სამი თვალი, გადალობილი შიგნით ორი ფიცრის კედლით, დახურული კავითა და კრამიტით. სიგრძე თორმეტი მეტრი და სიგანე ოთხი მეტრი, შეფასებული 260 მან. გაიყიდება დანგრევით. ნ. 2380

ქრა-კერვის გაკვეთილები

ქართულ და რუსულ ენებზე

ბოლგარსკაია

კალინინის ქუჩ., № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4 საათიდან 7 საათ.

24—8 49

ვაძლევ ბინას სადილით

მეშვიდე რაიონი (წინათ მეცხრე) არსენალის კუთხიდან № 9, ვასსერის შესახვევი, ეზოდან შესავალი. 776

თმის მკურნალობა

ვ. ი. დანილევსკაიას

საექიმო კოსმეტიკა

ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

ამიერ-კავკასიის რკინისგზების

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

1929 წლის 15 მარტიდან

იხსნება

თბილისის მაცივარი

ს. ნავთლუღში მალე გასაფუჭებელ საქონლის

გაყინვისა, გაცივებისა და შენახვის

ოპერაციებისათვის

სატარიფო გადასახადის განაკვეთთა გაცნობა შეიძლება, როგორც გამგეობის ექსპლოატაციის განყოფილების საცივარ ნაწილში, ისე თვით მაცივარის კონტორაში.

748

გაზ. „კომუნისტი"-ს 5 მარტის ნომერში № (51) მოთავსებულ საქ. კომუნალურ ბანკის აჭარისტანის განყოფილების განცხადებაში

საჯარო ვაჭრობის შესახებ

გაპარულია შეცდომა: საფაროვთ ყარამან ალექსანდრესძე ოზურგეთი მე-2 ყაზარმის შესახვევი თავნი ვალი 2335 მანეთი 06 კაპ., **უნდა იყოს** 1335 მანეთი

კვირას, 10 მარტს, საღამოს 7 საათზე,

საქ. სასოფლო მეურნეობის მუზეუმში

(ჯორჯიაშვილის 5) **შესდგება** საქ. სასოფლო-სამეურნეო საზ-ბის და აგრონომიულ ფაკულტეტის წევრთა

სამგლოვიარო სხდომა

დოც. ნიკოლოზ იოსელიანის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად 791

დაკარგა: ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის დროებითი ტალონი № 018050 ს. 11, № 023191 ს. 15, № 045027 ს. 15, № 060040 სერ. 01. 794

დაკარგა: სამხ. აღრიცხ. წიგნაკი № 1033/584 გაცემული თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან ექ. დიმიტრი თადუმაძის სახელზე, 777

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ექიმი

ს. ი. ანდრეევისა

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29

ტელეფონი—11—78.

18—ნ. 25—1

ანა ვასილის ასული

მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგომოლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-8

კალინინის ქუჩა № 33 (ყოფ. ნიკოლოზის)

ექ. ი. დ. თოფურიძე

კანის, ვენერიული და სიფილისი (გონორეის გართულებები)

მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ. ქალები 10—11 დილით

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. მესანგრეთა ქ.) ყოფ. კადეტის კორპუსის უკან. 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" ყოფ. „ნოეს" პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და ბოშლილობანი ხმის და მეტყველებისა

ქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

ქონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. 25—6

დაკარგა: ვინაობის უვადო მოწმობა № 63 გაცემული მე-12 სამილიციო რაიონიდან ფილიპიონ გიორგის ძე გლუნჩაძეს სახელზე, ჩ. გ 771

დაკარგა დავითი ივანეს ძე ქაჯაიას სახელზე ჯოლო-აბედათის თემსაბჭოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობა, სამხედრო აღრიცხვის ნუსხა 1924 წ. გაცემული ქ. თბილისის მე-12 უბნის სამხედრო მაგიდიდან და შრომის ბირჟაში აღრიცხვის ბარათი. ჩ. გ.

ტირაჟი—40.333

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.